

## **სასამართლო**

### **დაცვი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოქებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2020, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia  
on **Administrative Cases**  
(in Georgian)

2020, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2020, №6

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2020, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი  
**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი  
**გარივა გალალავილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების  
დეპარტამენტის მხარდაჭერით

## **საპირელი**

<b>1. მშენებლობის ნებართვა და ლეგალიზაცია</b>	
სარდაფის ფართში კარის ღიობისა და ჩასასვლელი კიბის მოწყობაზე ამხანაგობის წევრთა თანხმობის აუცილებლობა ..... 4	
მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობისა და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის კანონიერება ..... 16	
მშენებლობის უფლების რეალიზაცია საკუთრების უფლების ფარგლებში ..... 48	
ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაცია ..... 80	
<b>2. სამშენებლო სამართალდარღვევა</b>	
უნებართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების კანონიერება ..... 93; 120; 136; 151	
პენსიონერზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი ... 168	
სოციალურად დაუცველ პირზე დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლება ..... 183	

## **1. მშენებლობის წესართვა და ლეგალიზაცია**

**სარდაფის ფართი კარის ღიობისა და ჩასასვლელი  
კიბის მოწყობაზე ამხანაგობის წევრთა თანხმობის  
აუცილებლობა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-55-54(კ-14)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

### **აღნერილობითი ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.11.11წ. №ბს-680-674(კ-11) გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს 15.02.11წ. განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მი-დებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყო-ფილდა ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.05.10წ. №01/959 ბრძანება და ამავე სამსა-ხურს დაევალა საქმის გარემოებათა ხელახალი გამოკვლევის სა-ფუძველზე ახალი აქტის გამოცემა.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.11წ. №12/172615 ნერილობითი დასტურით მოქ. 6. გ-ს ნება დაერთო ქ. თბილისში, ... №25-ში არსებულ კუთვნილ სარდა-ფის ფართში კარის ღიობისა და სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობაზე. ქ. თბილისის მერიის 20.04.12წ. №987 განკარგულებით ლ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.11წ. აქტი.

ლ. ა-მა 30.05.2012წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ქ. თბილისის მერიისა და სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახუ-

რის 22.12.2011წ. №12/172615 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ქ. თბილისის მერიის 20.04.2012 წ. №987 განკარგულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 31.05.2012წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირად საქმეში ჩაერთო ნ. გ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 21.01.2013წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე მესამე პირად საქმეში ჩაერთო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ...ის №25-ში (ქ. №25) გააჩნია კომერციული ფართი, მაღაზია, რომლის ვიტრაჟის წინ, ტროტუარზე, ნ. გ-მა ჩაჭრა შენობის სარდაფში ჩასასვლელი კიბე. აღნიშნული ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესი, ვინაიდან კიბე მნიშვნელოვნად ფარავს ვიტრაჟს, რაც კომერციული ოვალსაზრისით ძალზე წამგებიანია. მოსარჩელემ ჩაატარა არაერთი ექსპერტიზა შენობის ავარიულობასთან დაკავშირებით, სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ცენტრისა და შპს „...“ – ის გამოკვლეულებით დადგინდა, რომ საცხოვრებელ კორპუსში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებმა გამოიწვია შენობის ხარვეზები, დაზიანებები, რითაც საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ცნობილი იყო ექსპერტიზის დასკვნები შენობის ავარიულობის შესახებ და 22.12.2011წ. მაინც გასცა ნ. გ-ს ახალი ნებართვა სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების თაობაზე. ამასთან, ქ. მერიის არქიტექტურის სამსახური არ დაელოდა საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნა 15.11.2011წ., რითაც ლ. ა-ის სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ და არქიტექტურის სამსახურს დაევალა საქმის გარემოებათა გამოკვლევის საფუძველზე ახალი აქტის გამოცემა. გასაჩივრებული აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა არ გაითვალისწინეს ლ. ა-ის ინტერესები და ის გარემოება, რომ ამხანაგობის კრების ოქმით ამხანაგობის წევრთა სრულ უმრავლესობას არ ჰქონდა თანხმობა გაცემული ჩასასვლელი კიბის და ლიობის მოწყობის სამუშაოებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლზე მითითებით ლ. ა-ი ითხოვს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.2011წ. №12/172615 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ქ. თბილისის მერიის 20.04.2012წ. №987 განკარგულების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილებით ლ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის კანონით დადგენილი წინაპირობები, რამდენადაც მისი მომზადებისა და მიღებისას დარღვეული არ არის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესები და მისი გამოცემისას ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობის მოთხოვნათა ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის პირობებში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის გამოც სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 6. გ-ის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები არ არის მოცემული დავის საგანი დავის საგანს შეადგენს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 22.12.11წ. გაცემული დასტური არსებული შენობის ფასადზე სარდაფის კედელში I კლასის – კარის ლიობისა და ჩასასვლელი კიბის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული სამშენებლო სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნებოდა პირველი კლასის ობიექტს, შესაბამისად არ საჭიროებდა მშენებლობის ნებართავას. სადავო აქტით 6. გ-ს მითითა, რომ თუ მის მიერ განსახორციელებული სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოეპოვებინა შესაბამისი დასკვნა განხორციელებული სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ. განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევდა კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას. სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი ექსპერტთა დასკვნებიდან ქრონოლოგიურად ყველაზე გვიანდელი დასკვნების თანახმად, განხორციელებული სამუშაოები არ უქმნის საფრთხეს საცხოვრებელ კორპუსს. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.11.2013წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2013წ. გადაწ-

ყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელი იყო ლ. ა-ის მოსაზრება ნ. გ-ის მიერ მის კუთვნილ სარდაფში კარის ლიობის და ჩასასვლელი კიბის მოწყობით შენობის დაზიანების და შენობის თანამესაკუთრის ინტერესის შეღახვის შესახებ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ლ. ა-ის მოსაზრება სადაც აქტების „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დარღვევით გამოცემის შესახებ, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობის არარსებობის გამო. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ბმა „...ის“ 03.12.11წ. კრების №6 ოქმის თანახმად ამხანაგობის 2/3-ზე მეტმა თანხმობა განცხადა ნ. გ-ის მიერ ფასადის მხრიდან ჩასასვლელი კიბის და კარის ლიობის მოწყობის სამუშაოების გაგრძელებაზე, რის გამოც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 10<sup>1</sup> მუხლზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი სამუშაოები არ ითვალისწინებდა ფართობის გაზრდას ან ახალი საკუთრების საგნის წარმოშობას, რის გამოც სამუშაოს წარმოებაზე საკმარისი იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3-ის თანხმობა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. გ-ის მიერ სანარმოებელი მშენებლობა მიეკუთვნებოდა I კლასის მშენებლობას, რომლისთვის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65.1. მუხლის თანახმად, საჭირო არ არის მშენებლობის ნებართვა. ამავე დადგენილების 65.2 მუხლის თანახმად I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მნარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს, რაც ნ. გ-ის მიერ სადაც ადმინისტრაციული წარმოებისას შესრულდა. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – ბათილად ცნობის კანონით დადგენილი წინაპირობები სახეზე არ იყო.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-მა.

კასატორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.11.2013წ. განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღების გზით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ საქმე განიხილა სამართლის ნორმათა დარღვევით. პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა იმ ნორმებზე დაყრდნობით,

რომელიც განსახილველ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.2011წ. №12/172615-13 აქტის გამოცემა მოხდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის, „...“ 03.12.2011წ. №6 კრების ოქმის საფუძველზე. ლ. ა-ი მიიჩნევს, რომ ხსენებული ოქმი კანონის დარღვევითაა შედგენილი, ხოლო საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა აღნიშნული საკითხის სამართლებრივი შეფასების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება. პალატამ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 02.02.2012წ. გადაწყვეტილებით დაქმაყოფილდა ლ. ა-ის მოთხოვნა, ბათილად იქნა ცნობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის, „...“, 10.11.2009წ. კრების ოქმი და ნ. გ-ს დაევალა თბილისში, ... ქ. №25-ში მდებარე სარდაფის კედელში მოწყობილი ღიობის მოშლა, კედლის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. 03.12.2011წ. კრების ოქმით ამხანაგობამ „...“, ნ. გ-ს მისცა მის საკუთრებაში არსებული სარდაფის ჩასასვლელი კიბისა და კარის ღიობის მოწყობის (ფასადის მხრიდან) სამუშაოების გაგრძელების თანხმობა. დღეის მდგომარეობით ბათილად არის ცნობილი 10.11.2009წ. №24 კრების ოქმი, რომელიც 22.12.2011წ. №26 კრების ოქმის სამართლებრივი საფუძველია. სააპელაციო სასამართლო არასწორად გადაწყვიტა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობის საკითხი. სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლი გამოყოფს აქტის ბათილობის ორ საფუძველს, აქტის კანონსაწინააღმდეგობასა და მისი მოზადება-გამოცემის წესის დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, აქტი კანონსაწინააღმდეგობის საფუძვლით უნდა გაბათილებულიყო, ხოლო სასამართლომ მხოლოდ მომზადება-გამოცემის კანონზომიერებაზე იმსჯელა და მხოლოდ ამ საკითხზე დაყრდნობით გამოიტანა გადაწყვეტილება. როგორც პირველი ინსტანციის, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს 10.07.2014წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად.

საკასაციო სასამართლოს 23.10.2014წ. განჩინებით ლ. ა-ის საკასაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება ლ. ა-ის სამოქალაქო სარჩელზე ბმა „...ის“ 03.12.11წ. №6 კრების ოქმის კანონიერების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელიც საფუძვლად დაედო მოცემულ დავაში სადავოდ გამხდარ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტების გამოცემას.

13.07.2018წ. საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა ლ. ა-ის წარმომადგენელმა საქმის წარმოების განახლების თხოვ-

ნით. განმცხადებელმა წარმოადგინა საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.11.2017წ. განჩინე-ბა, რომლითაც კანონიერ ძალაში შევიდა ბმა „...ის“ 03.12.116. №6 კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვე-ტილება. საკასაციო სასამართლოს 27.07.2018წ. განჩინებით ლ. ა-ის საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩი-ვარი უნდა დაემაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გა-საჩივრებული განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყო-ფილდეს სარჩელი შემდეგ გარემოებათა გამო:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 5.1 მუხ-ლის თანახმად, მიწის ნაკვეთი, სახლის ნაწილი და ის შენობა-ნაგე-ბობები, რომლებიც არ არის ინდივიდუალურ საკუთრებაში, ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას (საერთო სა-კუთრებას) შეადგენს. ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა წარმოიშო-ბა მრავალბინან სახლში ინდივიდუალური საკუთრების შეძენის-თანავე. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინათ-მესაკუთრეთა ამხანაგობა არის მრავალბინან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისათვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთი-ანება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. გ-ის საკუთრებაში მყოფი ... 25-ში არსებული 8.81 კვ.მ. სარდაფი მდებარეობს ამავე მისამართზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსში. აღნიშნულ სარ-დაფზე სადაც ს სიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.2011წ. №12/172615 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტით ნ. გ-ს დაუდასტურდა შენობის ფასადზე, სარდაფის კედელში I კლასის – კარის ღიობისა და ჩასასვლელი კიბის მოწყობის გან-ხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული აქტის გამოცემას სა-ფუძვლად დაედო ბმა „...ის“ 03.12.116. №6 კრების ოქმი, რომლი-თაც ამხანაგობის წევრების ნაწილმა გამოთქვა თანხმობა სარდა-ფის ჩასასვლელის და კარის ღიობის მოწყობის სამუშაოების ნ. გ-ის მიერ გაგრძელებაზე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სა-სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 14.07.14წ. გადაწყვე-ტილებით დაემაყოფილდა ლ. ა-ის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობი-ლი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ 03.12.116. კრების ოქმი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.01.17წ. განჩინებით ნ. გ-

ის და ნ. შ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, საკასაციო სასამართლოს 17.11.17ნ. განჩინებით ნ. გ-ისა და ნ. შ-ას საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად დარჩა. კანონიერ ძალაში მყოფი ხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილია, რომ ამხანაგობის სადავო კრების ოქმის მართლზომიერება საქმეში დაცული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, ვინაიდან ამხანაგობის წევრთა 2/3-ის მიერ თანხმობის გაცემა არ იყო საკმარისი დაგეგმილი სამუშაოს წარმოებაზე. საკასაციო პალატამ 17.11.17ნ. განჩინებით გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სამუშაოს წარმოებისთვის საჭირო იყო ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობა, რაც გასაჩივრებული კრების ოქმით არ დასტურდებოდა. ამასთან, დადგინდა, რომ ნ. გ-ის მიერ შენობის მთავარი ფასადის მხრიდან სარდაფის კედელში სარეკონსტრუქციო სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას ახდენდა შენობის მდგრადობაზე. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 02.02.2012ნ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 10.11.09ნ. კრების ოქმი და ნ. გ-ს ქ. თბილისში, ... ქ. №25-ში მდებარე მისი კუთვნილი სარდაფის კედელში მოწყობილი ღიობის მოშლა და კედლის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა დაუვალა. გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.12.12ნ. განჩინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შენობის მთავარი ფასადის მხრიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები (ღიობის გაჭრა) წარმოადგენდა სამუშაოებს ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებულ შემომზღვდულავ არამზიდ კედელზე, რომლის განხორციელებაც ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობას საჭიროებდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საკასაციო პალატის 26.04.13ნ. განჩინებით.

სსკ-ის 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-4 მუხლის, სსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოებისთვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულო-

ობა ნიშნავს იმას, რომ არ უნდა არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. მოცემული დავისათვის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვთ, გადაწყვეტილებებით დასტურდება ამხანაგობის თანხმობის არარსებობა, კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით დასტურდება აგრეთვე ბმა „...ის“ 03.12.116. №6 კრების ოქმის ბათილობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების უარყოფითი ზეგავლენა კორპუსის მდგრადობაზე. კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებებით შეფასება მიეცა საქმეში დაცულ არაერთ ექსპერტიზის დასკვნას (მაგ. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 15.04.116. №13-71; 24.05.116. №5-009252-2011, 06.07.116. დასკვნები, შპს „...ს“ ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას), რომლებიც განსხვავებულად აფასებენ სამუშაოების უსაფრთხოების საკითხს, საექსპერტო დასკვნების შეფასების შედეგად კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილად იქნა ცნობილი, რომ სამუშაოები უარყოფით ზეგავლენას ახდენდნენ შენობის მდგრადობაზე. ამასთანავე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის არარსებობა უკვე თავისთავად ქმნის სადავო აქტების ბათილად ცნობის საკმარის საფუძველს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში მყოფ 02.12.126. გადაწყვეტილებით ბმა „...ის“ 10.11.096. კრების ოქმის ბათილად ცნობასთან ერთად ნ. გ-ს დაევალა კედელში მოწყობილი ლიობის მოშლა და კედლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა, ამდენად სადავო აქტი ეწინააღმდეგება კანონიერ ძალაში მყოფ სასამართლო გადაწყვეტილებას, რომელიც გამორიცხავს კედლის რეკონსტრუქციას.

ბმა „...ის“ 03.12.116. №6 კრების ოქმის ბათილად ცნობის და შენობის მდგრადობასთან მიმართებაში სამუშაოების უსაფრთხოების თაობაზე დასკვნაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების არსებობის გათვალისწინებით, აგრეთვე კედლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის გათვალისწინებით, უდავოდ დგინდება მოცემულ საქმეში სადავო აქტების კანონშეუსაბამობა, რაც სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის. განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლამოების წესით გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტებით დადგენილია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძვლების უკანონობა. ამდენად, ვინაიდან სახეზეა სადავო აქტების გამოცემის საფუძვლების – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილობა და შენობის მდგრადობასთან სა-

მუშაოების შეუსაბამობაზე გადაწყვეტილების არსებობა, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ დასტურდება სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ქ. თბილისის მერიის გასაჩივრებული 20.04.2012წ. №987 განკარგულების გამოცემისას არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და არასწორი შეფასება მიეცა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოსაზრებას 6. გ-ის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობის საჭიროების, თანხმობის გასაცემად წევრთა 75%-ის არასაკმარისობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 6. გ-ის 16.12.116. №12/172615-13 განცხადებით მოთხოვნილი კარის ლიობის და სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოწყობა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების 65.1 მუხლის შესაბამისად, განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის განხორციელება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა დაგეგმილი მშენებლობა საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის წერილობით დადასტურებას. ის გარემოება, რომ 6. გ-ის მიერ განხორციელებული სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განხორციელება მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს, არ ნიშნავს იმას, რომ მითითებული სამუშაოების განხორციელება არ საჭიროებს ამხანაგობის წევრთა თანხმობას და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. არქიტექტურის სამსახურის თანხმობა არ ცვლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანხმობის საჭიროებას, ვინაიდან ფასადის მხრიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები არის ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებაში არსებულ კედელზე განსახორციელებელი სამუშაო, რაც ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობას საჭიროებდა. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის 6.5 მუხლის თანახმად ტექნიკური სართულები, მზიდი და შემომზღვდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი ობიექტებია, რომელთა სარგებლობაში გადაცემა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზეა შესაძლებელი. საპროექტო ტერიტორია მოქცეული იყო ამხანაგობის წევრთა თანასაკუთრების მინაზე. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სანებარ-

თვო პირობების დადგენა ხორციელდება საკუთრების უფლების დაცვით. შესაბამისად, სადავო სამუშაოების როგორც დაწყებას, ასევე გაგრძელებას ესაჭიროება ყველა წევრის თანხმობა, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის. არქიტექტურის სამსახურის თანხმობას მნიშვნელობა აქვს თანამესაკუთრეთა თანხმობის არსებობის შემთხვევაში, I კლასის მშენებლობა არ ათავისუფლებს მშენებლობის მწარმოებელს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის ვალდებულებისგან („მშენებლობის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების 66.1 მუხ.), არქიტექტურის სამსახურის მიერ წერილობითი თანხმობის გაცემის კანონიერებას არ ადასტურებს მხოლოდ ის გარემოება, რომ დამკვეთმა – ნ. გ-მა აცნობა განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით ადმინისტრაციულ ორგანოს. მშენებლობის წერართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვადაში წერილობით ადასტურებს დაგეგმილ მშენებლობა/მონტაჟის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას სრულყოფილი დოკუმენტების საფუძველზე (66.7 მუხ.). ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას, რომელიც მიმართულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვის, ექსპლუატაციის და განვითარებასთან დაკავშირებული ურთიერთობების წარმოშობის, შეწყვეტის ან შეცვლისაკენ. არქიტექტურის გადაწყვეტილება წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამახანაგობის „.....ის“ გადაწყვეტილების, 03.12.11წ. №6 კრების ოქმის სამართლებრივ შედეგს. „არსებული შენობის ფასადზე, სარდაფის კედელში I კლასის – კარის ლიობისა და ჩასასვლელი კიბის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე“ ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 22.12.11წ. №12/172615.13 წერილობითი დასტურის ტექსტის მიხედვით საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამონმა წარმოადგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ, საჯარო რეესტრიდან ამონაზერი და ამხანაგობის კრების ოქმი, დაადგინა მათი ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და დაადასტურა ქ. თბილისში, სექტორი – ..., ...25-ში, ... ქუჩის მხრიდან, მოქ. 6. გ-ის კუთვინილ სარდაფის ფართში კარის ლიობის და სარდაფში ჩასასვლელი კარის მოწყობის შესაძლებლობა. კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის შემონმება არ იყო სრულყოფილი, ამხანაგობის კრების ოქმი არ პასუხობდა კანონმდებლობის მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სადავო აქტის-

თვის აუცილებელი დოკუმენტის – კრების ოქმის წარუდგენლობა, შესაბამისად არ დასტურდება სადაც აქტის გამოცემის კანონიერი საფუძველი. პირველი კლასის მშენებლობაზე თანხმობის გაცემისას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „....ის“ კრების ოქმის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის გამოკვლევის აუცილებლობაზე უთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.11.11ნ. გადაწყვეტილება (საქმე №ბს-686-674(კ-11)), რომელსაც პრეიუდიციული ძალა აქვს მოცემული საქმისათვის. ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლოს 15.11.11ნ. გადაწყვეტილების შემდეგ 6. გ-მა მოითხოვა თავისი 28.04.10ნ. განცხადების განუხილველად დატოვება, რაც არქიტექტურის სამსახურის 14.02.12ნ. №536 ბრძანებით დაკმაყოფილდა და არქიტექტურის სამსახურის სადაც აქტი 6. გ-ის ახლი გადაწყვეტილების განხილვის შედეგად არის გამოცემული, არ გამორიცხავს საკასაციო სასამართლოს 15.11.11ნ. გადაწყვეტილების მოცემული დავისათვის პრეიუდიციულ მნიშვნელობას, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება გამოტანილია ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ დავაზე. საკასაციო სასამართლოს 15.11.11ნ. გადაწყვეტილების მითითებების და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით სადაც აქტი – წერილობითი თანხმობა გაიცა ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირის ლ. ა-ის ჩაბმის გარეშე. შეფასება არ მისცემია ბმა „....ის“ №6 კრების ოქმის, სამსახურს არ უმსჯელია კრების ოქმის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა სადაც აქტების ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობა. სააპელაციო პალატის დასკვნები აქტების კანონშესაბამისობის და საწარმოებელი სამუშაოების უსაფრთხოების კუთხით შეფასების თაობაზე ენინაალმდეგება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს ქმნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

ამასთან, სსსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და ქ. თბილისის მერიას სოლიდარულად უნდა დაეკისროთ ლ. ა-ის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის გა-

დახდა, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100ლ., სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლ. და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლ., სულ 550 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ი ტ ა:**

1. ლ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.11.2013- განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ლ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.12.2011წ. №12/172615 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქ. თბილისის მერიის 20.04.2012 წ. №987 განკარგულება.
4. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს – სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს და ქ. თბილისის მერიას ლ. ა-ის (პ/ნ ...) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ ლ. ა-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარი.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მშენებლობის ნებართვის გათიღად ცნობისა და  
არძიშვილული პროექტის შეთანხმაზე უარის  
თქმის კანონის რეგულირება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-974(კ-18)

10 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 3 თებერვალს კ. და ნ. გ-ებმა სასარჩელო განცხადე-  
ბით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-  
ციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქალაქ თბილისის მუნიცი-  
პალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-  
ტის მერის მოადგილის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანებით  
ნანილობრივ დაკმაყოფილდა მესამე პირის კ. ქ-ის ადმინისტრაცი-  
ული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივ-  
ლისის №2044433 ბრძანება, რის გამოც შეფერხდა მათი საცხოვ-  
რებელი სახლის მშენებლობა და ადგებათ ზიანი. აღნიშნულს მო-  
სარჩელები უკანონოდ მიიჩნევენ და მიუთითებენ, რომ სადაცო  
ტერიტორიაზე, სადაც საცხოვრებელი ბინა შენდება, არ არსებობს  
ხაზობრივი ნაგებობა და იგი არც საჯარო რეესტრში არ არის რე-  
გისტრირებული. სადაც მინის ნაკვეთზე არ არის სანიაღვრე ქსე-  
ლი, ხოლო მოსახლეობის მიერ მოწყობილი ქსელი მხოლოდ უზრუნ-  
ველყოფს ზედაპირული და ნაჟური წყლების გატარებას, რაც გა-  
მორიცხავს დატბორვის საფრთხეს. ამასთან, მოსარჩელეთა მითი-  
თებით, ადმინისტრაციული წარმოების მასალებით არ დგინდება  
შპს „...ის“ დ=75 მმ-იანი მილი სად კვეთს მათ კუთვნილ მინის ნაკ-  
ვეთს.

ამდენად, მოსარჩელებმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
მერიის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანების მე-2 და მე-3

ნაწილების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2016 წლის 5 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ შპს „...ი“, კ.ქ-ი და სიიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით კ. გ-ის და ნ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანების მე-2 და მე-3 ნაწილები.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ამონანწერით საჯარო რეესტრიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 3 ნოემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრში კ. გ-ის და ნ. გ-ის სახელზე №... საკადასტრო კოდით თანასაკუთრების უფლებით ირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1114.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე – მცხეთა, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრში კ. ქ-ის სახელზე №... და №... საკადასტრო კოდებით საკუთრების უფლებით ირიცხება ქ. თბილისში, სოფელი ...ი, ...ის ნაკვეთები, მდებარე ორი მიწის ნაკვეთი, რომლებიც წარმოადგენენ კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №...) მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 22 ივნისს სიიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს №AR1319489 განაცხადით მიმართა კ. გ-მა ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ (ნომენკლატურა: ინდივიდუალური ერთბინანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, ახალი მშენებლობა, სტადიები: პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა). კ. გ-ის და ნ. გ-ის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ნარდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია. სიიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე კ. გ-ის და მოქალაქე ნ. გ-ის

თანასაკუთრების მინის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდი-ვიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანებით გაიცა მშენებლობის წებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 ივლისიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ კ. გ-მა და ნ. გ-მა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით გაცემული მშენებლობის წებართვის საფუძველზე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მინის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) დაიწყეს მშენებლობა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, კ. ქ-ის წარმომადგენლებმა მ. ც-მა და ა. პ-მა 2015 წლის 12 ოქტომბრის №47842/15 (13.10.2015, №07/13089-13) ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანება. კ. ქ-ის 2015 წლის 12 ოქტომბრის №47842/15 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილულ იქნა 2015 წლის 30 ოქტომბრის გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე. ზეპირი მოსმენის გამართვის თარიღის და ადგილის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სათანადო წესით აცნობა კ. ქ-ის წარმომადგენლებს, ნ. გ-ს, კ. გ-ს, სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანებით წანილობრივ დაკმაყოფილდა კ. ქ-ის 2015 წლის 12 ოქტომბრის №47842/15 ადმინისტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანება.

სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: №...) საჯარო რეესტრში ხაზობრივი ნაგებობები, მათ შორის წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალგაყვანილობის ობიექტები არ ფიქსირდება. კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: №...) განთავსებული იყო შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი მილი, რომელიც კომპანიის მიერ გადატანილ იქნა №... სადაც მიწის ნაკვეთიდან. ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის

I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) შპს „...ის“ წყალარინების მილი არ გაედინება.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიჩნია, რომ კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: №...) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანიაღვრე ქსელი არ გადის. აღნიშნულ ნაკვეთზე გადის მოსახლეობის სხვადასხვა დიამეტრის მიღებით მოწყობილი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ზედაპირული და ნაჟური წყლების გატარებას. ზოგიერთი მიღის დიამეტრის სიმცირის გამო ვერ ხერხდებოდა დიდი ოდენობის წყლის ხარჯის გატარება, რის გამოც მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2013-2014 წლებში ...ის ...ში ...ას ქუჩაზე მოწყობილი ქწნა სანიაღვრე კოლექტორი.

კ. გ-ის და ნ. გ-ის დაკვეთით ჩატარებული ინდივიდუალური სახლის საინჟინრო-ტექნიკური გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ბურღვის პროცესში წყალი არ დაფიქსირებულა. მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე გრუნტის წყალი არ დაფიქსირდა. ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისთვის დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. ამავე კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ მშენებლობის პროცესში წყლის მიღების და ზიანების შემთხვევამ და ატმოსფერულმა ნალექებმა შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო ადგილის დატბორვა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. სასამართლომ განმარტა, რომ ქონებით (ნივთით) სარგებლობა გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ქონების (ნივთის) სამშენებლო საქმია-

ნობის განვითარების მიზნით გამოყენებასაც.

სასამართლომ მიუთითა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობის-თვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების პორტნურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვა არის ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას, ხოლო ამავე კანონის 24-ე მუხლის 23-ე პუნქტის თანახმად, ნებართვის ერთ-ერთი სახეა მშენებლობის ნებართვა.

სასამართლოს მითითებით, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობანაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დადგენილების მიზანია მისი რეგულირების სფეროში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და პრინციპების განხორციელების უზრუნ-

ველყოფა. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 43-ე პუნქტის თანახმად, მშენებლობის წებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის წებართვა, რომელიც როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია – მშენებლობის წებართვის გაცემა. ამავე დადგენილების 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის წებართვის გაცემა წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითა და „ლიცენზიებისა და წებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამავე დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ერთერთი სახეა ახალი მშენებლობა, ხოლო ამავე დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის წებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით.

სასამართლომ მიუთითა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-104 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების)“ მე-3 მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა: დადგენილი წესით სამშენებლოდ მინის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენა, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის წებართვის გაცემა და კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათში ცვლილებების შეტანა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანებით, კ. ქ-ის 2015 წლის 12 ოქტომბრის №47842/15 ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად ბათილად იქნა ცნობილი სისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი,

სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე კ. გ-ის და მოქალაქე ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანება წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოების დადგენას, არსებობდა თუ არა სადაც აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. კერძოდ, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში აღურიცხავი ხაზობრივი ნაგებობის, მათ შორის მოსახლეობის მიერ თვითნებურად მოწყობილი მილების არსებობის ფაქტი თუ იყო ცნობილი ან უნდა ყოფილიყო ცნობილი მშენებლობის წებართვის გამცემი ორგანოსათვის და ხსენებული ფაქტობრივი მდგომარეობა თუ ქმნიდა სამშენებლო პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის საფუძველს.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლზე, რომლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხაზობრივი ნაგებობა არის საკომუნიკაციო ნაგებობა, საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, საპარკო-საბაგირო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი, ფუნიკულიორი, დამბა, არხი. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავი ნივთი არის მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა. სასამართლომ ასევე მიუთითა „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-2 მუხლის 89-ე პუნქტზე, რომლის მიხედვით, ხაზობრივი ნაგებობა არის საკომუნიკაციო ნაგებობა: საავტომობილო გზა, რკინიგზა, ყველა სახის მილსადენი, მილგაყვანილობა, საპარკო-საბაგირო გზა, ელექტროგადამცემი ხაზი, კავშირგაბმულობის ხაზი (ქსელი), ფუნიკულიორი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობა საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული არ იყო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ასევე უდავოა, რომ საპ-

როექტო მინის ნაკვეთი რაიმე ვალდებულებით დატვირთული არ არის. კერძოდ, ვერ იქნა ნარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მესაკუთრის თანხმობით საპროექტო მიწის ნაკვე- თის გამოყენება ხდება მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეე- ბის მიერ ნალექების გასატარებლად. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტუ- რის სამსახურის 2015 წლის 23 სექტემბრის №2200576 წერილზე, რომლითაც დასტურდება, რომ სადავო ტერიტორიაზე (საკადას- ტრო კოდი: ...) ხაზობრივი ნაგებობები, მათ შორის წყალმომარაგე- ბის, კანალიზაციის, წყალგაყვანილობის ობიექტები არ ფიქსირდე- ბა, რაც დასტურდებოდა №AR1342116 განაცხადზე ატვირთული ტოპოგრაფიული გეგმით, აეროფოოტო გადაღებით და საჯარო რე- ესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული საჯარო რეეს- ტრის ამონაწერებით, საკადასტრო გეგმებით დასტურდება, რომ მოსარჩევების მიერ საპროექტო დოკუმენტაციის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარ- დგენის დროს სადავო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) რეგისტრირებული არ ყოფილა ხაზობრივი ნაგებობა, მათ შორის შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსადენის ქსელი და მოსახლეობის მიერ სხვადასხვა დიამეტრის მილებით მოწყობი- ლი ქსელი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე დადგენილ ფაქ- ტობრივ გარემოებაზე, რომ კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე – ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტო- რია, საკადასტრო კოდი: №...) განთავსებული იყო შპს „...ის“ ბალან- სზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსადენის მილი, რომელიც კომპა- ნის მიერ გადატანილ იქნა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირე- ბული მიწის ნაკვეთიდან. ამრიგად, სადავო მიწის ნაკვეთზე აღარ გაედინება შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსადე- ნის მილი. სადავო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) შპს „...ის“ წყალარინების მილი კი არ გაედინება.

სასამართლომ განმარტა, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მო- სახლეობის მიერ თვითნებურად სხვადასხვა დიამეტრის მილებით მოწყობილი ქსელი არ წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის ბა- თილად ცნობის და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უა- რის თქმის საფუძველს. სამშენებლო ნორმები და წესები არ კრძა- ლავს შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებ- ლობის ნებართვა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მიერ თვითნებუ-

რად მოწყობილია წყალგამტარი ქსელი.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ არ სებობდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება. სასამართლომ მხარეთა ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 30 ნოემბრის №10-16/17951 წერილზე, რომლითაც დგინდება, რომ კ. გ-მა და ნ. გ-მა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) დაიწყეს მშენებლობა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევებმა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანების საფუძველზე განახორციელებს იურიდიული მნიშვნელობის ქმედება – დაიწყეს მშენებლობა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით. სასამართლოს აღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოება აგრეთვე მიუთითებდა იმაზე, რომ გასაჩივრებული ად-

მინისტრაციული აქტით მოსარჩელეებს მიადგებათ ზიანი.

სასამართლოს მითითებით, ასევე არ დასტურდება, რომ მოსარჩელეებისთვის ცნობილი იყო მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შპს „....ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსადენი მილის არსებობის თაობაზე. ამრიგად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის მოთხოვნას საფუძვლად არ დადებია მოსარჩელეთა უკანონო ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეზე დადგენილ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი ასახული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამებოდა მოცემული ურთიერთობის გადაწყვეტისათვის აუცილებელ სამართლებრივ ნორმებს, შესაბამისად, სახეზე იყო მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. და ნ. გების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლზე, რომელიც შექხება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამკვეთი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, განცხადებას უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000). აღნიშნული დადგენილების 67-ე მუხლის მე-2

პუნქტი შეიცავს II კლასს მიკუთვნებულ შენობა-ნაგებობათა ჩა-მონათვალს; 68-ე მუხლი შეეხება II კლასის შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის წესს; ხოლო 69-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია იმ აუცილებელი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) ჩამონათვალი, რომელსაც უნდა შეიცავდეს II კლასის შენობა-ნაგებობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, II კლასის შენობა-ნაგებობის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი მოიცავს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ მიწის ნაკვეთის გეგმას (სადაც შეიძლება ნაჩერები იყოს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები, მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსება, მისასვლელი გზები, ავტოსადგომები, ღობეები, გამწვანება და სხვა ნაწილები).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ 2015 წლის 22 ივნისს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს №AR1319489 განცხადებით მიმართა კ. გ-მა, კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით (ნომენკლატურა: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, ახალი მშენებლობა, სტადიები: პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა). ასევე, დადგენილია, რომ განცხადებას ერთოვდა ტოპოგრაფიული გეგმა, რომელზეც არ იყო დატანებული საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული წყლის მიღები და სანიაღვრე ქსელები. აღნიშნული განცხადებით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე, კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და ამავე ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე,

მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყოს მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შედგენა, ხოლო მე-7 პუნქტის თანახმად, დამკვეთი პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეები მითითებული დადგენილებით განსაზღვრული სამშენებლო საქმიანობის სუბიექტები არაან, რომლებსაც 2015 წლის 22 ივნისს წარდგენილი განცხადების შინაარსის შესაბამისად, გააჩნდათ ინტერესი, მათ თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთზე (ს/კ ...) შეთანხმებულიყო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაცემულიყო შენებლობის ნებართვა. ამასთანავე, სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა დადგენილიყო II კლასის შენობასთან მიმართებაში, ამ ტიპის სამშენებლო დოკუმენტის პროექტი კი, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებიდან გამომდინარე, აუცილებლად ითვალისწინებს მინის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ მინის ნაკვეთის გეგმას, რომელზეც შეიძლება ნაჩვენები იყოს მინის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრები, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები, მინის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსება, მისასვლელი გზები, ავტოსადგომები, ღობეები, გამნენება და სხვა ნაწილები.

პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული გეგმის წარდგენის ვალდებულების არსებობის გარდა, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელეებს ასევე გააჩნდათ ვალდებულება, მითითებული დოკუმენტი წარედგინათ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ვინაიდან, ამავე დადგენილების 20.7 მუხლის თანახმად, დამკვეთი პასუხისმგებელია მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, სოჭელ ...ში, ...ის ნაკვეთებზე მდებარე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია კ. ქ-ის საკუთრების უფლება (ს/კ ..., მინის ნაკვეთის დაზუსტებული ფართი 600 კვ.მ, შენობის ფართი 50.76 კვ.მ, ს/კ ..., მინის ნაკვეთის დაზუსტებული ფართი 340 კვ.მ) და აღნიშნული მინის ნაკვეთები ემიჯნებიან მოსარჩელეთა თანასაკუთრებაში არსებულ მინის ნაკვეთს (ს/კ ...). სადაც ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი გახდა კ. ქ-ის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2015 წლის 12 ოქტომბერს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მიწის ნაკვეთზე, სადაც ადგილი აქვს სადავო მშენებლობას, გადის წყალშემკრები მილი, ამასთანავე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით, ნებადართული სამშენებლო სამუშაოების შედეგად, აღნიშნული მილი ექცევა მშენებარე ობიექტის ქვეშ, ასევე თავად დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე გრუნტის წყალი არ ფიქსირდება, მაგრამ მშენებლობის პროცესში წყლის მიღების დაზიანების შემთხვევაში, ატმოსფერულმა ნალექებმა შეიძლება გამოიწვიოს სამშენებლო ადგილის დატბორვა. ამდენად, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ბრძანებით შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ობიექტის განთავსებით არათუ შეუძლებელია წყალშემკრები მილიდან მინიმალური დაშორების დაცვა, არამედ საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ხდება უშუალოდ წყალშემკრები მილის ზემოთ. ამგვარი დასკნის გაკეთების ფაქტობრივ საფუძვლად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიუთითა შპს „თ...ის“ 2015 წლის 29 სექტემბრის №1/2628 ნერილი, რომლის თანახმად, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია არა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სანიადვრე ქსელი, არამედ მოსახლეობის მიერ კერძო საცხოვრებელი სახლების ეზოებში სხვადასხვა დიამეტრის მიღებით მოწყობილი ქსელი, რომელიც დღეის მდგომარეობით უზრუნველყოფს ზედაპირული და ნაფური წყლების გატარებას. ასევე გათვალისწინებულ იქნა შპს „თ...ის“ 2015 წლის 24 სექტემბრის №9285/09 ნერილი, რომლის მიხედვით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არ გადის კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალარინების ქსელი, მაგრამ გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული დ=75 მმ-იანი წყალსადენის ქსელი, რომლის მიმართაც დაცული უნდა იყოს სამშენებლო ნორმებით და წესებით განსაზღვრული სანიტარული ზოლის მოთხოვნები, კერძოდ, სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, ნებისმიერი შენობა-ნაგებობის წითელი ხაზები წყალსადენის ქსელიდან დაშორებული უნდა იყოს 5 მეტრით, ორივე მხრიდან.

პალატამ აღნიშნა, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, ნესების და ტექნიკური რეგულირების სხვა

დოკუმენტების გამოყენების „შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცებამდე, სამშენებლო საქმიანობისას გამოყენებულ უნდა იქნეს დანართში მოცემული ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ენინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა აღტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმებისა და წესების ან ნორმატიული აქტების სახით. დანართით გათვალისწინებული სამშენებლო ნორმებისა და წესების „ქალაქთმშენებლობის“ (CHиП-2.07.01-89) 7.23 პუნქტის (ცხრილი №14) თანახმად, წყალმომარაგების, საწნევის საკანალიზაციო სისტემასა და შენობა-ნაგებობის საძირკველს შორის დაშორება უნდა შეადგინდეს 5 მეტრს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2018 წლის 17 მაისს, სასამართლოს დავალების შესაბამისად, საქმეზე წარმოდგენილი შპს „თ...ის“ წერილით დგინდება, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა ადგილზე გასვლით შეისწავლეს თბილისში, ...ი 2-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ ...) და მისი მიმდებარე ტერიტორია. დადგინდა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობა (შენობის კუთხე) ....ას ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორიდან (D=2000X2000მმ) დაცილებულია 2,5 მეტრით. ამავე წერილში მითითებულია, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სანიაღვრე კოლექტორის კედლიდან (D=1000მმ-იანი და მეტი დღიამეტრი) დაცილება უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი. ამდენად, პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, დადასტურებულია სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა, შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანების ბათილად ცნობის კანონიერი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელ-

მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და უკანონ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მას მიადგება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძვლად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონი ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით, ქ. თბილისში, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე, კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური ერთბინანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შეთანხმდა და მშენებლობის ნებართვა გაიცა იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი მოთხოვნის შემცველი განცხადების წარდგენისას, განცხადებაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე არ იყო აღნიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები, ამდენად, უდავო იყო, რომ მოსარჩელეთა ინტერესში შემავალი საკითხის გადაწყვეტას წინ უძლვოდა მათივე უკანონი ქმედება – ტოპოგრაფიული გეგმის წარდგენა მასზე საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რეალურად არსებული კოლექტორის დატანების გარეშე, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა მოსარჩელეთა კანონიერი ნდობა სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანების ბათილად ცნობის დამაბრკოლებელი გარემოება.

ამასთან, პალატამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით გაიზიარა აპელანტის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სანიალვრე ქსელებსა და წყლის მილებზე შენობის განთავსება საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რასაც ადასტურებდა თავად დამკვეთების მიერ ადმინისტრაციული ნარმობისას ნარდგენილი, 2015 წლის მაისის თვეში მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, კერძოდ, აღნიშნული კვლევის შედეგების თანახმად, მართალია, მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე არ ფიქსირდება გრუნტის წყალი, თუმცა მშენებლობის პროცესში წყლის მილების დაზიანებამ

და ატმოსფერულმა ნალექებმა შესაძლოა გამოიწვიოს სამშენებლო ადგილის დატბორვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მიჩნეული იქნებოდა, რომ მხარეს 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანების მიმართ გააჩნდა კანონიერი ნდობა, ზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მაინც არსებობდა აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბათილად ცნობილი აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევდა საზელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კ. და ნ. გ-ებმა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორები არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს მითითებას მასზე, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემას წინ უძღვოდა მათი უკანონო ქმედება. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორები მიუთითებენ, რომ არქიტექტურის სამსახურში მათ მიერ წარდგენილ იქნა ტოპოგრაფიული გეგმა, ხოლო რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ გეგმაზე არ იყო აღნიშნული საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელები, კასატორთა მითითებით, კანონით ხაზობრივი ნაგებობის განსათავსებლად საჭიროა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, აგრეთვე, ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრეების პირდაპირი ვალდებულებაა განახორციელონ აღნიშნული ნაგებობების რეგისტრაცია მარეგისტრირებულ ორგანოში, რათა ხაზობრივმა ნაგებობებმა ასახვა ჰპოვოს საჯარო რეესტრისა და არქიტექტურის სამსახურის შესაბამის რუკაზე. საკითხის შესწავლისას კი ირკვევა, რომ არც საჯარო რეესტრის და არც არქიტექტურის სამსახურის რუკაზე არ არის დატანილი აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობა, შესაბამისად, მათ მიერ წარდგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზეც არ იყო დატანილი საინჟინრო-კომუნალური ქსელი.

კასატორების განმარტებით, არ დასტურდება, რომ მათთვის ცნობილი იყო მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსადენი მილის არსებობის თაობაზე. აგრეთვე, მათთვის ცნობილი არ იყო ის გარემოება, რომ მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2013-2014 წლებში ...ის ...ში, კერძოდ, ...ას ქუჩაზე მოწყობილი სანიაღვრე კოლექტორის მიმართ დარღვეული იყო სამშენებლო ნორჩებითა და ხესებით განსაზღვრული ზოლი (დაშორება არანაკლებ 5 მეტრი). ამრიგად, მათ ქმე-

დებას – არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის მოთხოვნას საფუძვლად არ დადებია მათი მხრიდან უკანონო ქმედება.

კასატორთა მითითებით, საქმის განხილვის პერიოდში პირველი ინსტანციის სასამართლომ შეისწავლა საქმეზე დართული მტკიცებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურის სამსახურში წარდგენის დროს სადავო მინის ნაკვეთზე და მის მიმდებარედ რეგისტრირებული არ ყოფილა ხაზობრივი ნაგებობა. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კი ყურადღება გამახვილდა მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ 2013-2014 წლებში ...ის ...ში, კერძოდ, ...ას ქუჩაზე მოწყობილ სანიაღვრე კოლექტორსა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით მშენებარე ობიექტს შორის არსებულ დაშორებაზე.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საკითხის გადაწყვეტისას ასევე არასწორად იხელმძღვანელა სამშენებლო ნორმებისა და ნესების „ქალაქთმშენებლობის“ (СНиП-2.07.01-89) 7.23 პუნქტით (ცხრილი №14), რომლის თანახმად, წყალმომარაგების, სანერვის საკანალიზაციო სისტემასა და შენობა-ნაგებობის საძირკველს შორის დაშორება უნდა შეადგენდეს 5 მეტრს. კასატორები მიზნევენ, რომ აღნიშნული რეგულაცია არ უნდა გაცრცელდეს სანიაღვრე კოლექტორზე, ვინაიდან იგი არ გადის წყალმომარაგების ან სანერვის საკანალიზაციო სისტემის კლასიფიკაციაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. და ნ. გ-ების საკასაციო საჩივარი ნ. გ-ის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ნოემბრის განჩინებით განუხილველი დარჩა კ. და ნ. გ-ების საკასაციო საჩივარი კ. გ-ის ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ნოემბრის განჩინებით კ. და ნ. გ-ების საკასაციო საჩივარი ნ. გ-ის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. სასამართლო სხდომიდან კი ნ. გ-ის საკასაციო საჩივრის განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციონ საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის საა-პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. და კ. გ-ების სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხ-ლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საკასაციო სასამართლო იმსჯე-ლებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექ-სის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „სააპე-ლაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობ-რივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათ-ვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრე-ტენია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მი-თითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა საა-პელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განა-პირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგე-ნა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენე-ბა ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კა-სატორმა წარმოადგინა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შე-დავება).

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელეები სადაც ხდი-ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 დე-კემბრის №842 ბრძანების მე-2 და მე-3 ნაწილებს. სადაც ბრძანე-ბით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოცემულ საქმეში მესამე პირად ჩაბმული კ. ქ-ის 2015 წლის 12 ოქტომბრის №47842/15 ადმინის-ტრაციული საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ქალაქ თბი-ლისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა ქ. თბი-ლისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე კ. გ-ის და მოქალაქე ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტუ-რული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამონაწერით სა-ჯარო რეესტრიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 3 ნოემბრის მდგომა-

რეობით საჯარო რეესტრში კ. გ-ის და ნ. გ-ის სახელზე №... საკა-დასტრო კოდით თანასაკუთრების უფლებით ირიცხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1114.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მდებარე მცხეთა, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სადაც საკითხი ეხება მოსარჩევეთა საკუთრების უფლებას და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის შემთხვევას, დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს შეფასდეს აღმჭურველი აქტის გაუქმების შესაძლებლობა მოსარჩევეთა საკუთრების უფლების არსის გათვალისწინებით, რის გამოც საკასაციო სასამართლო, უპირველესად, საჭიროდ მიიჩნევს, მიმოიხილოს და განმარტოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული საკუთრების უფლების ნორმატიული შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუციის სადაც პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ღირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითრეალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების აღეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მენარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მის-

თვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას” (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება.

ამასთან, საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი იცავს საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვით: „1. ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. არავის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საზოგადოებრივ ინტერესშია და ექვემდებარება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პროცესებით გათვალისწინებულ პირობებს. 2. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს, რათა განახორციელოს საკუთრებით სარგებლობის კონტროლი საერთო ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების, სხვა კონტრიბუციებისა თუ ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების მიხედვით, აღნიშნული დებულება მოიცავს სამ განსხვავებულ წესს, კერძოდ, საქმეში „სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა: „პირ-

ველი წესი, რომელიც პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული, ზოგადი ხასიათისაა და აყალიბებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს. მეორე წესი, რომელიც პირველი პარაგრაფის მეორე წინადადებაშია მოცემული, ეხება მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევას და უქვემდებარებს მას კონკრეტულ პირობებს. მესამე წესი, რომელზეც მეორე პარაგრაფი მიუთითებს, აღიარებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებამოსილები არიან, *inter alia*, საჯარო ინტერესს შესაბამისად განახორციელონ საკუთრების გამოყენების კონტროლი“ (Sporrong and Lönnroth v. Sweden, №7151/75 და №7152/75, ჭ61, 23.09.1982).

რაც შეეხება საკუთრების უფლების შინაარსს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას განმარტავს როგორც ქონების (ნივთის) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება-მოსილებათა ერთიანობას (170-ე მუხლი). კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ ნარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. საკა-საციო სასამართლოს მითითებით, ქონებით (ნივთით) სარგებლობა გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ქონების (ნივთის) სამშენებლოდ განვითარებასაც. მინის გამოყენების სხვა შესაძლებლობებთან ერთად, საკუთრების შინაარსს განსაზღვრავს მისი მშენებლობის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

სწორედ საკუთრების უფლების რეალიზაციის პირობებში, 2015 წლის 22 ივნისს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს №AR1319489 განაცხადით მიმართა კ. გ-მაქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელ ...ი, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე კ. გ-ის და ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით (ნომენკლატურა: ინდივიდუალური ერთპინიანი საცხოვრებელი სახლი, II კლასი, ახალი მშენებლობა, სტადიები: პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა). კ. გ-ის და ნ. გ-ის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია. სსიპ ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31

ივლისის №2044433 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ...ის I მასივის ტერიტორიაზე მდებარე მოქალაქე კ. გ-ის და მოქალაქე ნ. გ-ის თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ამავე ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 ივლისიდან 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით. ასევე საქმეზე დადგენილ გარემოებას წარმოადგენს, რომ კ. გ-მა და ნ. გ-მა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 31 ივლისის №2044433 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე დაიწყეს მშენებლობა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით. ამდენად, სახეზეა აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება – დაიწყო მშენებლობა. აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიზიჭებული უფლების დაცვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კანონიერი ნდობა; ხოლო აღმჭურველი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველია მმართველობის კანონიერება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – კანონიერი ნდობის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი უშვებს კანონიერი და უკანონო აქტების და მათ საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, შესაბამისი სავალდებულო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. კანონიერი ნდობის ინსტიტუტის არსებობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ შედეგთან, სწორედ სამართლებრივი შედეგის სტაბილურობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება კანონიერი ნდობის დაცვა.

განსახილველ შემთხვევაში სადაცო გახდა მოსარჩელეთა კანონიერი ნდობის არსებობა ბათილად ცნობილი აღმჭურველი აქტის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელეთა ქმედების უკანონობაზე (ტოპოგრაფიული გეგმის ნარდგენა მასზე საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რეალურად არსებული კოლექტორის დატანების გარეშე) მითითებით გამორიცხა ნ. და კ. გ-ების კანონიერი ნდობის არსებობა, რასაც საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ საქმეზე არსებული გარემოებების ურთიერთშეჯერება გამორიცხავს ამგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით წარდგენილი დოკუმენტაცია სრულად არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან წარდგენილი რომელი-

მე დოკუმენტი არ არის საკმარისი კონკრეტული გარემოების და-  
სადასტურებლად, აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება  
იქცეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნა-  
წილით გათვალისწინებულ უკანონო ქმედებად და შესაბამისად,  
დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის გამომრიცხველ გა-  
რემოებად. მოსარჩელეთაგან დამოუკიდებელი მიზეზების არსე-  
ბობის პირობებში, მესამე პირთა მხრიდან მათი უფლებამოვალეო-  
ბების სათანადოდ განუხორციელებლობა დაუშვებელია საფუძ-  
ვლად დაედოს მოსარჩელეთა ქმედების უკანონოდ მიჩნევას და  
შესაბამისად, მათი კანონიერი ნდობის გამორიცხვას. განსახილველ  
შემთხვევაში დადგენილია, რომ კ. და ნ. გ-ბის თანასაკუთრებაში  
არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) საჯარო რეეს-  
ტრში ხაზობრივი ნაგებობები, მათ შორის, წყალმომარაგების, კა-  
ნალიზაციის, წყალგაყვანილობის ობიექტები არ ფიქსირდება. ასე-  
ვე უდავოა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი რაიმე ვალდებულე-  
ბით დატვირთული არ არის. კერძოდ, ვერ იქნა წარმოდგენილი რა-  
იმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მესაკუთრის თანხმობით  
საპროექტო მიწის ნაკვეთის გამოყენება ხდება მეზობელი მიწის  
ნაკვეთის მესაკუთრების მიერ ნალექების გასატარებლად. საყუ-  
რადლებოა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტუ-  
რის სამსახურის 2015 წლის 23 სექტემბრის №2200576 ნერილი,  
რომლითაც დასტურდება, რომ სადავო ტერიტორიაზე (საკადას-  
ტრო კოდი: №...) ხაზობრივი ნაგებობები, მათ შორის, წყალმომარა-  
გების, კანალიზაციის, წყალგაყვანილობის ობიექტები არ ფიქსირ-  
დება, რაც დასტურდებოდა №AR1342116 განაცხადზე ატვირთუ-  
ლი ტოპოგრაფიული გეგმით, აეროფოოტო გადაღებით და საჯარო  
რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით. საქმეში არსებუ-  
ლი საჯარო რეესტრის ამონაზერებით, საკადასტრო გეგმებით დას-  
ტურდება, რომ მოსარჩელების მიერ საპროექტო დოკუმენტაცი-  
ის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამ-  
სახურში წარდგენის დროს სადავო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო  
კოდი: №...) რეგისტრირებული არ ყოფილა ხაზობრივი ნაგებობა,  
მათ შორის, შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იანი წყალსა-  
დენის ქსელი და მოსახლეობის მიერ სხვადასხვა დიამეტრის მი-  
ლებით მოწყობილი ქსელი.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში  
მერიაში გამართულ სხდომაზე არქიტექტურის სამსახურის წარ-  
მომადგენელმაც აღნიშნა, რომ დამკვეთის მიერ წარდგენილი და  
საჯარო რეესტრში დაცული საკადასტრო გეგმებით, რომელზეც  
დატანილია შესაბამისი აღნიშვნები, არ დასტურდებოდა ამ ტერი-  
ტორიაზე ხაზობრივი ნაგებობების ფაქტი. იმ პირობებ-

ში, როდესაც ხაზობრივი ნაგებობის განსათავსებლად საჭირო იყო შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, ხოლო საქმეში ის არ იყო წარდგენილი, არქიტექტურის სამსახურმა მიიჩნია, რომ ამ გარემოების გათვალისწინებით დაუშვებელი იყო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს მითითებას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, განცხადებას უნდა დაერთოს მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა არსებული მდგომარეობით (მასშტაბი 1:500 ან 1:1000) და ამასთან, ამავე დადგენილების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დამკვეთი პასუხისმგებელია მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების სისწორისათვის, თუმცა აღნიშნულ პასუხისმგებლობას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს იმ დროს, როდესაც მაგალითისთვის, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ხაზობრივი ნაგებობა არ არის ასახული დამკვეთის მიერ წარდგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. მოცემულ ვითარებაში კი ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელეთა მიერ არასრული მასალის წარდგენა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული მათი მხრიდან უკანონო ქმედებად, რამდენადაც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში (საჯარო რეესტრი, არქიტექტურის სამსახური) ხაზობრივი ნაგებობების თაობაზე ინფორმაციის დაუცველობის პირობებში, გაუმართლებელია ასეთი ინფორმაციის წარუდგენლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მოსარჩელებზე დაქისრება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას მასზედ, რომ კანონით ხაზობრივი ნაგებობის განსათავსებლად საჭიროა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, აგრეთვე, ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრების პირდაპირი ვალდებულებაა განახორციელონ აღნიშნული ნაგებობების რეგისტრაცია მარეგისტრირებულ ორგანოში, რათა ხაზობრივმა ნაგებობებმა ასახვა ჰპოვოს საჯარო რეესტრსა და არქიტექტურის სამსახურში. იმ პირობებში კი, როდესაც არც საჯარო რეესტრში და არც არქიტექტურის სამსახურში არ არის დაფიქსირებული აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობები, დაუშვებელია მოსარჩელეთა ქმედების უკანონდ მიჩნევა მათ მიერ წარდგენილ ტოპოგრაფიულ გეგმაზე ხაზობრივი ნაგებობების დაუტანლობის გამო.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საწინააღმდეგოდ, ადასტურებს ბათილად ცნობილი აღმჭურველი აქტის მიმართ მოსარჩელეთა კანონიერი ნდობის არსებობას. მოცემულ შემთხვევა-

ში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული კანონიერი ნდობის გამომრიცხველი გარემოება. კანონიერი ნდობის და-დასტურების პირობებში კი არსებით მნიშვნელობას იძენს აღმჭურ-ველი აქტის ადრესატთა და სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების ურთიერთშეპირის-პირება. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მმართველობის ორ-განოს მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორება და ამ მიზნით ად-რესატისათვის აღმჭურველი გადაწყვეტილების გაუქმება საჭირო-ებს კანონიერებისა და კანონიერი ნდობის პრინციპების შეპირის-პირების შედეგად თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღებას. კა-ნონიერი ნდობა დაცვის ლირსია, უკეთუ დაინტერესებულმა მხა-რემ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სა-ფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედე-ბა, განხორციელებული ღონისძიებებით დაინტერესებულმა მხა-რემ მიიღო სარგებელი და აქტის ბათილად გამოცხადებით მას მი-ადგება ზიანი. კანონიერი ნდობის დაცვა არ ხდება, უკეთუ ინდივი-დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არ-ლვეცს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფ-ლებებსა და ინტერესებს, ამ საფუძვლით ინდივიდუალური ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემ-თხვევაში დაინტერესებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი. ამასთან, მმართველობის კანონიერების პრინციპისა და დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპის სამართლიანი ბალანსის დაცვისთვის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს აღმჭურველი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით ადრესატისადმი მიყენებული ზიანისა და ამ აქტის ბათილად გამოცხადებლობით მესამე პირებისა და სა-ზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შეპირისპირება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტუ-ლი სამართლის მიხედვით, საკმარისი არ არის, რომ უფლებაში ჩა-რევა კანონიერ მიზანს ემსახურებოდეს. არამედ, ასევე დაცული უნდა იყოს პროპორციულობა. საქმეში „სპორონგი და ლონროთი შეედეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება ხელყოფის დასაბუთების პრინციპთან დაკავშირებით: „...სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, იქნა თუ არა დაცული სამარ-თლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის. ....ამგვარი ბალანსის ძიება წარმოადგენს მთლიანად, კონვენციის განუყოფელ ნაწილს და ასევე, ასახულია [პირველი დამატებითი ოქმის] პირვე-

ლი მუხლის სტრუქტურაში“ (Sporrong and Lonnroth v. Sweden, №7151/75 და №7152/75, §69, 23.09.1982).

კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების კუთხით, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში „Megadat.com მოლდოვას წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საქმეში არსებულ კერძო ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის შემოწმების განუხორციელებლობა, დიდი აღბათობით, გამოყენებულ იქნება მოპასუხე სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ“ (Megadat.com SRL v. Moldova, №21151/04, §74, 08.04.2008). მოცემულ საქმეში სახელმწიფოს მხრიდან პირის კერძო ინტერესების უგულებელყოფა სხვა კერძო ინტერესების ფონზე დისკრიმინაციულად იქნა მიჩნეული.

ამასთან, მშენებლობის აკრძალვის კუთხით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები. საქმეში „პიალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ ადგილი ჰქონდა მშენებლობის დროებით აკრძალვას ქალაქის განაშენიანების ახალი გეგმის საფუძვლით და ასევე ექსპროპრიაციის ბრძანებას, რომელიც ზემდგომმა ორგანომ გაუქმებულად ცნო. მომჩინენისთვის მისი უფლებრივი მდგომარეობა გაურკვეველი იყო 13 წლის განმავლობაში. სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია იმ გარემოებაში, რომ „სადავო ლონისძიებები ემსახურებოდა გარემოს დაცვასა და ქალაქის განვითარებას ისეთ ზონაში, რომელიც მშენებლობით იყო გადატვირთული“ (Pialopoulos and Others v. Greece, №37095/97, §58, 15.02.2001). თუმცა, მისი შეფასებით, „მომჩინები სრულიად სამართლიანად დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეუფერხებლად ესარგებლათ მათი საკუთრებით 1987 წლიდან და ამის საპირნონედ, ვერანაირი ფინანსური კომპენსაცია ვერ მიიღეს“ (იხ. იგივე საქმე, §59). შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას (საკუთრების უფლება) შორის და ამის საფუძველზე დარღვევა დაადგინა.

მშენებლობის აკრძალვასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია საქმე „შპს ელია იტალიის წინააღმდეგ“, სადაც ადგილი ჰქონდა მშენებლობის აკრძალვას ხანგრძლივი დროის მანძილზე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის საფუძვლად მიიჩნია. სასამართლოს შეფასებით, „განსახილველი, მთელი პერიოდის განმავლობაში მშენებლობაზე აკრძალვის არსებობამ ცალსახად შეაფერხა მომჩინენის მიერ მისი საკუთრებით სრული სარგებ-

ლობა და მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, მისი მიწის გაყიდვის შესაძლებლობების მნიშვნელოვნად შემცირებით, კიდევ უფრო საზიანო ზეგავლენა იქონია მის მდგომარეობაზე” (Elia S.r.l. v. Italy, №37710/97, §81, 02.08.2001).

განსახილველ შემთხვევაში სადაცო ბრძანებით მერია აღმჭურველი აქტის გაუქმების საფუძვლად მიუთითებს სამშენებლო ობიექტის ქვეშ არსებული მეზობლების მიერ თვითნებურად, კანონის დარღვევით მოწყობილი მილების არსებობასა და შპს „...ის“ ბალანსზე რიცხულ დ=75მმ-იან წყალსადენ ქსელზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, კ. და ნ. გ-ების თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე ქ. თბილისში, სექტორი ...ი, სოფელი ...ი/ქალაქი თბილისი, სოფელი ...ი, ...ის I მასივის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: №...) შპს „...ის“ ბალანსზე რიცხული დ=75მმ-იან წყალსადენი ქსელი აღარ გაედინება, იგი კომპანიის მიერ გადატანილ იქნა №... მიწის ნაკვეთიდან. რაც შეეხება შპს „...ის“ წყალარინების მილს, იგი მითითებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...) არ გაედინება. აღნიშნული დაადასტურა შპს „...ის“ წარმომადგენელმაც საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, სადაც აღნიშნა, რომ კომპანიის მხრიდან სადაცო მშენებლობის მიმართ პრობლემა აღარ არსებობს. შესაბამისად, მერიის მხრიდან აღმჭურველი აქტის გაუქმების მითითებული საფუძვლებიდან სახეზე გვაქვს მეზობლების მიერ თვითნებურად, კანონის დარღვევით მოწყობილი მილები. საქმეზე უდავოდ დადასტურებულია აღნიშნული მილების თვითნებურად მოწყობის ფაქტი. საქმეში მესამე პირად ჩაბმული კ. ქ-იც (რომლის საჩივრის საფუძველზეც გაუქმდა მოსარჩელეთა სახელზე გაცემული მშენებლობის ნებართვა) მიცემულ ახსნა-განმარტებებში არაერთგზის ადასტურებდა კანონით დადგენილი წესის დაუცველად – „კუსტარულად“ მოწყობილი მილების არსებობას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე მოსახლეობის მიერ თვითნებურად სხვადასხვა დიამეტრის მილებით მოწყობილი ქსელი არ წარმოადგენს გ-სათვის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმისა და მშენებლობის აკრძალვის საფუძველს. მესამე პირთა მიერ თვითნებურად, კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოწყობილმა მილებმა არ უნდა გამორიცხოს მოსარჩელეთა უფლება საკუთარი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების თაობაზე. აღნიშნული შესაძლოა საფუძვლად დაედოს თვითნებურად მოწყობილი მილების გადატანას ან მერიის მხრიდან გ-ების საკუთრებაში არსებულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და არა მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის აკ-

### რძალვას.

გარდა აღნიშნულისა, სამართალწარმოებისას ასევე გამოიკვეთა სამშენებლო ობიექტიდან 2,5 მეტრით დაშორებული სანიაღვრე კოლექტორის არსებობა. კერძოდ, აღმჭურველი აქტის გაუქმების საფუძვლად საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ კოლექტორზე მითითებას სააპელაციო სასამართლო აკეთებს. ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის გაუქმების საფუძვლად არ მიუჩინევია კოლექტორი, რომელიც 2,5 მეტრით არის დაშორებული სამშენებლო ობიექტიდან. საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში აღმჭურველი აქტის გაუქმებაზე მსჯელობისას, აღმჭურველი აქტის ადრესატთა და სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პირის კანონიერი უფლებების ან ინტერესების ურთიერთშეპირისპირებისას, არსებითია ის გარემოება, რომ დასახელებული კოლექტორი არ მდებარეობს უშუალოდ გ-ების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და იგი სამშენებლო ობიექტიდან დაშორებულია 2,5 მეტრით.

ასევე აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგენილი სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა, რომლის მიხედვით, ე.ქ-ი, როგორც კ. ქ-ის მინდობილი პირი, აცხადებს, რომ ნ. გ-ისა და კ. გ-ის საქმესთან დაკავშირებით აღარ ჩივის და არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. თუმცა აღნიშნული არ ხსნის უსაფრთხო გარემოში, სამშენებლო წესების დაცვით მშენებლობის წარმოების ვალდებულებას, რამდენადაც, საქმის განხილვისას მერია ხაზგასმით მიუთითებდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულს ადასტურებს საკასაციო სასამართლოც და მიუთითებს, რომ მშენებლობის ნებართვის გაცემის ნებისმიერ სტადიაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება, ეს თავად მოსარჩელეთა ინტერესსაც წარმოადგენს. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე. ეს კანონი ასევე აწერიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩა-

მონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია: ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ამავე კანონის მე-3 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვა არის ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრული ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას, ხოლო ამავე კანონის 24-ე მუხლის 23-ე პუნქტის თანახმად, ნებართვის ერთ-ერთი სახეა მშენებლობის ნებართვა.

საკასაციო სასამართლო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით, დაუშვებლად მიიჩნევს მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, თუმცა ასევე დაუშვებლად მიიჩნევს მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფას, საკუთრების უფლების ფაქტობრივ ჩამორთმევას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, უნდა მოხდეს ინტერესთა დაბალანსება, არსებულ პირობებში ალტერნატიული გზების ძიება და არა მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხარჯზე, საკუთრების ფაქტობრივი ჩამორთმევით სახელმწიფოსა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა. არსებული მოცემულობის პირობებში გ-ების საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იკრძალება მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, სხვა პირთა საკუთრებაში არსებული მილების განთავსებით, იმ პირობებში, როდესაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ...ის I მასივის ტერიტორიაზე, სადაც მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების სხვა რაიმე შეზღუდვა მოსარჩელეებს არ აქვთ. მოსარჩელეთა მხრიდან მინის ნაკვეთის საკუთრებაში არსებობის ინტერესი მდგომარეობს სწორედ მის სამშენებლოდ განვითარებასა და სახლის აშენებაში, რაც განხორციელდა კიდეც, გაცემულია მშენებლობის ნებართვა, რომლის საფუძველზეც ნაწარმოებია გარკვეული სამშენებლო სამუშაოები. მერიის გადაწყვეტილებით კი განსაკუთრებული ტვირთი დაეკასრათ 6. და კ. გ-ებს. საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი უთანასწორობის შექმნას, როდესაც ერთი მხარე თვითნებურად და უკანონოდ ართმევს მეორე მხარეს სა-

კუთრების უფლებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო უპირობოდ ადასტურებს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფას, თუმცა არა მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ხელყოფის ხარჯზე.

განსახილველ შემთხვევაში მერიამ აღმჭურველი აქტის გაუქმებით, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე ფაქტობრივად ჩამოართვა გ-ებს საკუთრებით სარგებლობის უფლება, საკუთრებაში დაუტოვა 1114.00 კვ.მ მინის ნაკვეთი მშენებლობის აკრძალვით. საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვა კი თავად საკუთრების უფლების არსა არღვევს და მას მხოლოდ ფორმალურად რეგისტრირებულ უფლებად აქცევს. უსაფრთხო, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებასთან ერთობლიობაში, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული აღმჭურველი აქტის ადრესატთა საკუთრების უფლება და მითითებულ პირთა ინტერესების გათვალისწინებით მერიამ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში იმსჯელოს გ-ების საკუთრებაში არსებული 1114.00 კვ.მ მინის ნაკვეთის იმგვარად სამშენებლოდ გამოიყენებაზე, რა დროსაც დაცული იქნება როგორც გ-ების საკუთრების უფლება, ასევე სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხო გარემოში წარმართვა. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებები. ასეთ შემთხვევაში მერიამ მოსარჩელეთა საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მიზნით ალტერნატიული, დასაშვები და მოსახლეობისათვის უსაფრთხო პროექტის შეთანხმება უნდა უზრუნველყოს, რაზეც ალსანიშნავია, რომ თანხმობას აცხადებს თავად აღმჭურველი აქტის ადრესატი – ნ. გ-ი, რომელიც საკასაციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს თანხმობას გამოთქვამდა მორიგების გზით დავის დასრულებაზე. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლო პროცესზე ერთმნიშვნელოვნად ვერ დადასტურდა რეალურად რა ფუნქციური დანიშნულების მიღებია სახეზე და კონკრეტულად რა ზემოქმედებას ახდენს ისინი სამშენებლო ობიექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე; ასევე საყურადღებოა სადაც მშენებლობის განუხორციელებლობის პირობებშიც კი რამდენად უსაფრთხოა თვითნებურად, უკანონოდ მოწყობილი მიღები, რაც ასევე შეფასების საგანად უნდა იქცეს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კი მერიამ უნდა უზრუნველყოს საქმეზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება. ადმინისტრაციული ქმედების დროს საჭიროა ურთიერთსაპირისპირ ინტერესების ერთმანეთთან სწორი ურთიერთშეფარდება.

ამდენად, კასატორმა შეძლო წარმოედგინა დასაბუთებული სა-კასაციო პრეტენზია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს – თბილი-სის მერიას აღმჭურველი აქტის ბათილად ცნობის დროს შეფასე-ბის მიღმა დარჩა მოსარჩელეთა საკუთრების უფლება, ადმინის-ტრაციულ ორგანოს არ განუხილავს არსებულ პირობებში მიწის ნაკ-ვეთის სამშენებლოდ გამოყენების ალტერნატიული გზები, ისე მი-იღო გადაწყვეტილება მოსარჩელეთა საკუთრების უფლების ფაქ-ტობრივ ჩამორთმევაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხ-ლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავი-სუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შე-არჩოს ყველაზე მისაღებ გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომი-ერებისა და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დისკრეციული უფლებამოსილე-ბის განხორციელების პრინციპია საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილე-ბის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერ-ძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული ორგანოს ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციუ-ლი კოდექსის 601.6 მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სა-ხელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად იქნა ცნობილი, ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტე-რესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგა-ნონასწორების საფუძველზე უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრა-ციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობით მიყენებული ქო-ნებრივი ზიანი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამარ-თლო მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაემაყო-ფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის საა-პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწ-ყვეტილება, რომლითაც ნ. და კ. გ-ების სარჩელი უნდა დაემაყო-ფილდეს ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათი-

ლად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანების მე-2 და მე-3 ნაწილები და მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელების – ნ. და კ. გ-ების სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სარჩელსა და საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება 400 (100+300) ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ს :**

1. 6. გ-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. 6. და კ. გ-ების სარჩელი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 31 დეკემბრის №842 ბრძანების მე-2 და მე-3 ნაწილები და მოპასუხეს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას 6. და კ. გ-ების სასარგებლოდ დაეკისროს საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 400 (100+300) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მშენებლობის უფლების რეალიზაცია საკუთრების უფლების ფარგლებში**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1076(კ-18)

17 ოქტომბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათი-  
ლად ცნობა; ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გა-  
მოცემა.

**აღნერილობითი ნაწილი:**  
2016 წლის 30 მარტს ბ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა  
რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – ქალაქ რუსთა-  
ვის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.  
მოსარჩელის მითითებით, 2013 წლის 11 აპრილიდან საკუთრე-  
ბის უფლებით ფლობს ... კვ.მ მინის ნაკვეთს ქ. რუსთავი, ...ის ქ. №...  
კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ს/კ ... . მან აღნიშნული მინის  
ნაკვეთი შეიძინა ზ. ბ-ისაგან, რომელმაც, თავის მხრივ, 2012 წლის  
25 მაისს ქალაქ რუსთავის ქონების საუქციონო მუდმივმოქმედი  
კომისიის მიერ ჩატარებულ აუქციონზე გაიმარჯვა, რის საფუძველ-  
ზეც გაიცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენ-  
ტი. აუქციონში გამარჯვების შემდეგ, ზ. ბ-ს დაევალა ორი წლის  
მანძილზე განეხორციელებინა მშენებლობა შესყიდულ ნაკვეთზე.  
აღნიშნული ვალდებულება გადავიდა მოსარჩელეზე, როგორც მი-  
ნის ნაკვეთის ახალ მესაკუთრეზე. 2013 წლის 12 აპრილს მოსარჩე-  
ლებმ მიმართა მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად  
განსახორციელებელი მშენებლობის ესკიზების შეთანხმებისა და  
სამშენებლო საქმიანობისათვის უფლების გაცემის მოთხოვნით.  
2013 წლის 16 აპრილს თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის  
ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამ-  
სახურმა უარი უთხრა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე  
იმ საფუძვლით, რომ ქალაქის იურსახის შენარჩუნების მიზნით, ახ-  
ლომდებარე კორპუსების და საზოგადოებრივი ინტერესების გათ-  
ვალისწინებით, მიზანშეუწონელი იყო ქ. რუსთავი, ...ის ქ. №... საც-

ხოვრებელი სახლის მიმდებარედ მშენებლობის განხორციელება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსის №1/2537 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ რუსთავის მუნიციპიალიტეტის მერიას დაევალა ბ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8240 განცხადებასთან დაკავშირებით საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ რუსთავის მუნიციპიალიტეტის მერიაში ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება. ქალაქ რუსთავის მუნიციპიალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანებით მოსარჩელეს კვლავ უარი ეთქვა მისი 2013 წლის 12 აპრილის №8240 განცხადებით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ქალაქ რუსთავის მუნიციპიალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანების ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 3 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ი“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ 6. ხ-ი და დ. კ-ი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. რუსთავი, ...ის ქუჩა №... საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ს/კ ..., ... კვ.მ ფართის მინის ნაკვეთი წარმოადგენს მოსარჩელის საკუთრებას.

თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსის

2013 წლის 16 აპრილის №1/2537 გადაწყვეტილებით, ქალაქის იერ-სახის შენარჩუნების მიზნით, ახლო მდებარე საცხოვრებელი სახ-ლების მცხოვრებთა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომ-დინარე, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ქ. რუსთავში, ...ის ქ. №... საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელება. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყო-ფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით რუს-თავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწ-ყვეტილება გაუქმდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ რუსთავის მე-რიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის 2013 წლის 16 აპრილის №1/2537 ინდივიდუალურ ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ რუსთავის მუნი-ციპალიტეტის მერიას დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფი-ლი გამოკვლევის საფუძვლებზე ბ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8420 განცხადებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 4 დე-კემბრის №1981 ბრძანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გა-დაწყვეტილების აღსრულებისა და საქმის გარემოებათა სრულყო-ფილად გამოკვლევის მიზნით მიღებულ იქნა ადმინისტრაციულ წარ-მოებაში ბ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8240 განცხადება და და-ინყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ქალაქ რუსთავის მუ-ნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანებით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ქ. რუსთავში ...ის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტო-რია ურბანული დაგეგმარების თვალსაზრისიდან გამომდინარე არ წარმოადგენდა სამშენებლოდ მიზანშეწონილ ტერიტორიას, მინის ნაკვეთი მდებარეობდა ქალაქის ცენტრალურ ადგილას და ემიჯ-ნებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ პირველ სართულ-ზე არსებულ მიშენებებს, საფრთხე ექმნებოდა აღნიშნულ მინის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართების ფუნქციონირე-ბას და გარემო პირობებს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოპასუხე – ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანე-ბა მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარე-მოებების გამოკვლევის საფუძველზე, დაცულია ადმინისტრაცი-ული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი. ქ. რუსთავში, ...ის ქ. №... საცხოვრებელი სახლის

მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ ...) ... კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე მოსარჩელის მშენებლობის განხორციელებით იღახება მე-3 პირ-თა ინტერესები, ირლვევა ქალაქის საერთო იერსახე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპ-როცესო კოდექსის მე-17 მუხლზე, საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებზე, 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის უარი კანონსაწინააღმდეგოა. მოპასუხის წარმომადგენელი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ მშენებლობის განხორციელებით შეილახება მესამე პირთა უფლებები, უძრავი ქონება სადაც მოსარჩელეს მშენებლობის განხორციელება სურს, ურბანული დაგეგმარების თვალსაზრისით არ ნარმოადგენს სამშენებლოდ მიზანშეწონილ ტერიტორიას, იგი მდებარეობს ცენტრალურ ადგილას და გავლენას იქნიებს ქალაქის იერსახეზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ საქმის გარემოებები გამოკვლეულია სრულყოფილად, მოსარჩელემ ვერ შეძლო საწინააღმდეგო არგუმენტაციისა და იმ სამართლებრივი ნორმის მითითება, რომლის საფუძველზეც დაადასტურებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებისა და მის მიერ მიღებული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს, ვერ მიუთითა კანონის ისეთ დარღვევაზე, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, რის გამოც არ არსებობდა ბ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის წებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის წებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. დასახელებული დადგენილების მე-3 მუხლის 43-ე პუნქტის თანახმად, მშენებლობის წებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის წებართვა, რომელიც როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დად-

გენა (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა; ამავე დადგენილების 33-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, მშენებლობის ნებართვის მისაღებად დამკვეთმა უნდა უზრუნველყოს: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების პროექტის მომზადება; ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სათანადო სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენა და წარდგენა; 42-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის. დადგენილების 43-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაცხადი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ ამ დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადიისათვის აუცილებელ, ნებართვის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ პირობებს. დასახელებული დადგენილების 37-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე კი, ნებართვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სამიერე სტადიას ანარმოებს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც გამოსცემს შემდეგი სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს: ა) I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს; ბ) II სტადია – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები; გ) III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ნებართვის გაცემის სტადიებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული სამართლებრივი ნორმა იმპერატიულად ადგენს ნებართვის მაძიებელი პირის მიერ ნებართვის მისაღებად პირველი და მეორე სტადიის გავლას. პირველი სტადია, ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (შემდგომში – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება) და მეორე სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო

პროექტის შეთანხმება (შემდგომში – არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება). თითეული სტადიის გავლისას უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას რაზედაც გაიცემა შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ და არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, ნებართვის მაჩიებელი პირის მიერ ნებართვის მისაღებად არ არის განვლილი შესაბამისი სტადიები, არ არის მიღებული შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, შესაბამისად, მითითებული სტადიების უგულებელყოფა ცალსახად გამორიცხავს მესამე სტადიის – მშენებლობის ნებართვის მიღებას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 30-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივ დონეზე მშენებლობის ნებართვის რეგულირებას ახორციელებდნ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ამავე ნორმის 31-ე მუხლით კი დადგენილია მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის უფლებამოსილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენცია.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევემ 2013 წლის 12 აპრილს მიმართა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარდგენილი ესკიზის შეთანხმებისა და მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: ...) მშენებლობის ნებართვის მისაღებად. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლო წესით. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის 2013 წლის 16 აპრილის №1/2537 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის საფუძვლებზე პ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8420 განცხადებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანებით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ქ. რუსთავში ...ის ქ. №... საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია ურბანული დაგეგმარების თვალსაზრისიდან გამომდინარე არ წარმოადგენდა სამშენებლოდ მიზანშენონილ ტერიტორიას, მინის ნაკვეთი მდებარეობდა ქალაქის ცენტრალურ ადგილას და ემიჯნებოდა პინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ პირველ სართულზე არსებულ მიშენებებს, საფრთხე ექმნებოდა აღნიშნულ მინის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართების ფუნქციონირებას და გარემო პირობებს. ამასთან, მინის ნაკვეთი განთავსებული იყო ქალაქის ცენტრალურ გზაზე და გავლენას იქონიებდა ქალაქის იერსახეზე.

სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა სამშენებლო საქმიანობის და შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან შესაბამისი აქტების მიღებისას იცნობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში ქალაქის ერთიანი იერსახის შექმნა და განაშენიანების პროცესების სწორად წარმართვა უკავშირდება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს, ამ სახის ინტერესის დამცველს კი წარმოადგენს სწორედ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ქალაქის განვითარებასა და ქალაქითმშენებლობითი მოთხოვნების შესაბამისად ქალაქის განაშენანებაზე.

სასამართლოს მითითებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში „სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ“, აღნიშნულია, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესის მოთხოვნასა და პირის ძირითადი უფლებების დაცვის აუცილებელ პირობას შორის. სახელმწიფო უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით ქალაქმშენებელობითი პოლიტიკის წარმოებისას, გადაწყვეტილება ასევე შეიცავს მითითებას ინტერესთა ბალანსის დაცვაზე კონტროლის შენარჩუნების აუცილებლობაზე, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს პირის უფლებასთან დაუბრკოლებლად ისარგებლოს საკუთრებით. სასამართლომ სრულად გაიზიარა ევროპული სასამართლოს განმარტება პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ უფლებასთან მიმართებაში, მიიჩნია, რომ საკუთრება არის ადამიანის ყოფიერების საფუძველი, სოციალური

და სამართლიანი სახელმწიფოს ქვაკუთხედი, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი, მას გააჩნია დიდი სოციალური დატვირთვა, რა პირობებშიც ხშირად თავს იჩენს კონფლიქტი კერძო და საჯარო ინტერესს შორის, როცა აუცილებელი ხდება გონივრული ბალანსის დაცვა.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით ..., ... კვ.მ ფართის, მდებარე ქ. რუსთავი, ...ის ქუჩის №... საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს მოსარჩელე ბ. გ-ის საკუთრებას, ხოლო 2016 წლის 9 ივნისის საჯარო რეესტრიდან ამონანერით დგინდება, რომ ... საკადასტრო კოდის ქვეშ არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. რუსთავი, ...ის ქ. №..., რეგისტრირებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ი“, მესამე პირები ნ. ხ-ი და დ. კ-ი წინააღმდეგი არიან მოსარჩელისთვის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სპეციალისტის მონაწილეობით განხორციელდა ადგილზე დაფარალირება, რომლითაც დადგინდა, რომ ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან კორპუსის პირველ სართულზე არსებულ მიშენებამდე მანძილი ორი მეტრია.

არსებულ პირობებში სასამართლომ დაცულად მიიჩნია ის ბალანსი, რაც, ერთი მხრივ, მართალია ვლინდება საკუთრების უფლების შეზღუდვაში, თუმცა, მეორე მხრივ, გამართლებულია ქალაქის იერსახის შენარჩუნების, განაშენიანების პროცესის სწორად წარმართვისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

სასამართლოს მითითებით, „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება უნდა შეიცავდეს ქალაქითმშენებლობითი დოკუმენტაციის დებულებებს, ეკოლოგიური, სანიტარიულ-ჰიგიენური უსაფრთხოების, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის სავალდებულო პირობებსა და სხვა განსაკუთრებულ მოთხოვნებს, აგრეთვე იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვის პირობებს, რომელთა ინტერესებზედაც ზეგავლენას მოახდენს მომავალი მშენებლობა.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიერ მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში ილახება მეზობელი მიწის

ნაკვეთის მესაკუთრეთა ინტერესები, მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქის ცენტრალურ გზაზე და მშენებლობის განხორციელება გავლენას იქონიებს ქალაქის იერსახეზე. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია დაადგინოს სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის ძირითადი ასპექტები, მათ შორის: მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაყრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს შექმნისათვის; ამავე ნორმის მეორე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ კანონის ამოცანაა: ტერიტორიებისა და დასახლებათა განვითარება სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპებით, რომლებიც ეკონომიკური და სხვა საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმალიზებით, ტერიტორიებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებით უზრუნველყოფს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს არსებობას; ქვეყნის ტერიტორიაზე სრულყოფილი, თანაბარი საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოს და პირობების შექმნა („თანაბარი შესაძლებლობების სივრცე“). დასახელებული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის სფეროში კერძო ინტერესებს განეკუთვნება: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ინტერესები, დაკავშირებული მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ობიექტების) სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვასთან და განვითარებასთან, ჯანსაღ და უსაყრთხო გარემოში არსებობასთან. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, საჯარო ინტერესებს, ხელყოფს სხვათა უფლებებს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. გ-ისათვის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ უარით არ დარღვეულა კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო ინტერესთა პალანსი. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანების მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები უნდა მოიცავდეს: ა) მიწის ნაკვეთების განაშენიანების მაქსიმალურ კოეფიციენტს; ბ) მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტერიერობის მაქსიმალურ კოეფიციენტს ან/და მიწის ნაკვეთების განაშენიანების მაქსიმალურ სიმაღლეს; გ) მიწის ნაკვეთების გამ-

წვანების მინიმალურ კოეფიციენტს; სამშენებლო მინის ნაკვეთების განაშენიანების რეგულირების ძირითადი პარამეტრები შესაძლებელია ასევე მოიცავდეს: ა) მაქსიმალურ მაჩვენებლებს განაშენიანების სართულიანობა/სიმაღლისათვის ან/და მოცულობისათვის; ბ) მინის ნაკვეთების ფართობ(ებ)ის მინიმალურ და მაქსიმალურ ზომებს; გ) განაშენიანების რეგულირების ხაზებს (წითელ ხაზებს); დ) განაშენიანების სავალდებულო ხაზებს (ლურჯ ხაზებს); ე) ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობას; ვ) განაშენიანების სივრცით-დაგეგმარებითი წყობის პირობებს (მაგ.: შენობების ფასადების ერთი ხაზის გასწვრივ განთავსება, შენობების შეტყუპება, შენობების სიმაღლეების განსაზღვრა, შენობების გადახურვის ტიპის განსაზღვრა და სხვა); ზ) სხვა პარამეტრებს, რომელთა მნიშვნელობა და მაჩვენებლები დგინდება განაშენიანების რეგულირების გეგმით და/ან სხვა ნორმატიული აქტებით. ამავე ბრძანების 26-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ თავის მიზნებისათვის სამშენებლო მინის ნაკვეთის საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის 2 სახის: სამშენებლო მინის ნაკვეთის საზოგადოებრივი საზღვარი – როდესაც სამშენებლო მინის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს (გარდა ჩიხისა); სამშენებლო მინის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი – როდესაც სამშენებლო მინის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მინის ნაკვეთს, ან ისეთ არასამშენებლო მინის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს. მიჯნის ზონა წარმოადგენს სამშენებლო მინის ნაკვეთის იმ ნაწილს, რომელიც მინის ნაკვეთის სამეზობლო საზღვრებიდან დაშორებულია 3,0 მეტრ მანძილზე ნაკლებით. სამშენებლო მინის ნაკვეთზე, ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად სამშენებლო მინის ნაკვეთის უკანა ეზოს განსაზღვრის მიზნით დგინდება განაშენიანების რეგულირების ხაზ(ებ)ი (წითელი ხაზ(ებ)ი). იმ შემთხვევაში, როდესაც სამშენებლო მინის ნაკვეთი მხოლოდ ერთი მხრიდან ესაზღვრება ქუჩას ან სხვა საზოგადოებრივ სივრცეს, მაშინ საზოგადოებრივი საზღვრის მოპირდაპირე (არამოსაზღვრე) სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან წითელი ხაზ(ებ)ი უნდა დადგინდეს 3.0 მეტრ მანძილზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამასთანავე, სადაც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას დაცულ იქნა კანონმდებლობის მოთხოვნები, მინვეულ იქ-

ნენ დაინტერესებული პირები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გა-  
მომდინარე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მო-  
სარჩელის წარმომადგენლის განცხადების, ადმინისტრაციული სა-  
ჩივრის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას  
არ დარღვეულა კანონმდებლობის მოთხოვნები.

სასამართლომ მხარეთა ყურადღება მიაქცია თბილისის სააპე-  
ლაციო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის №3ბ/261-14 გადაწ-  
ყვეტილების შინაარსზე, რომლის თანახმადაც, სასამართლომ და-  
ვის განხილვის პროცესში მოსარჩელის ინტერესების პარალელუ-  
რად არანაკლები მნიშვნელობა მიანიჭა მე-3 პირთა ინტერესებსაც  
და აქტის დაუსაბუთებლობას, რის გამოც მიზანშენონილად მიიჩ-  
ნია ბ. გ-ის განცხადების ხელახალი განხილვის მიზნით ადმინის-  
ტრაციულ ორგანოში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-  
ში დაბრუნება.

რაც შეეხება მოსარჩელის წარმომადგენელთა მოსაზრებას იმის  
თაობაზე, რომ თვითმმართველი ქალაქ რუსთავის ქონების სააუქ-  
ციონო მუდმივმოქმედი კომისიის პირობით გამოცხადებულ აუქ-  
ციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით მოსარჩელემ 2  
წლის განმავლობაში შესყიდულ ნაკვეთზე უნდა განახორციელოს  
მშენებლობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეიძლება აღნიშნუ-  
ლი გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბა-  
თილად ცნობის საფუძველი გახდეს, ვინაიდან ამ საკითხთან და-  
კავშირებით ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული გადაწ-  
ყვეტილებით მზადყოფნა გამოთქვა იმსჯელოს მოსარჩელის მი-  
ნის ნაკვეთის დატვირთული ვალდებულებისგან გათავისუფლების  
თაობაზე.

სასამართლოს მითითებით, ვინაიდან გასაჩივრებული ადმინის-  
ტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის  
მერიის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანება კანონიერადაა  
მიჩნეული სასამართლოს მიერ, სადაც სამართლებრივი ურთიერ-  
თობის მოსაწესრიგებლად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი არ არსებობს, რის  
გამოც მოსარჩელის მოთხოვნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტე-  
ტის მერიას დაევალოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის გამოცემა, რომლითაც ბ. გ-ის სასარგებლოდ გაიცემა მშე-  
ნებლობის ნებართვა, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის გა-  
დაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. გ-მა, რომელმაც  
გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-  
ტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინებით ბ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას არ დარღვეულა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, სწორი შეფასება მისცა საქმის მასალებს, საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები დადგენილა სრულყოფილად, რაც არ იძლეოდა გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივარის დაკმაყოფილების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული აქტი მიღებულია გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი არ აქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, რაც არ ქმნიდა სადაცო აქტის ბათილად ცნობისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორია, ურბანული დაგეგმარების თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს სამშენებლოდ მიზანშეწონილ ტერიტორიას, მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ადგილას და ემიჯნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ პირველ სართულზე არსებულ მიშენებებს, მშენებლობის განხორციელებით საფრთხე ექმნება აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართების ფუნქციონირებას და გარემო პირობებს. შესაბამისად, სადაცო აქტი ეფუძნება მიზანშეწონილობის საკითხს, რაც ქმნის სასამართლოს ვალდებულებას, შეამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გამოიყენებული დისკრეციის პირობებში რამდენადა დაცული ბალანსის ტესტი.

პალატის მითითებით, როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, მიწის ნაკვეთი ს/კოდით ..., მდებარე ქ. რუსთავი, ...ის ქ. №..., რომელიც ემიჯნება მოსარჩელის სახელზე ს/კ ... რეგისტრირებულ ... კვამ ფართის მიწის ნაკვეთს, აღრიცხულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ სახელზე. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების მიზნით მოწვეული სპეციალისტის მიერ დადგინდა, რომ ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან კორპუსის პირველ სართულზე არსებულ მიშენებამდე მანძილი შეადგებს 2 მეტრს. საა-

პელაციო სასამართლოს სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო განვითარების მიზნით მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი მთლიანად ფარავს მე-3 პირის საკუთრებაში მდებარე კომერციულ ფართს, კეტავს მასთან მისასვლელ გზას, რაც პრობლემას ქმნის არა მხოლოდ ფართის განვითარების, არამედ უსაფრთხოების, კერძოდ, ხანძარსანინააღმდეგო მოქმედების გატარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია მაღალი ძაბვის კაბელები, რომლის გადატანა ასევე საჭიროებს დამატებით სანებართვო შეთანხმებებს.

წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებულ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა გაუმართლებელია არა მხოლოდ მონაკვეთის დამატებით გადატვირთვის, არამედ მე-3 პირთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. არსებულ პირობებში სააპელაციო სასამართლომ დაცულად მიიჩნია ის ბალანსი, რაც, ერთი მხრივ, მართალია ვლინდება საკუთრების უფლების შეზღუდვაში, თუმცა, მეორე მხრივ, გამართლებულია ქალაქის იერსახის შენარჩუნების, განაშენიანების პროცესის სწორად წარმართვისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორა პ. გ-მა, რომელმაც გასაჩინოებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საკუთრების უფლება და მისგან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით მინიჭებული უფლება. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. კასატორს აღნიშნული ნორმის გამოყენება დაუშვებლად მიაჩნია, ვინაიდან თუ ქალაქის იერსახის შენარჩუნება იგულისხმება, ამაზე მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ემსჯელა, როდესაც 2012 წლის 25 მაისს აუქციონზე გამოტანილი მიწის ნაკვეთი დაიტვირთა მშენებლობის ვალდებულებით, ამასთან, თუ იერსახის შენარჩუნებაზეა საუბარი, სწორედ მე-3 პირებზე არ უნდა გაცემულიყო მიშენების ნებართვები, რამეთუ განხორციელებული ასიმეტრიული მიშენებები არათუ უნარჩუნებს ქალაქს

იერსახეს, პირიქით ამახინჯებს მას. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, ადმინისტრაციულ ორგანოს აღნიშნული უნდა გაეთვალისწინებინა, როდესაც 2013 წელს კ-ზე და ხ-ზე გასცა მიშენების ნებართვა და ამ ნებართვის დადგენილი სამმეტრიანი ზღვარი შეამცირა ორ მეტრამდე.

ამასთან, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მითითებას მის მიერ მშენებლობის განხორციელებით მესამე პირთა უფლებების შელახვის თაობაზე. კასატორის განმარტებით, განჩინებაში არ არის მითითებული კონკრეტულად ამხანაგობა „...ის“ რა ინტერესი დაიღვევა მშენებლობის განხორციელებით და აღნიშნული ვერც იქნებოდა მითითებული, რამეთუ ამხანაგობამ თავად ვერ მიუთითა მისი ინტერესების შესაძლო დარღვევაზე. რაც შეეხება მესამე პირების კ-ისა და ხ-ის კომერციულ ინტერესებს, ფაქტია, რომ მათ თვითონვე დააყენეს რისკის ქვეშ აღნიშნული ინტერესები. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მათთვის 2012 წლის ივნისის თვეში ცნობილი იყო აუქციონის შედეგები, ნაკვეთის ზუსტი მდებარეობა და ნაკვეთზე მშენებლობის ვალდებულების არსებობის შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, მათ მაინც მოითხოვეს მიშენების ნებართვის გაცემა ზუსტად ბ. გ-ის ნაკვეთის უკან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიშენების ნებართვის მაძიებლებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ბ. გ-ის მიერ მშენებლობის განხორციელებით მათი კომერციული ფართის ფუნქციონირება შეიზღუდებოდა ანუ მათ გაცნობიერებული უნდა ჰქონოდათ კომერციული რისკები. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ სწორედ მესამე პირთა და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებებით დადგა დღევანდელი შედეგი. ამასთან, კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მითითებას, რომ ნაკვეთი მთლიანად ფარავს მე-3 პირების კომერციულ ფართს. კასატორის მითითებით, ცარიელი მიწის ნაკვეთი არსებულ მიშენებებს ვერ დაფარავს და მისასვლელ გზასაც ვერ გადაკეტავს, ხოლო თუ იგულისხმება მშენებლობის განხორციელების შედეგი, ამ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ მესამე პირთა მიშენებებზე ნებართვა გაიცა მისი მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში დარეგისტრირებისა და მშენებლობის ვალდებულებით აუქციონზე გაყიდვის შემდეგ.

კასატორის მითითებით, მართალია მის მიწის ნაკვეთსა და ამხანაგობა „...ის“ მიწის ნაკვეთს შორის მანძილი 2 მეტრია, მაგრამ არ არის მითითებული ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ნაკვეთებს შორის მანძილი 2 მეტრამდე შემცირდა ადმინისტრაციული ორგანოსა და მესამე პირების ქმედებით. 2012 წლის 4 მაისს რუსთავის თვითმმართველობამ ელექტრონულად დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთი ს/კ ..., დღევანდელი საზღვრებით, ხო-

ლო შემდგომ მშენებლობის ვალდებულებით გაყიდა აუქციონზე. მესამე პირებს კ-სა და ხ-ს მიშენების უფლება გაუმიჯნავ მიწის ნაკვეთზე მიეცათ 2013 წელს, ხოლო ამხანაგობა „....ზე“ ნაკვეთის გამიჯვნა განხორციელდა 2016 წელს. 2013 წელს განხორციელებული მიშენებისა და 2016 წელს ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად შემცირდა მანძილი მიშენებებსა და გ-ის ნაკვეთს შორის. კასატორის მითითებით, მოვლენათა ქრონოლოგის მიხედვით დგინდება, რომ მისი ნაკვეთიდან 2 მეტრის დაშორებით გაიცა მიშენების ნებართვები ერთი წლის შემდეგ და ნაკვეთსა და მიშენებებს შორის მანძილი შემცირდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მიშენებების ნებართვის შედეგად, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო არ დაეშვა სამეზობლო საზღვრებისათვის დადგენილი სამმეტრიანი მანძილის შემცირება მიშენებებსა და უკერესისტრირებულ ნაკვეთს შორის და უზრუნველეყო ხანძარსაჩინააღმდეგო უსაფრთხოება.

კასატორი აღნიშნავს, რომ არც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებაში და არც გასაჩივრებულ განჩინებაში არ არის ნახსენები ყველაზე მთავარი ფაქტობრივი გარემოება, რა სავალდებულო პირობით გაყიდა რუსთავის თვითმმართველობამ 2012 წლის 25 მაისს ჩატარებულ აუქციონზე მიწის ნაკვეთი. საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 25 მაისს №... პირობით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომლითაც ნაკვეთის მესაკუთრეს ვალდებულება ეკისრება აუქციონის შედეგებიდან ორი წლის განმავლობაში განახორციელოს მშენებლობა, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მესაკუთრეს ჩამოერთმეოდა მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ. ორივე ინსტანციის სასამართლომ გვერდი აუარა აღნიშნულ ყველაზე მთავარ ფაქტობრივ გარემოებას, ვინაიდან მას ვერაფერი დაუპირისპირა.

კასატორის მითითებით, სასამართლომ ასევე არ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლი. 2012 წლის 25 მაისის აუქციონის შემაჯამებელი №... ოქმით ადმინისტრაციულმა ორგანომ ნაკვეთის მესაკუთრე დაავალდებულა განეხორციელებინა მშენებლობა ორი წლის განმავლობაში. აღნიშნული პირობის ჩადებით ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისმხრივ დაადასტურა, რომ მშენებლობა განხორციელდებოდა და პ. გ-ი როდესაც ყიდულობდა ნაკვეთს, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ ჰქონდა კანონიერი ნდობა. კასატორის მითითებით, ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება საშუალებას მისცემს ადმინისტრაციულ ორგანოებს დაარღვიონ კანონის მოთხოვნები და კანონიერი ნდობის გამოყენებით გასცენ ცრუ დაპირებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 სექტემბრის განჩინებით ბ. გ-ის საკასაციო საჩივარის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით 2019 წლის 12 სექტემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 სექტემბრის საოქმო განჩინებით კი ბ. გ-ის საკასაციო საჩივარის განხილვა გადაიდო კვლავ ზეპირი განხილვის გარეშე 2019 წლის 17 ოქტომბერს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივარის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. გ-ის სარჩევი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები“, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „საპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)“. დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა საპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კა-

სატორმა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელე სადავოდ ხდის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანების კანონიერებას და მოითხოვს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – მშენებლობის ნებართვის გაცემის დავალებას. სადავო ბრძანებით ბ. გ-ს უარი ეთქვა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე იმ პირობებში, როდესაც მას მიწის ნაკვეთი შეძენილი აქვს სწორედ მშენებლობის განხორციელების ვალდებულებით იმ ადმინისტრაციული ორგანისაც, რომელიც ამჟამად უარს აცხადებს ყოველგვარი მშენებლობის დაშვებაზე. ამასთან, სახეზე გვაქვს შემთხვევა, როდესაც დავის გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია, რამაც უნდა განაპირობოს საქმეზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო, უპირველესად, საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს და მხარეთა ყურადღება გაამახვილოს მოცემული საქმის გარემოებების შემდეგ ქრონოლოგიაზე:

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ქონების სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 2012 წლის 25 მაისს აუქციონზე გასხვისების მიზნით გატანილ იქნა ქ. რუსთავში, ...ის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი ... კვ.მ ფართით (ს/კ ...). 2012 წლის 25 მაისს ჩატარებულ აუქციონზე გაიმარჯვა ზ. ბ-მა, რაზეც ზ. ბ-ის სახელზე იმავე დღეს – 2012 წლის 25 მაისს გაიცა პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №... ოქმი, რომლის თანახმად, აუქციონში გამარჯვებულ პირს ოქმით გათვალისწინებული პირობებით საკუთრებაში გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ. რუსთავი, ...ის ქუჩის მ/ტ, ფართობი ... კვ.მ, ს/კ .... ოქმის მე-4 პუნქტით განისაზღვრა ქონების შემძენის (გამარჯვებულის) ვალდებულებები:

„ა) ქონების მთლიანი ღირებულება დაიფაროს აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის გამომავლობაში;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა;

გ) აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადებიდან 2 წლის განმავლობაში შესყიდულ ნაკვეთზე განხორციელდეს მშენებლობა.“

დასახელებული ოქმის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ქონების შემ-

ძენის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, ქონება ახალ მესაკუთრებზე გადადის იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით.“ ოქმის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონების შემძენის პასუხისმგებლობაში კი ერთ-ერთ პუნქტად გამოტანილია შემდეგი – „ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტებლოს გადაუხდელობისას თვითმმართველი ქალაქი რუსთავი უფლებამოსილი გააუქმოს აუქციონის შედეგები (ოქმი) და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა. ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება გამყიდველს, ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხა და განეული დანახარჯები“ („ვ“ ქვეპუნქტი).

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ქონების სააუქციონო კომისიის 2012 წლის 25 მაისის №... აუქციონის ოქმის საფუძველზე თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიერ 2012 წლის 18 ივნისს ზ. ბ-ის სახელზე გაიცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №..., მასზედ, რომ მას საკუთრებაში გადაეცა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ფართობით ... კვ.მ, მდებარე: ქ. რუსთავი, ...ის ქუჩის მ/ტ, ფართობი ... კვ.მ, ს/კ ....

2013 წლის 11 აპრილს, უძრავი ქონების ნაციფირების ხელშეკრულების საფუძველზე, ბ. გ-მა ბ. ბისგან შეიძინა აღნიშნული მინის ნაკვეთი და საკუთარ სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხა საჯარო რეესტრში. 2012 წლის 25 მაისის პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №... ოქმის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქონება ახალ მესაკუთრებზე გადავიდა იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით.

2013 წლის 12 აპრილს კი ბ. გ-მა განცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს აღნიშნულ ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის ესკიზის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობისათვის უფლების გაცემის მოთხოვნით. თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის უფროსის 2013 წლის 16 აპრილის №1/2537 გადაწყვეტილებით, ქალაქის იერსახის შენარჩუნების მიზნით, ახლო მდებარე საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთა და საზოგადოებრივი ინტერესებითან გამომდინარე, მიზანშეუწოდად იქნა მიჩნეული ქ. რუსთავში, ...ის ქ. №... საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ბ. გ-ის მიერ. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილე-

ბით გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 31 ოქ-ტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ რუსთავის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და ტრანსპორტის განვითარების სამსახურის 2013 წლის 16 აპრილის №1/2537 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე ბ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8420 განცხადებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 4 დეკემბრის №1981 ბრძანებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულებისა და საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მიღებულ იქნა ბ. გ-ის 2013 წლის 12 აპრილის №8240 განცხადება და დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანებით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი კვლავ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ქ. რუსთავში, ...ის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორია, ურბანული დაგეგმარების თვალსაზრისიდან გამომდინარე, არ წარმოადგენდა სამშენებლოდ მიზანშეწონილ ტერიტორიას, მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ქალაქის ცენტრალურ ადგილას და ემიჯნებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ პირველ სართულზე არსებულ მიშენებებს, საფრთხე ექმნებოდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული კომერციული ფართების ფუნქციონირებას და გარემო პირობებს.

აღნიშნულის პარალელურად, იმ პირობებში, როდესაც ბ. გ-ის-თვის მშენებლობის განხორციელებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ პირველ სართულზე არსებული მიშენებები წარმოადგენდა, ბ. გ-ი დავის განხილვის ყველა ეტაპზე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მიშენებები განხორციელებული იყო და მიშენებებზე ნებართვა გაცემული იყო 2013 წელს, მას შემდეგ, რაც 2012 წელს მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით განიკარგა მშენებლობის ვალდებულების პირობით. ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელმაც დაადასტურა 2013 წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...ის“ მიწის ნაკვეთზე მიშენებების მშენებლობის ნებართვის გაცემა.

კერძოდ, საქმეში წარმოდგენილია თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 7 თებერვლის

№4449 ბრძანება, რომლითაც საქმეში მესამე პირად ჩაბმული დ. კ-ის სახელზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №14 – ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩა №...-....-ში – საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციაზე. საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია დ. კ-ის 2013 წლის 12 თებერვლით დათარიღებული განცხადება, რომლითაც დ. კ-მა ზედამხედველობის სამსახურს აცნობა, რომ 01.03.2013 წლიდან იწყებდნენ მშენებლობას. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 11 სექტემბრის №5724 ბრძანებით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს №1841 ოქმის საფუძველზე ვარგისად იქნა აღიარებული მოქალაქე დ. კ-ის სახელზე ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩა №...-....-ში მშენებლობადამთავრებული, არსებული საცხოვრებელი სახლის ფასადის რეკონსტრუქცია (მიშენება); მშენებლობის სანებართვო მოწმობა №14, 08.02.2013წ.; განაშენიანების ფართობი – 49,6 კვ.მ; საერთო ფართობი – 43,7 კვ.მ; სამშენებლო მოცულობა – 173,6 კვ.მ.

საქმეში წარმოდგენილია თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 29 ოქტომბრის №5975 ბრძანება, რომლითაც საქმეში მესამე პირად ჩაბმული ნ. ხ-ის სახელზე გაიცა მშენებლობის სანებართვო მოწმობა №503 ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩა №...-....-ში – საცხოვრებელი შენობის რეკონსტრუქციაზე (მიშენება კომერციული საქმიანობისათვის). საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია ნ. ხ-ის 2013 წლის 7 ნოემბრით დათარიღებული განცხადება, რომლითაც ნ. ხ-მა ზედამხედველობის სამსახურს აცნობა, რომ 11.11.2013 წლიდან იწყებდნენ მშენებლობას. თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 აპრილის №6819 ბრძანებით თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2014 წლის 5 მარტის №378 ოქმის საფუძველზე ექსპლუატაციაში იქნა მიღებული მოქალაქე ნ. ხ-ის სახელზე ქალაქ რუსთავში, ...ის ქუჩა №...-....-ში მშენებლობადამთავრებული არსებული საცხოვრებელი შენობის ფასადის რეკონსტრუქცია (მიშენება კომერციული საქმიანობისათვის); მშენებლობის სანებართვო მოწმობა №503, 30.10.2013წ.; განაშენიანების ფართობი – 33,6 კვ.მ; საერთო ფართობი – 30,2 კვ.მ; სამშენებლო მოცულობა – 127,7 კვ.მ.

დასახელებული გარემოებების მიხედვით, ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მშენებლობის ვალდებულების პირობით აუქციონის წესით გასხვისებულია – 2012 წელს, ხოლო მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ მიშენებებზე, რომელიც ბ. გ-ისთვის მშენებლობის აკრძალვის ერთ-ერთი საფუძველია, ნებართვები გაცემულია – 2013 წელს.

ასევე ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პ. გ-ი საკუთრების უფლების დასაცავად წლებია დავობს, 6 წლის განმავლობაში იგი მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ სარგებლობს საკუთრებით, საქმე არაერთხელ იქნა განხილული სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ განხორციელებულა პ. გ-ის ინტერესების დასაცავად რაიმე ქმედით ღონისძიება, ადგილი არ ჰქონია არსებული მინის ნაკვეთის ფარგლებში (... კვ.მ) დასაშვები და ალტერნატიული პროექტის განხილვას, ასევე არ განხორციელებულა პ. გ-ისთვის მონაცემები მინის ნაკვეთის რეალური შეთავზება ან კომპენსაციის გათვალისწინება. საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის მხარეთა დასწრებით განხილვის უმთავრეს მიზანსაც დავის მორიგების გზით დასრულება წარმოადგენდა, რაც ვერ იქნა მიღწეული. ამდენად, სახეზე გვაქვს მოცემულობა, როდესაც პ. გ-ი მშენებლობის ვალდებულებით შეძენილ მინის ნაკვეთზე მშენებლობას ვერ ახორციელებს რუსთავის მერიის უარის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სადავო საკითხი ეხება მოსარჩელის საკუთრების უფლებას, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, მიმოიხილოს და განმარტოს საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით აღიარებული საკუთრების უფლების ნორმატიული შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუციის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-19 მუხლი) თანახმად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთა უფლების გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით აღიარებულია საკუთრების ინსტიტუტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ საფუძვლად არსებული ლირებულების კონსტიტუციური მნიშვნელობა, რომელიც ინდივიდის პიროვნული თავისუფლებისა და ინდივიდუალური თვითონალიზების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების აღეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. ყოველივე ეს კანონზომიერად განაპირობებს ინდივიდის კერძო ინიციატივებს ეკონომიკურ სფეროში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთობების, თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, ნორმალურ, სტაბილურ სამოქალაქო ბრუნვას“ (საქართველოს სა-

კონსტიტუციით სასამართლოს 2007 წლის 2 ივნისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „იმისათვის, რომ პირმა შეძლოს საკუთრების უფლებით პრაქტიკული სარგებლობა, არ არის საკმარისი მის-თვის აბსტრაქტული საკუთრებითი გარანტიის მინიჭება. მან ასევე უნდა ისარგებლოს იმგვარი სამოქალაქო, კერძოსამართლებრივი წესრიგით, რომელიც შესაძლებელს გახდის საკუთრების უფლებით შეუფერხებელ სარგებლობას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შექმნის გზით ქონების დაგროვებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით განმტკიცებული საკუთრების უფლება არ არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის. იგი წარმოადგენს მთელი რიგი ქონებრივი ურთიერთობებისა და სხვაგვარი სამართლებრივი შედეგების წარმოშობის უმთავრეს წინაპირობას. ამასთან, საკუთრების უფლების დაცულობის უზრუნველყოფის საჭიროება არ არის ფორმალური და სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რამდენადაც საკუთრების უფლების დაცვით მიღწეულ უფლების ქმედით რეალიზებაზეა დამოკიდებული საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებულ ადამიანის მთელ რიგ უფლებათა შემდგომი განხორციელება.

ამასთან, საკუთრების უფლება აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო აქტებითაც, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი იცავს საკუთრების უფლებას, რომლის მიხედვით: „1. ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. არავის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საზოგადოებრივ ინტერესშია და ექვემდებარება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებს. 2. ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რო-

მელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს, რათა განახორციელოს საკუთრებით სარგებლობის კონტროლი საერთო ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების, სხვა კონტრიბუციებისა თუ ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებების მიხედვით, აღნიშნული დებულება მოიცავს სამ განსხვავებულ წესს, კერძოდ, საქმეში „სპორონგი და ლონრონი შვედეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა: „პირველი წესი, რომელიც პირველი პარაგრაფის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული, ზოგადი ხასიათისა და აყალიბებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს. მეორე წესი, რომელიც პირველი პარაგრაფის მეორე წინადადებაშია მოცემული, ეხება მხოლოდ საკუთრების ჩამორთმევას და უქვემდებარებს მას კონკრეტულ პირობებს. მესამე წესი, რომელზეც მეორე პარაგრაფი მიუთიებს, აღიარებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები უფლებამოსილები არიან, inter alia, საჯარო ინტერესის შესაბამისად განახორციელონ საკუთრების გამოყენების კონტროლი“ (Sporrong and Lonnroth v. Sweden, №7151/75 და №7152/75, ჭ61, 23.09.1982).

რაც შეეხება საკუთრების უფლების შინაარსს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრებას განმარტავს როგორც ქონების (ნივთის) მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობას (170-ე მუხლი). კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ იღახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, ქონებით (ნივთით) სარგებლობა გულისხმობს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამ ქონების (ნივთის) სამშენებლოდ განვითარებასააც. მიზნის გამოყენების სხვა შესაძლებლობებთან ერთად, საკუთრების შინაარსს განსაზღვრავს მისი მშენებლობის მიზნით გამოყენების შესაძლებლობა.

სწორედ საკუთრების უფლების რეალიზაციის პირობებში, ასევე პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2012 წლის 25 მაისის №... ოქმით (აღმტურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით მიმართა ბ. გ-მა ადმინისტრაციულ ორგანოს მის მიერ შეძენილ ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის ესკიზის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობი-

სათვის უფლების გაცემის მოთხოვნით. ბ. გ-ის მოთხოვნა გამომდინარეობდა პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი აღნიშნული ოქმიდან (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი), რომელმაც ბ. გ-ს წარმოუშვა სრულებით საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანოსგან აუქციონის წესით შეძენილი მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ ვარგისი და უფლებრივად უნაკლო იყო. ამასთან, „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-5 მუხლი განსაზღვრავს სამშენებლო საქმიანობის ობიექტებს, რომლის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა შემდეგ სახეობებად: ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთი, ბ) სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთი, გ) სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთი (ჩ.3 მუხლი). აღსანიშნავია, რომ ბ. გ-ის საკუთრებაში არსებულ აუქციონის წესით შეძენილ მიწის ნაკვეთს მინიჭებული არ ჰქონია არც სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთის და არც სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთის სტატუსი. საქმეზე ასევე არ დასტურდება ნაკვეთის თავდაპირველი შემძენის – ზ. ბ-ისა და მისი უფლებამონაცვლის, ამჟამინდელი მესაკუთრის – ბ. გ-ის იმგვარი ქმედება, რაც პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2012 წლის 25 მაისის №... იქმიდან (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) წარმოშობილ უფლებას გამორიცხავდა. არც ჩატარებული აუქციონის კანონიერება გამხდარა სადაცოდ. შესაბამისად, ბ. გ-ის სახელზე საკუთრების უფლებით ირიცხება კანონით დადგენილი წესით განკარგული/შეძენილი მიწის ნაკვეთი. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ადასტურებს პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი აღნიშნული ოქმიდან (აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) გამომდინარე ბ. გ-ის მშენებლობის უფლების არსებობას, რაც მას სრულიად კანონიერად წარმოუშობდა შეძენილი საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის მოლოდინს.

ამასთან, არც საკასაციო სასამართლო უარყოფს საქმეში მესამე პირებად ჩაბმული – მომიჯნავე მიშენებების მესაკუთრეთა ინტერესებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მშენებლობის ვალდებულების პირობით აუქციონის წესით გასხვისებულია მესამე პირთა მხრიდან მიშენებების განხორციელებამდე, დაუშვებელია აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით ბ. გ-ს სრულად, ყოველგვარი აღტერნატივის გარეშე აეკრძალოს მშენებლობის უფლება, სადაც ბრძანე-

ბის ძალაში დატოვებით კი საკუთრებაში დარჩეს მშენებლობის აკ-რძალვით ... კვ.მ მიწის ნაკვეთი. მოსარჩელისგან დამოუკიდებელი მიზეზების არსებობის პირობებში, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ურთიერთშეუსაბამო ქმედებებმა და მესამე პირთა მხრი-დან აუქციონის წესით მშენებლობის ვალდებულებით ქონების გან-კარგვის შემდგომ წარმოებულმა მიშენებებმა არ უნდა გამორიცხოს ბ. გ-ის საკუთრების უფლება. ბ. გ-ის მიწის ნაკვეთსა და მო-მიჯნავე მიშენებებს შორის სამშეტრიანი დაშორება ორ მეტრამდე სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2013 წელს კ-სა და ხ-ზე გაცემულმა მიშენებების ნებართვებმა შეამცირა. ამდენად, ად-მინისტრაციულ ორგანოს მესამე პირთა მიშენებების ნებართვე-ბის გაცემისას უნდა მიეღო მხედველობაში და დაეცვა ჯერ კიდევ 2012 წელს აუქციონის წესით მშენებლობის ვალდებულებით გას-ხვისებულ მიწის ნაკვეთსა და მომიჯნავე ნაკვეთს შორის დაშორება. აღნიშნულ იგი მოტლიანად ბ. გ-ს საკუთრების უფლების შეზ-ღუდვით ახორციელებს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ბ. გ-ისთვის მშენებლობის აკრძალვის ერთ-ერთ საფუძვლად ქალაქის იერსა-ხეზე მითითებას, ასევე იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მიწის ნაკ-ვეთი ქალაქის ცენტრალურ ადგილას მდებარეობს, ადმინისტრა-ციულ ორგანოს აღნიშნულზე მსჯელობის შესაძლებლობა და მხედ-ველობაში მიღების ვალდებულება მიწის ნაკვეთის აუქციონის წე-სით მშენებლობის ვალდებულებით გასხვისებამდე ჰქონდა. ამას-თან, იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მესამე პირთა მიშენებებზე ნებართვის გაცემისას ქალაქის იერსა-ხეს ხელი არ შეუშლია, უსაფუძვლოა აღნიშნული საფუძვლით იმა-ვე ადმინისტრაციული ორგანოსგან ბ. გ-ისთვის მშენებლობის აკ-რძალვა.

გარდა აღნიშნულისა, ასევე დაისვა საკითხი ბ. გ-ის საკუთრე-ბაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მაღალი ძაბვის ქსელების არსებო-ბის თაობაზე, რაც ასევე არ აქცევს მიწის ნაკვეთს იმთავითვე სამ-შენებლოდ გამოუსადეგარად. ასეთი ქსელების არსებობა საჭირო-ებს კანონით დადგენილი წესით მისი გადატანის ნებართვის მოპო-ვებას, რაც ასევე დადასტურებულია პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2012 წლის 25 მაისის №... ოქმით, რომლის თანახმად, „საჭიროების შემთხვევაში მყიდ-ველი ვალდებულია შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მათი გადატანა“ (მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი). ამასთან, კასატორის მითითებით, შესაძლებელია მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან ძაბვის ქსელის

გადატანა, აღნიშნულის საწინააღმდეგო კი საქმეზე არ დადასტურებულა.

ასევე უსაფუძვლოა მშენებლობის აკრძალვასთან დაკავშირებით მითითება მასზედ, რომ პ. გ-ს არ აქვს დაცული მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად კანონით დადგენილი სტადიები და მან შესაბამისი პროცედურის გაუვლელად, პირდაპირ მშენებლობის ნებართვის გაცემა მოითხოვა. საკასაციო სასამართლო იზიარებს მითითებას, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-3 მუხლის 43-ე პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, რომელიც, როგორც წესი, იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება), II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება), III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა, თუმცა საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი მშენებლობის განხორციელებაზე არ შეიცავს მითითებას აღნიშნულის თაობაზე და ამასთან, ასეთის არსებობის პირობებშიც, იგი არა მშენებლობის აკრძალვის, არამედ წარდგენილი განცხადების ხარვეზზე დატოვებისა და ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამის პროცედურებზე მითითების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს.

ამასთან, მშენებლობის აკრძალვის კუთხით, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს განმარტებები. საქმეში „პიალოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“ ადგილი ჰქონდა მშენებლობის დროებით აკრძალვას ქალაქის განაშენიანების ახალი გეგმის საფუძვლით და ასევე ექსპროპრიაციის ბრძანებას, რომელიც ზემდგომმა თრგანომ გაუქმებულად ცნო. მომჩინისთვის მისი უფლებრივი მდგომარეობა გაურკვეველი იყო 13 წლის განმავლობაში. სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია იმ გარემოებაში, რომ „სადაცო ლონისაძიებები ემსახურებოდა გარემოს დაცვასა და ქალაქის განვითარებას ისეთ ზონაში, რომელიც მშენებლობით იყო გადატვირთული“ (Pialopoulos and Others v. Greece, №37095/97, §58, 15.02.2001). თუმცა, მისი შეფასებით, „მომჩინების სრულიად სამართლიანად დავობდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეუფერხებლად ესარგებლათ მათი საკუთრებით 1987 წლიდან და ამის საპირნონედ, ვერანაირი ფინანსური კომპენ-

საცია ვერ მიიღეს“ (იხ. იგივე საქმე, წ59). შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი საჯარო ინტერესსა და ინდივიდის ფუნდამენტურ უფლებას (საკუთრების უფლება) შორის და ამის საფუძველზე დარღვევა დაადგინა.

მშენებლობის აკრძალვასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია საქმე „შპს ელია იტალიის წინააღმდეგ“, სადაც ადგილი ჰქონდა მშენებლობის აკრძალვას ხანგრძლივი დროის მანძილზე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის საფუძვლად მიიჩნია. სასამართლოს შეფასებით, „განსახილველი, მთელი პერიოდის განმავლობაში მშენებლობაზე აკრძალვის არსებობამ ცალსახად შეაფერხა მომჩივნის მიერ მისი საკუთრებით სრული სარგებლობა და მრავალ სხვ გარემოებასთან ერთად, მისი მიწის გაყიდვის შესაძლებლობების მნიშვნელოვნად შემცირებით, კიდევ უფრო საზიანი ზეგავლენა იქონია მის მდგომარეობაზე“ (Elia S.r.l. v. Italy, №377/10/97, გ81, 02.08.2001).

ამასთან, საკასაციო სასამართლო მოცემულ საქმესთან მიმართებაში არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებას (საქმე „სპორონგი და ლონრონი შეგდეთის წინააღმდეგ“). დასახელებულ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა ინტერესების სამართლიანი ბალანსის აუცილებლობისა და პროპორციულობის დაცვაზე, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება ხელყოფის დასაბუთების პრინციპთან დაკავშირებით: „...სასამართლო უნდა გადაწყვიტოს, იქნა თუ არა დაცული სამართლიანი ბალანსი საზოგადოების საერთო ინტერესებსა და პირის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის მოთხოვნებს შორის. ...ამგვარი ბალანსის ძიება წარმოადგენს მთლიანად, კონვენციის განუყოფელ ნაწილს და ასევე, ასახულია [პირველი დამატებითი ოქმის] პირველი მუხლის სტრუქტურაში“ (Sporrong and Lönnroth v. Sweden, №7151/75 და №7152/75, გ69, 23.09.1982).

კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირების კუთხით, ერთერთ გადაწყვეტილებაში „Megadat.com მოლდოვას წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ „ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მხრიდან საქმეში არსებულ კერძო ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს შორის ბალანსის შემოწმების განუხორციელებლობა, დიდი ალბათობით, გამოყენებულ იქნება მოპასუხე სახელმწიფოს საზიანაღმდეგოდ“ (Megadat.com SRL v. Moldova, №21151/04, გ74, 08.04.2008). მოცემულ საქმეში

სახელმწიფოს მხრიდან პირის კერძო ინტერესების უგულებელყოფა სხვა კერძო ინტერესების ფონზე დისკრიმინაციულად იქნა მიჩნეული.

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საქმარისი არ არის, რომ უფლებაში ჩარევა კანონიერ მიზანს ემსახურებოდეს. არამედ, ასევე დაცული უნდა იყოს პრიპორციულობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. განსახილველ შემთხვევაში პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2012 წლის 25 მაისის №... რქმით ბ. გ-ს მიენიჭა საკუთრების უფლება და უფლება (უფრო მეტიც, ვალდებულება) მშენებლობაზე. აღნიშნული უფლების განხორციელებას კი იგი ვერ ახდენს რუსთავის მერიის მხრიდან სახელმწიფოსა და მესამე პირთა ინტერესებზე მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პრიპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, როდესაც ინტერესების დაპირისპირება აუციდენელია, წარმოიშობა მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა. აქვე საყურადღებო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარ-

და კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას (მე-4 მუხლი).

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დაცულია მხოლოდ მესამე პირთა ინტერესები, რომელთაც მიშენებები მოგვიანებით – ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მშენებლობის ვალდებულებით აუქციონის წესით გასხვისების შემდგომ განახორციელეს და ასევე დაცულია ქალაქის იერსახე, თუმცა ინტერესთა თანაფარდობის დროს არ იქნა გათვალისწინებული ბ. გ-ის საკუთრების უფლება და უფლება (უფრო მეტიც, ვალდებულება) მშენებლობაზე. საქმეზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება კი სწორედ ინტერესთა თანაფარდობისა და შესაბამისი ბალანსის დაცვის შედეგად უნდა იქნეს მიღებული. ადმინისტრაციული ქმედების დროს საჭიროა ურთიერთსაპირისპირო ინტერესების ერთმანეთთან სწორი ურთიერთშეფარდება.

საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს სახელმწიფო-სა და მესამე პირების ინტერესების უგულებელყოფას, თუმცა ასე-ვე დაუშვებლად მიიჩნევს მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელ-ყოფას, საკუთრების უფლების ფაქტობრივ ჩამორთმევას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, უნდა მოხდეს ინტერესთა დაბალანსება, არსებულ პირობებში ალტერნატიული გზების ძიება და არა მოსარჩელის საკუთრების უფლების ხარჯზე, საკუთრების ფაქტობრივი ჩამორთმევით სახელმწიფოსა და მესამე პირთა ინტერესების დაცვა. არსებული მოცემულობის პირობებში ბ. გ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება იკრძალება მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. მოსარჩელის მხრიდან მიწის ნაკვეთის საკუთრებაში არსებობის ინტერესი კი სწორედ ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაში მდგომარეობს. აუქციონის პირობებით მშენებლობის ვალდებულების გაუთვალისწინებლადაც, ნაკლებად სავარაუდოა რუსთავის ცენტრში, არასა-სოფლო-სამეურნეო დანიშნულების ... კვ.მ მიწის ნაკვეთის შეძენის მიზანს მისი სამშენებლოდ გამოყენება არ წარმოადგენდეს, მით უფრო წარმოუდგენელია ასეთი მიზანი არ ჰქონოდა მშენებლობის ვალდებულების პირობით შეძენილი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. მერიის გადაწყვეტილებით განსაკუთრებული ტვირთი და-ეკისრა მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლო დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი უთანასწორობის შექმნას, როდესაც ერთი მხარე თვით-ნებურად და უკანონოდ ართმევს მეორე მხარეს საკუთრების უფლებას. ამდენად, საკასაციო სასამართლო ადასტურებს სახელმწიფო ინტერესის არსებობას, ასევე მესამე პირთა ინტერესების დაცვას, თუმცა არა მოსარჩელის საკუთრების უფლების ხელყოფის ხარჯზე.

განსახილებელ შემთხვევაში მერიამ სადაცო ბრძანებით ყოველ-გვარი ალტერნატივის გარეშე ფაქტობრივად ჩამოართვა პ. გ-ს სა-კუთრებით სარგებლობის უფლება, საკუთრებაში დაუტოვა ... კვ.მ მიწის ნაკვეთი მშენებლობის აკრძალვით. მოცემული სახის შეზ-ღუდვა ეჭვქვეშ აყენებს საკუთრების უფლების არსს და შინაარსს უკარგავს მას, რადგან საკუთრების უფლების ამგვარი შეზღუდვა მას მხოლოდ ფორმალურად რეგისტრირებულ უფლებად აქცევს. ამ პირობებში კი სადაცო აქტი არ შეიცავს არანაირ დასაბუთებას იმის თაობაზე, იზღუდება თუ არა საკუთრების უფლება, რა ხარის-ხით ხდება უფლების შეზღუდვა და არის თუ არა იგი ლეგიტიმური მიზნის დაცვის თანაზომიერი. ამასთან, ხომ არ იწვევს საკუთრე-ბის უფლების მოცემული ხარისხით შეზღუდვა საკუთრების უფ-ლების არსის რღვევას და რატომ არის შეუძლებელი, საჯარო და კერძო, მოსარჩელისა და მესამე პირების ინტერესების გათვალის-წინებით, ისე, რომ არც მოსარჩელის კანონით დაცულ ინტერესს მიადგეს ზიანი და მესამე პირთა ინტერესიც იქნეს გათვალისწინე-ბული, მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თუნ-დაც შენობის სიმაღლის ხარჯზე, კანონის მოთხოვნათა დაცვით მშენებლობის დაშვება. აღსანიშნავია, რომ პ. გ-ის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით გასხვისებული მიწის ნაკვეთი დაახ-ლოებით 15X13 მეტრია და მიწის მესაკუთრე თანახმაა იმგვარი პროექტის დამტკიცებაზე, სადაც მისი ნაკვეთის ხარჯზე გაიზრდება 2-მეტრიანი დაშორება. შესაბამისად, მოსარჩელისა და მესამე პირთა ინტერესების გათვალისწინებით მერიამ ხელახალი ადმი-ნისტრაციული წარმოების ფარგლებში უნდა იმსჯელოს პ. გ-ის სა-კუთრებაში არსებული ... კვ.მ მიწის ნაკვეთის იმგვარად სამშენებ-ლოდ გამოყენებაზე, რა დროსაც დაცული იქნება როგორც პ. გ-ის საკუთრების უფლება, ასევე მესამე პირთა ინტერესები. ადმინის-ტრაციული ორგანო ვალდებულია სრულფასოვნად გამოიყენოს ზო-გადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილე-ბები. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საკითხის ხელახლა განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოს მსჯელობის საგნად უნ-და იქცეს როგორ მოხდეს მშენებლობის უფლების (უფრო მეტიც, ვალდებულების) რეალიზაცია, საკუთრების უფლების ფარგლებ-ში. ასეთ შემთხვევაში მერიამ მოსარჩელის საკუთრების უფლების უზრუნველყოფის მიზნით ალტერნატიული და დასაშვები პროექ-ტის შეთანხმება უნდა უზრუნველყოს, რაზეც თანხმობას გამოთ-ქვამს თავად მიწის ნაკვეთის მესაკუთრე – პ. გ-ი, რომელიც აღნიშ-ნულზე საკასაციო სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის დროს მიუთითებდა.

ამდენად, კასატორმა შეძლო წარმოედგინა დასაბუთებული სა-

კასაციონ პრეტენზია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს – რუსთავის მერიას განსაზიღველ შემთხვევაში შეფასების მიღმა დარჩა მოსარჩელის საკუთრების უფლება, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხილავს არსებულ პირობებში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების ალტერნატიული გზები, ისე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელის საკუთრების უფლების ფაქტობრივ ჩამორთმევაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება არ ნიშნავს თანაზომიერების და კანონმდებლობის პრინციპის უგულებელყოფას. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპია საჯარო და კერძო ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ბ. გ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 თებერვლის №134 ბრძანება და მოპასუხეს – ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელე – ბ. გ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება 550 (100+150+300) ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-ნილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :**

1. ბ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 31 იანვრის განჩინება და მიღე-ბულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ბ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობი-ლი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 ოე-ბერვლის №134 ბრძანება და მოპასუხეს – ქალაქ რუსთავის მუნი-ციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნე-ლობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-რივი აქტი;
5. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას ბ. გ-ის სასარ-გებლოდ დაეკისროს საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდი-ლი 550 (100+150+300) ლარის ანაზღაურება;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სა-ბოლოოა და არ საჩივრდება.

## ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაცია

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-202-200(კ-17)

23 მარტი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა:** ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...მა“ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის არქიტექ-  
ტურის სამსახურს, რომლითაც მოითხოვა ქ. თბილისში, ...ის ქ.  
№186-ში მდებარე, შპს „...ის“ საკუთრებაში არსებულ შენობაზე,  
2007 წლის 1 იანვრამდე ქუჩის მხარეს სათანადო ნებართვის გარე-  
შე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაცია.

არქიტექტურის სამსახურის მიერ 16.05.14წ. №1282942 და  
23.06.14წ. №1338372 ბრძანებით განმცხადებლისათვის ხარვეზე-  
ბის დადგენის შემდეგ, 23.07.14წ. №1400164 გადაწყვეტილებით  
განცხადება დატოვა განუხილველად, ვინაიდან: 1. აზომვითი ნახა-  
ზიდან გაქრა კარის აღმნიშვნელი ხაზი და დარჩენილია როგორც  
ღიობი; 2. არ იქნა წარმოდგენილი №... საკადასტრო კოდით რეგის-  
ტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრეების მიერ ობიექტის ლე-  
გალიზებაზე გაცემული თანხმობა; 3. წარმოდგენილ ფოტოსურათ-  
ზე სრულყოფილად არ იყო ასახული ყველა ის კარი, ფანჯარა თუ  
ღიობი, რაც არქიტექტურულ ნაწილში ფასადზეა ასახული.

14.01.2015წ. შპს „...მა“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-  
გიას, მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და  
სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მი-  
მართ. მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოსარჩელემ ქ. თბილისის  
მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2014წ.  
№1400164 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  
მერის მოადგილის 15.12.2014წ. №147 ბრძანების ბათილად ცნობა  
და სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახუ-

რისთვის შპს „...ის“ შენობაზე 2007 წლის 1 იანვრამდე ნებართვის გარეშე გამოჭრილი ღიობების ლეგალიზაციის თაობაზე ახალი ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგალება მო-ითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 22.12.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადა-ვო ღიობები, მათ შორის კარის ღიობი, განთავსებულია უშუალოდ საკადასტრო საზღვართან, აუცილებელია მომიჯნავე მიწის ნაკ-ვეთის მესაკუთრეების თანხმობა ლეგალიზაციაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 22.12.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გა-ასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილე-ბის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფი-ლება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 06.06.2016წ. განჩინებით საქმეში მესამე პირებად ჩაეტნენ ა. ნ-ე, გ. თ-ე და მ. ვ-ა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 08.11.2016წ. განჩინებით შპს „...ის“ სააპელაციო სა-ჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალა-ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22.12.2015წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ საქართვე-ლოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლზე, აგრეთვე ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტე-რიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესე-ბის“ 34-ე მუხლის 1-ლი, მე-14, მე-15, მე-15<sup>1</sup>, მე-16, მე-17, მე-18 პუნქტებზე მითითებით აღნიშნა, რომ ღიობების მქონე ოპიექტის ლეგალიზაციის დროს აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრი-რებული მეზობელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრის სანოტარო წე-სით დამონმებული თანხმობა, თუ აბიექტი მდებარეობს მეზობ-ლის ნაკვეთის საზღვართან 3.0 მეტრზე ნაკლებ მანძილზე. დად-გენილია, რომ მოსარჩელის კუთვნილი შენობის კედელი, რომელ-ზეც განთავსებულია დასალეგალიზებელი ღიობები, მდებარეობს მის საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვართან და ამ მხარეს მას ემიჯნება №... საკადასტრო კოდით რეგისტრირე-ბული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სა-დავო ღიობები, მათ შორის კარის ღიობი განთავსებულია უშუალოდ საკადასტრო საზღვართან, სააპელაციო პალატაში მიიჩნია, რომ აუ-ცილებელია მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა ლე-

## გალიზებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.11.2016წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაქმაყოფილება მოითხოვა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი და თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიუბის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“. სადაც საკითხთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის მე-15<sup>1</sup> პუნქტის გამოყენება არასწორია, ვინაიდან ზედამხედველობის სამსახურს და არქიტექტურის სამსახურს არ დაუდგენია სამართალდარღვევის ზუსტი დრო. ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესები ვრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც წარმოიშობა მისი ძალაში შესვლის დღიდან, მას უკუცევების ძალა არ გააჩნია. კასატორის მოსაზრებით, სადაც საკითხის გადაწყვეტისას არქიტექტურის სამსახურს არ უნდა გამოყენებინა აღნიშნული გადაწყვეტილების მოთხოვნა ლიონების ლეგალიზებისთვის მეზობელი მიწის ნაკვეთის მფლობელების თანხმობის მოთხოვნის თაობაზე, ვინაიდან ღიობების გამოჭრა განხორციელებულია 1982 წლამდე, სანამ შპს „...ი“ მთავრობის გადაწყვეტილებით ჩაიბარებდა ...ის ქ. №186-ში მდებარე ობიექტს. მხარეებს შორის სადაცოა №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების ნოტარიულად დადასტურებული თანხმობის წარუდგენლობა, რასაც საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულება არ ითვალისწინებს. კასატორი აღნიშნავს, რომ შენობა აშენებულია 1945 წელს და მასში დღევანდელი სამეზობლო საზღვრის მხარეს დატანილია 5 ლიობი, აქედან 2 გამოჭრილია 1945 წლის გეგმის მიხედვით და ჩანს გეგმაზეც, ის კანონიერია და სადაცო არ არის. რაც შეეხება დანარჩენ 3 ლიობს, ის გამოჭრილია 1982 წლამდე, რაც სადაცოდ არც მოპასუხე მხარეს გაუხდია.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნულ ობიექტზე ლიონების გამოჭრის დროს, ობიექტი სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფებოდა. მინშვნელოვანია აგრეთვე, რომ მიჯნის ზონაში არსებული №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი მოგვიანებით, 1998 წელს, გაასხვისა სახელმწიფომ, მანამდე იქ არსებობდა საზოგადოებრივი საზღვარი და მისი გეგმის შედგენა მოხდა არქიტექტურის სამსახურის მი-

ერ, რომელმაც აღნიშნული ნაკვეთის გეგმა ისე შეადგინა, რომ მათ-სა და №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს შორის არ დატოვა სივრცე. კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. №4-13 გადაწყვეტილების 34-ე მუხლის მე-15<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის წარდგენის დავა-ლება ამჟამინდელი მესაკუთრეებისგან უსამართლოა, ვინაიდან ლი-ობების გამოჭრა მოხდა 30-40 წლით ადრე. კასატორი თვლის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტება უნდა მოხდეს არა ცალ-მხრივად და მხოლოდ თბილისის საკრებულოს 27.03.2009წ. გადაწ-ყვეტილების 34-ე მუხლის მე-15<sup>1</sup> პუნქტთან მიმართებაში, არამედ, მთელი კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების ანალიზის საფუძ-ველზე.

საკასაციო პალატის მიერ დასაშვებად იქნა ცნობილი საკასა-ციო საჩივარი და დადგინდა საქმის მხარეთა დასწრების გარეშე მისი განხილვა.

მესამე პირების – ა. ნ-ის და გ. თ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-ემ წერილობითი მოსაზრება წარუდგინა საკასაციო სასამართლოს, რო-მელშიც აღნიშნა, რომ შპს „...ის“ დირექტორის მიერ აღძრული იყო სარჩელი თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიმართ. დავის სა-განს შეადგენდა 28.07.03წ. შედგენილი წითელი ხაზები. თბილისის საქალაქო სასამართლოს 05.04.11წ. გადაწყვეტილებით მოსარჩე-ლეს უარი ეთქვა სარჩელის დაკამაყოფილებაზე უსაფუძვლობის გა-მო, სააპელაციო სასამართლოს 15.07.11წ. განჩინებით და საკასა-ციო სასამართლოს 07.11.11წ. განჩინებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. ექსტრიერის სარეკონსტრუქ-ციო სამუშაოების ნებართვის გარეშე ჩატარების გამო 29.02.12წ. მესამე პირებმა მიმართეს ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურს, რომლის მიერ შედგა მიწერილობა ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ. კასატორის მითითება, რომ კა-რისა და ფანჯრის ლიობები მოწყობილია 2007 წლამდე არ შეესაბე-მება სინამდვილეს. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, თუ მიწის ნაკვეთი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრე-ბაშია, განცხადებას თან უნდა დაერთოს განმცხადებელსა და მე-საკუთრეს შორის დადებული შესაბამისი ხელშეკრულება ან თან-ხმობა. მოცემულ შემთხვევაში განცხადებას არ ერთვოდა თანხმო-ბა. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 08.07.08წ. №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ 26-ე მუხლის თანახმად სამეზობლო მიკ-

ნის ზონაში აშენებულ შენობაზე სამეზობლო საზღვრის მხარეს მოწყობილი კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ლია ნაწილი არ უნდა უქმნიდეს დაბრკოლებას მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მიჯნის ზონაში ახალი შენობის მშენებლობას.

სსსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №186-ში (ნაკვეთი №...) მდებარე 2638 კვ.მ. მინის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა – ნაგებობებზე 2010 წლის 22 ოქტომბრიდან რეგისტრირებულია ლ. ჯ-ას და შპს „...ის“ თანასაკუთრების უფლება. შპს „...ის“ გენერალურმა დირექტორმა 10.06.2014წ. №AR1227859 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს უნებართვო მშენებლობის (შენობაზე ამოჭრილი ლიობების) ლეგალიზების თაობაზე მოთხოვნით, მანვე წარადგინდა თანამესაკუთრის – ლ. ჯ-ას მიერ 25.04.2012წ. გაცემული თანხმობა შპს „...ის“ კუთვნილი ადმინისტრაციული შენობის ქუჩის მხრიდან არსებული კარ-ფანჯრების ლეგალიზების თაობაზე. ქ.თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.06.2014წ. №1338372 ბრძანებით, შპს „...ს“ დაევალა 10 დღის ვადაში შეევსო ხარვეზი, კერძოდ, წარმოედგინა შემდეგი დოკუმენტები: 1. ობიექტის ამსახველი ფოტოსურათები სალეგალიზაციო ლიობების და ზოგადი სიტუაციის ნათლად და სრულად ასახვით; 2. ლიობების 2007 წლის 1 იანვრამდე მოწყობის დამდგენი დოკუმენტი; 3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; 4. №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე გაცემული თანხმობა; 5. შესწორებული განმარტებითი ბარათი; 6. შესწორებული აზომვითი ნახაზი. ამავე ბრძანებით განმცხადებელს განემარტა, რომ ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარუდგენლობის ან/და არასრულად წარდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველი. შპს „...ის“ მიერ წარდგენილი იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი, კერძოდ, არ წარდგენილა ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მინის ნაკვეთის მესაკუთრების მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე თანხმობა და ფოტოსურათები. შპს „...ის“ წარმომადგენელმა მი-

უთითა თანხმობის წარუდგენლობის მიზეზზე, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოთხოვნა არ გამომდინარეობდა კანონმდებლობიდან, ხოლო ფოტოსურათების წარდგენის შესაძლებლობა არ გააჩნდა მეზობელ მიწის ნაკვეთზე დროებითი ნაგებობის არსებობის გამო, რაც ხელს უშლიდა შენობის ფასადის სრულად ასახვას ფოტოსურათზე.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2014წ. №1400164 გადაწყვეტილებით შპს „...ის“ №AR1227859 განცხადება დარჩა განუხილველა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით: 1. აზომებითი ნახაზიდან გაქრა კარის აღმნიშვნელი ხაზი და დარჩენილია, როგორც ლიობი; 2. არ იქნა წარდგენილი №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ ობიექტის ლეგალიზებაზე გაცემული თანხმობა; 3. წარდგენილ ფოტოსურათებზე სრულყოფილად არ იყო ასახული ყველა ის კარი, ფანჯარა თუ ლიობი, რაც არქიტექტურულ ნაწილში ფასადზეა ასახული.

შპს „...ის“ დირექტორმა შ. ჯ-ამ 06.08.2014წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ქ. თბილისის მერიას. ქ. თბილისის მერიის 15.12.2014წ. №147 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს უარი ეთქვა მოთხოვნის დაქმაყოფილებაზე, ძალაში დარჩა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2014წ. №1400164 გადაწყვეტილება.

მოსარჩელე გასაჩივრებულ აქტებს სადავოდ ხდის იმ საფუძვლით, რომ სადავო აქტები გამოიცა ლიობების ამოჭრის, მეზობელ ნაკვეთზე საკუთრების წარმოშობის და შენობების აგების პერიოდების გათვალისწინების გარეშე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 15.01.1982წ. №23 დადგენილების და საქართველოს სსრ ტყის და ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს 02.07.1982წ. №246 ბრძანების საფუძველზე მოხდა ...ის ფაპრიკასა და „...ის“ სამმართველოს შორის უძრავი ქონების გაცვლა, „...მა“ შეიცვალა დისლოკაციის ადგილი, კერძოდ ...ის ქ. №12-დან გადმოვიდა ყოფილი ...ის (ამჟამად ...ის ქ.) №186-ში. ის გარემოება, რომ სათავსოს ქუჩის მხარეს გადმოცემის მომენტში უკვე ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი კარები და ოთხი ფანჯარა ადასტურებენ ობიექტში ადრე დასაქმებული პირები (გ. ჭ-ე, ა. ო-ე, გ. ხ-ი, მ. ყ-ი). საქმის მასალებით დასტურდება, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.10.13წ. გადაწყვეტილებით ობიექტის „...ის“ საკუთრებაში ყოფნის, მის მიერ არქიტექტურის სამსახურისათვის ლეგალიზაციის მიზნით მიმართვის ფაქტი არ ჩაითვალა ...ის ქ. №186-ში მყოფი ობიექტის ექსტერიერში უნებართვოდ განხორციელებული

რეკონსტრუქციისათვის (ლიობების გამოჭრა) დაჯარიმების საკმაო საფუძვლად, სასამართლომ მიუთითა, რომ არ დგინდებოდა შპს „...ის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა არსებითი გარემოების გამოკვლევის და შეფასების შემდეგ ახალი აქტის გამოცემა (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.10.14წ. განჩინებით მერიის, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის, ა. 6-ის და მ. ვ-ას სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 11.10.13წ. გადაწყვეტილება). საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაშიც დავის კანონიერი გადაწყვეტა საჭიროებს მოსარჩელის კუთვნილ ობიექტზე ღიობების მოწყობის პერიოდის დადგენას. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია თუ რა სახით მოხდა შენობის გადაცემა, იყო თუ არ მოიქტის „...ის“ სამსართველოსათვის გადაცემის მომენტში მასზე სადაცო ღიობები მოწყობილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სადაცო სამართალურთიერთობების მომწერიგებელი კანონმდებლობის დადგენა. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ 6.2 მუხლის თანახმად, შესაბამისი ორგანო ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ ქალაქითმშენებლობით პირობებთან შესაბამისობას. ამდენად, მიჯნის ზონაში მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა წარმოადგენს ლეგალიზაციის სავალდებულო პირობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ლეგალიზაციის აქტი არის აღმჭურველი აქტი, ამასთანავე საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ლეგალიზაციის თაობაზე მიღებული აქტი არ ზღუდავს მესამე პირის უფლებებსა და კანონიერი ინტერესებს. საქართველოს პრეზიდენტის 24.11.07წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული წესი ვერ იქცევა სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვის საფუძვლად, მესამე პირთა ინტერესების დაცვა ხდება არა მხოლოდ მშენებლობის ნებართვის გაცემის, არამედ ლეგალიზაციის პროცესში. ამასთანავე, ზემოაღნიშნული არ ადასტურებს სადაცო სამართალურთიერთობების მიმართ უპირობოდ სამეზობლო წესების გამოყენების შესაძლებლობას. 18.09.01წ.-14.07.08წ. მოქმედი საქართველოს ურბანიზაციისა და

მშენებლობის მინისტრის 18.09.016. №57 ბრძანებით დამტკიცებული „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობის მშენებლობის წესი“ განსაზღვრავდა ქალაქების, სოფლების და სხვა დასახლებების განაშენიანების ზონებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის შესაბამის პირობებს, რომლის თანახმად საცხოვრებელი სახლის განთავსება ნაკვეთების საზღვრიდან დაშვებული იყო 5.0 მეტრში, ასეთ შემთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს განთავსებულ კედელში შესაძლებელი იყო ფანჯრებისა და სხვა სახის ლიობების მოწყობა, წესი ითვალისწინებდა ორიენტაციის და რელიეფის გათვალისწინებით მანძილის გაზრდის შესაძლებლობას იმ ვარაუდით, რომ მეზობლის მიერ საზღვარზე (საზღვართან) საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევაში დაცული იქნებოდა საცხოვრებელ სახლებს შორის ერთი ფანჯრიდან მეორეში ჩაუხედაობა (3.2 მუხ.). 18.09.016. №57 ბრძანებით დამტკიცებული წესის გამოცემამდე და შენობის „...ის“ სამმართველოსათვის გადაცემის დროს მოქმედი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის 07.02.1966წ. №08 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში საკარმიდამო განაშენიანების ზონაში ნაკვეთების საზღვარზე (მიჯნაზე) მშენებლობის წესები“ ანალოგიურ დებულებებს შეიცავდა, ის ასევე ეხებოდა ნაკვეთების მიჯნაზე მოსაზღვრე საცხოვრებელ სახლებზე ლიობების მოწყობას. ხსენებული რეგულაციები ეფუძნებოდა ჩაუხედაობის პრინციპის დაცვას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს პირადი ცხოვრების დაცულობისათვის. პირადი ცხოვრების დაცვის უფლებით არის ნაკარნახევი საცხოვრებელ სახლებს შორის დისტანციის დაცვის მოთხოვნა, იმ მეზობლის საკუთრებით სარგებლობის უფლება, რომელსაც კანონისაწინააღმდეგოდ ჰქონდა მოწყობილი სასაზღვრო მიჯნაში ლიობი, დაცვის უპირატესი უფლებით არ სარგებლობდა. განსახილველ შემთხვევაში სადავოა არა საცხოვრებელი ფართების, არამედ სამეურნეო ობიექტების ლიობების განთავსება. ობიექტის „...ისათვის“ გადაცემის მომენტში ჩაუხედაობის პრინციპის დაცულობის მოთხოვნა არ მოქმედებდა. შემდეგი რეგულაციები (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 08.07.08წ. №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ (26-ე მუხ., 13, 15<sup>1</sup> ქვ.პ.), თბილისის საკრებულოს 27.03.09წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ (34-ე მუხ.), თბილისის საკრებულოს 24.05.16წ. №14-39 გადაწყვეტილებით დამ-

ტყიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“ (30-ე მუხ. 1, 10, 15<sup>1</sup> ქვ.პ.), საქართველოს მთავრობის 15.01.14წ. №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ (26-ე მუხ. მე-13, მე-14 ქვ.პ.)) ითვალისწინებენ სამეზობლო მიჯნიდან დისტანციის დაცვას, აღნიშნული ეხება არა მხოლოდ საცხოვრებელი სახლების, არამედ ზოგადად განაშენიანების წესებს. ამდენად დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია ღიობის მოწყობის პერიოდის დადგენა.

სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09წ. №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვთ, სამშენებლო მიწის ნაკვეთების საზღვარი (საკადასტრო საზღვარი) არის ორი სახის: საზოგადოებრივი საზღვარი და სამეზობლო საზღვარი. საზოგადოებრივი საზღვარი სახეზეა როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება ქუჩას ან/და სხვა საზოგადოებრივ სივრცეს. სამშენებლო მიწის ნაკვეთის სამეზობლო საზღვარი სახეზეა, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთი ესაზღვრება სამშენებლო მიწის ნაკვეთს, ან ისეთ არა-სამშენებლო მიწის ნაკვეთს, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს. აღნიშნული წესების 34-ე მუხლის მე-4, მე-15 პუნქტის თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში განთავსებულად ითვლება შენობა ან მისი ნაწილი, რომელიც სამეზობლო საზღვრიდან 3.0 მეტრზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული, შენობის საანგარიშო ზედაპირის ან მისი ნაწილის განთავსება სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიჯნის ზონაში დასაშვებია სამეზობლო საზღვრის მხარეს კარის, ფანჯრის, სამტრედეს და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილის, ასევე აივნის, ერკერის და ტერასის გარეშე. ეს პირობა არ ეხება ამ მუხლის 15<sup>1</sup>, 16, 17 და 18 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებს, ხოლო ამავე მუხლის 15<sup>1</sup> პუნქტში აღნიშნულია, რომ ნაკვეთის საზღვრიდან 3.0 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, მეზობლის მხარეს შეიძლება მოწყობილ იქნეს ღიობი: კარი, ფანჯარა, სამტრედე და კედელში არსებული სხვა ღია ნაწილი, ასევე აივანი, ერკერი და ტერასა, თუ ამაზე მიღებული იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ საჩივრის განხილვის დროისათვის არსებული თბილისის სარეგისტრაციო ზონის საკადასტრო რუკით დადგენილად მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის კუთვნილი შენობის კედელი, რომელზეც განთავსებულია ღიობები, მდებარეობს კუთ-

ვნილი მიწის ნაკვეთის საზღვართან და ამ მხარეს მის მომიჯნავე უძრავ ქონებას წარმოადგენს №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ნაკვეთი. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მის საკუთრებაში არსებულ ობიექტზე ორი ლიობი ქუჩის მხარეს გამოჭრილია 1945 წელს, დანარჩენი მოგვიანებით, 1982 წლამდე (ობიექტის „...ისათვის“ გადაცემამდე), ამ პერიოდში სამეზობლო საზღვარი არ არსებობდა, იყო არა სამეზობლო, არამედ საზოგადოებრივი საზღვარი, ობიექტის წინ მდებარე ნაკვეთი ესაზღვრებოდა ქუჩას. ამასთანავე, საქმეში დაცულია ადრინდელი პერიოდის ფოტომასალა, რომელზეც ასახულია შენობის კედელი ლიობებით, კედლის მხარეს სივრცე თავისუფალია რაიმე მიშენებისგან. ის გარემოება, რომ სათავსოს ქუჩის მხარეს ჰქონდა დამოუკიდებელი შესასვლელი კარები და ოთხი ფანჯარა ადასტურებენ ობიექტში ადრე დასაქმებული პირები, 13.07.1945წ. გეგმა-ნახაზი. ამდენად, მეზობლებისაგან თანხმობის წარმოდგენის მართლზომიერება საჭიროებდა ღიონების მოწყობის პერიოდში სამეზობლო საზღვრის არსებობის ფაქტის დადგენას. დავის გადაწყვეტისათვის ხსენებული გარემოების მნიშვნელობის, აგრეთვე აპელანტის მიერ აღნიშნულ გარემოებაზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ მიმართებით არ შეიცავს რაიმე შეფასებას, სააპელაციო პალატას აღნიშნულთან დაკავშირებით არც ფაქტობრივი გარემოებები დაუდგენია.

ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ამავე მხარეებს შორის არსებულ სასამართლო დავაზე, რომელიც ეხება შპს „...ის“ მეზობელი მიწის ნაკვეთის (№...) მესაკუთრების – გ. თ-ის და ა. ნ-ის მიერ სამეზობლო საზღვარში რამდენიმე დროებითი შენობა-ნაგებობის აღმართვის კანონიერებას. აღნიშნულის გამო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მითითების, აგრეთვე დაჯარიმებისა და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დაგალების შესახებ განკარგულების კანონიერების შემოწმების შედეგად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 29.03.18წ. განჩინება, სუს 16.01.20წ. №1181(ქ-18) განჩინება) ირკვევა, რომ ა. ნ-ის და გ. თ-ის მიერ დროებითი ნაგებობის უნებართვოდ განთავსების გამო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაიცა მითითება, ხოლო მითითების შეუსრულებლობის გამო გამოიცა დაჯარიმების და დემონტაჟის შესახებ დადგენილება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 22.07.16წ. №1-11312 ბრძანებით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, 31.07.15წ. მითითებისა და 23.12.15წ. დადგენილების ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის გამო (მითი-

თებაში აღნიშნული იყო, რომ ...ის ქ. №186 მიმდებარედ, ს. კ. №..., ა. ნ-ის და გ. თ-ის კუთვნილ ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, ხოლო 23.12.15წ. მიღებულ №000438 დადგენილების თანახმად, ა. ნ-ე და გ. თ-ე დაჯარიმდნენ 8000 ლარით ს.კ. №... შესაბამისი სანებართვიო დოკუმენტაციის გარეშე ოთხი შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის), დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მერიის აქტი ძალაში დარჩა. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო პალატის მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მითითებულ დავაზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, აგრეთვე სასამართლოს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილი ს/კ ... არსებულ მინის ნაკვეთზე შპს „...ის“ შენობასთან სამეზობლო მიჯნაში მესამე პირების მიერ შენობა-ნაგებობების აღმართვის კანონიერების საკითხი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №186-ში არსებულ ექსტრემისტურზე ორი ღიობი არსებობს 1945 წლიდან, რასაც ადასტურებს 13.07.1945წ. გეგმა-ნახაზი, შესაბამისად დავა შეეხება საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელ სამ ღიობს. მოსარჩევის მიერ ნარმოდგენილ ნახაზზე დატანილი ღიობების ნუმერაციით მოსარჩევე ითხოვს მეორე, მესამე და მეხუთე ღიობის ლეგალიზაციას, პირველი და მეოთხე ღიობი დატანილია 13.07.1945წ. გეგმა-ნახაზზე და მაშასადამე არ საჭიროებს ლეგალიზაციას. ნახაზის მიხედვით პირველი ღიობი არის კარი. გარდა ამისა, საქმეში დაცული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 12.07.11წ. განჩინებაში აღნიშნულია, რომ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 28.07.03წ. შედგენილ გეგმაში ასახულია შპს „...ის“ სერვიტუტი და სერვიტუტის უფლების ფარგლები. ამ მიმართებით ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ რაიმე გარემოება დადგენილი არ არის. ამდენად, დაუსაბუთებელია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სადავო №1400164 გადაწყვეტილებით განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლად იმის მითითება, რომ აზომვით ნახაზში არ იყო მითითებული კარის აღმნიშვნელი ხაზი. აღნიშნული უკიდურეს შემთხვევაში იყო ხარვეზის შევსებისათვის დამატებითი ვადის მიცემის და არა განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი. ამასთანავე, საქმის მასალებში დაცულია აზომვითი ნახაზი, რომელშიც ასახულია კარის ღიობი.

სააპელაციო პალატამ აგრეთვე არ იქონია მსჯელობა არქიტექტურის სამსახურის მიერ ფოტოსურათების დამატებით მოთხოვნის კანონიერებაზე, არ შეაფასა რამდენად არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის 24.11.2007წ. №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესით“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ობიექტის ადგილზე დათვალიერების საჭირობა (4.1 მუხ.), იმის გათვალისწინებით, რომ შპს „...ის“ წარმომადგენელი მიუთითებდა ფოტოსურათების დამატებით წარდგენის შეუძლებლობაზე შპს „...ის“ შენობის წინ დროებითი ნაგებობების აღმართვის გამო. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „...მა“ წარუდგინა ადმინისტრაციულ ორგანოს ობიექტის ფოტოსურათები, რომლებშიც ასახულია ობიექტზე არსებული ზოგადი ვითარება. ფოტოსურათებზე სრულად არ იყო ასახული სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი ყველა ღიობი, რაც გამოწვეული იყო შენობის კედელზე პირდაპირი მიბჯენით სავაჭრო ფარდულების მოწყობით, სალეგალიზაციო აბიექტის ჩახერგით. ადმინისტრაციულმა ორგანომ შექმნილი ვითარების კანონიერების, განმცხადებლის ბრალეულობის გარკვევის გარეშე, ფოტომასალის წარმოუდგენლობის გამო განცხადება განუხილველად დატოვა, ამდენად, სასამართლოს მიერ განცხადების განუხილველად დატოვების მართლზომიერების დადასტურება არის დაუსაბუთებელი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მიწის წაკვეთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის რიგითობის, მათზე შენობების განთავსების კანონიერების და შენობების დანიშნულების გათვალისწინების გარეშე დავის გადაწყვეტა დაუსაბუთებელს ხდის სააპელაციო პალატის მოსაზრებას გასაჩივრებული აქტების კანონიერად მიჩნევის თაობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს სასამართლო მოკლებულია ახალი მტკიცებულებების მოპოვების და შეფასების შესაძლებლობას, იგი არ არის საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლო. საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას. სსკ-ის 377.1 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მოკლებულია საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და მოძი-

ების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახლი განხილვისათვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.11.2016 წ. განჩინება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდ და არ საჩივრდება.

## 2. სამშენებლო სამართალდარღვევა

### უცხართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების კანონიერება

გადაცყვეტილება  
საქართველოს სახელით

№ბს-898(კ-18)

17 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2017 წლის 18 მაისს თ. თ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-  
ლეგიას, მოპასუხების – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-  
რიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედ-  
ველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქა-  
ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სა-  
ქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილე-  
ბისა და „თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად და-  
ტოვების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანების ბათილად ცნობა მოით-  
ხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-  
ტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმოება-  
ში იყო სამართალდარღვევის საქმე თ. თ-ის მიმართ, რაზეც გაიცა  
შესაბამისი მითითება №00317, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-  
ტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის  
3 ნოემბრის დადგენილებით თ. თ-ე ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩის  
მხრიდან №56-ში შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარე-  
შე მოწყობილი მიშენების გამო, დაჯარიმდა 8000 (რვა ათასი) ლა-  
რით. აღნიშნული დადგენილება, მოსარჩელის მიერ ადმინისტრა-  
ციული საჩივრით გასაჩივრებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიცი-

პალიტეტის მერიაში, 2016 წლის 17 თებერვლის №230 დადგენილებით კი დაკმაყოფილდა აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივარი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებული მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნულის შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაიცა მითითება №001499, რომლითაც მოსარჩელეს დაევალა მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის სამსახურისთვის წარდგენა. მოსარჩელის მიერ წარდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომლის თანახმადაც შენობა-ნაგებობები კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით არის განთავსებული მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №...). მიუხედავად კანონით დადგენილი ყველა დოკუმენტის წარდგენისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №001499 დადგენილების საფუძველზე დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით და ამასთან, დაევალა შენობა-ნაგებობების დემონტაჟი. აღნიშნული დაგენილება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით განუხილველად იქნა დატოვებული ადმინისტრაციული საჩივარი.

მოსარჩელის მითითებით, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. თ-ის სარჩელი დაემაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანება „თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე“; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალა თ. თ-ის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ 2016 წლის 1 ნოემბერს მიღებული №001499 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნით, 2016 წლის 30 ნოემბერს წარდგენილი №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრის არსებითი განხილვა კანონით დადგენილი წესით; დანარჩენი მოთხოვნის ნაწილში („სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნო-

ემპრის №001499 დადგენილების ბათილად ცნობა) თ. თ-ის სარჩე-  
ლი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი  
2016 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამო-  
ნანერით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილი-  
სი, ....ს ქუჩა №56, დაზუსტებული ფართობი – 115.00 კვ.მ, შენობა-  
ნაგებობის ჩამონათვალი: №1, №2, მიწის (უძრავი ქონების) საკა-  
დასტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია თ. თ-ის  
სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: მომართვა  
№..., დამოწმების თარიღი: 12/09/2016, ქალაქ თბილისის მუნიცი-  
პალიტეტის არქიტექტურის სამსახური; ნასყიდობის ხელშეკრუ-  
ლება №1-1090, დამოწმების თარიღი: 28/04/1998, ნოტარიუსი ლ.  
გ-ი.

დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ ქა-  
ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სა-  
ქალაქო სამსახურის მიერ თ. თ-ის მიმართ 2016 წლის 31 მაისს შედ-  
გენილი იქნა მითითება №001499, რომლითაც დადგენილია, რომ ქ.  
თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) განხორცი-  
ელდა უნებართვო მიშენება და საფეხურების მოწყობა, ასევე უნე-  
ბართვო მიშენების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და  
გადადის სახელმწიფო მიწაზე. დარღვევის გამოსწორების მიზნით  
მას დაევალა უნებართვო ობიექტების დემონტაჟი უსაფრთხოე-  
ბის ნორმების დაცვით ან მითითების შედგენის მომენტამდე არსე-  
ბული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა. დარღვე-  
ვის გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარუ-  
ლი დღე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველო-  
ბის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ივლისს შედგენილ  
იქნა შემოწმების აქტი №001499 თ. თ-ის მიმართ, რომლითაც დად-  
გინდა, რომ მის მიერ არ იქნა შესრულებული მითითების პირობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველო-  
ბის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ნოემბერს მიღებული  
იქნა დადგენილება №001499 „სამშენებლო სამართალდარღვევის  
საქმეზე“, რომლის თანახმადაც თ. თ-ე დაჯარიმდა 10 000 (ათი ათა-  
სი) ლარით ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...)  
უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის  
(შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებულია ფართი და მოწ-  
ყობილია საფეხურები, ასევე განხორციელებულია მიშენება, რომ-  
ლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელ-  
მწიფოს ტერიტორიაზე). ამავე დადგენილებით, თ. თ-ეს დაევალა  
ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებარ-

თვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართის და მოწყობილი საფეხურების, განხორციელებული მიშენებს, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) დემონტაჟი. აღნიშნულ დადგენილებაზე მიწერილია – „ჩავიბარე თ. თ-ე 09/XI-2016.“

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, თ. თ-ის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თ. თ-ემ 2016 წლის 26 დეკემბერს №449592/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც ითხოვდა საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას მისი და მისი აღვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე 2016 წლის 30 ნოემბრამდე საჩივრის წარუდგენლობის გამო. განცხადებას თან ერთვოდა კ.ს. „...ის“ მიერ 2016 წლის 18 ნოემბერს გაცემული №16-22/22 ბრძანება, რომლითაც დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. ბ-ეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეცა კუთვნილი შვებულება 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. თ. თ-ის ადვოკატმა ნ. ბ-ემ 2016 წლის 12 დეკემბერს №437256/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც ითხოვდა 2016 წლის 13 დეკემბერს თ. თ-ის საჩივრთან დაკავშირებით დაინშნული ზეპირი მოსმენის სხდომის გადადებას, რადგან ნ. ბ-ე 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 22 დეკემბრამდე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, არ იმყოფებოდა თბილისში და ვერ შეძლებდა სხდომაზე გამოცხადებას, ამასთან თ. თ-ე არ არის იურისტი და ვერ შეძლებდა წარმომადგენლის გარეშე თავისი პოზიციის დაცვას. განცხადებას თან ერთვოდა 2016 წლის 16 აგვისტოს კ.ს. „...ის“ მიერ გაცემული ორდერი №16/3690, რომლითაც ადვოკატ ნ. ბ-ეს ევალება განახორციელოს თ. თ-ის ინტერესების დაცვა ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ორდერის მოქმედების ვადა – უვადო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით განუხილველად დარჩა თ. თ-ის 2016 წლის 30 ნოემბრის №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის – დ. მ-ის 2017 წლის 29 მარტის №02 ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ქ. თბილისში,

...ის ქუჩა №52-ში საკადასტრო კოდით: №... მოქალაქე თ. თ-ის მიერ ლიტერ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართი, მას შემდეგ რაც შპს „...ის“ მიერ მოხდა საზღვრების კორექტირება აღარ სცდება საკადასტრო საზღვრებს და არ გადადის სახელმწიფო ტერიტორიაზე. დასკვნაში განმარტებულია, რომ ცდომილება ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილ აზომვით ნახაზსა და შპს „...ის“ მიერ შესრულებულ ნახაზებს შორის გამოწვეულია საამზომველო ინსტრუმენტებით, ხოლო აღნიშნული დაშვებულია საქართველოს მთავრობის №388 დადგენილების დანართი №1, მე-2 მუხლის, მესამე პუნქტის მიხედვით, აღნიშნული ცდომილება ასევე დასამვებია 1:500 მასშტაბით აზომვების დროს, რითაც მოხდა აღნიშნული აზომვები, მაგრამ ცდომილების მინიმუმდე დაყვანისათვის საკადასტრო აზომვების ჩატარება უნდა მოხდეს 1:100 მასშტაბით, რაც მოითხოვს საამზომველო ინსტრუმენტებით 24 საათიან სადამკვირვებლო რეზიმს.

განსახილველ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილება და „თ. თის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და დავის განხილვისას უნდა შემოწმებულიყო გასაჩივრებული აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის წორმებთან, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე წორმატიული აქტების დებულებებთან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, მშენებლობის სახეობებია: ა) ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი); ბ) რეკონსტრუქცია; გ) რემონტი-შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა (არ საჭიროებს ნებართვას); დ) დემონტაჟი; ე) ლანდშაფტური მშენებლობა; ვ) დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლო-

ბა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისისა და ინტოქ-სიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის. ამა-ვე კანონის 15-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი (შემდგომ – ობიექტი) არის ტექნიკური ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნე-ბისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთ-რებული მნიშვნელობის ობიექტი, შეზღუდულად ბრუნვადი ნივ-თიერება ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში შე-უძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს. ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახ-მად კი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველო-ბის ორგანოები არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექ-ნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზე-თისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ად-გილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმი-ანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები.

დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე სასამარ-თლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუ-ნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენდა სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამ-ხედველობის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და სწო-რედ მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა სამშენებლო საქმიანო-ბის პროცესში იმგვარი დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი პა-სუხისმგებლობის დაკისრება, როგორიცაა პროექტის დარღვევით მშენებლობის, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/ და დემონტაჟის წარმოება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოე-ბისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-19 მუხლის მე-15 ნაწილზე, რომლის თანახმად, მითითება სამშენებლო სამართალ-დარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია და იგი გასა-ჩივრდება დადგენილებასთან ერთად. ამასთან, საქალაქო სასამარ-თლომ აღნიშნა, რომ ამავე კოდექსის 25-ე მუხლი განსაზღვრავს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს. კერ-ძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმია-ნობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარ-

ღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სასამართლოს აღნიშვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თ. თ-ის მიმართ 2016 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001499, რომლითაც დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) განხორციელდა უნებართვო მიშენება და საფეხურების მოწყობა, ასევე უნებართვო მიშენების ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფო მინაზე. დარღვევის გამოსწორების მიზნით მას დაევალა უნებართვო ობიექტების დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით ან მითითების შედგენის მომენტამდე არსებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა. დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისხება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება.

საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ თ. თ-ის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ივლისს შედგენილი იქნა შემოწმების აქტი №001499, რომლითაც დადგინდა, რომ მის მიერ არ იქნა შესრულებული მითითების პირობები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის

მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც თ. თ-ე დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებულია ფართი და მოწყობილია საფეხურები, ასევე განხორციელებულია მიშენება, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე). ამავე დადგენილებით, თ. თ-ეს დაევალა ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართის და მოწყობილი საფეხურების, განხორციელებული მიშენების, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) დემონტაჟი. აღნიშნულ დადგენილებაზე მიწერილია – „ჩავიბარე თ. თ-ე 09/XI-2016.“.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გა-

მოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ამავე კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ასხვა საპატიო მიზეზით.

საქალაქო სასამართლომ განმეორებით აღნიშნა, რომ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დაადგენილება, ერთჯერადად, ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული თ. თ-ის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, რომლის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. მოსარჩევე მხარის ერთერთ მოთხოვნას სწორედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენდა. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით კი ირკვევა, რომ თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დარჩა განუხილველი იმ საფუძვლით, რომ გასული იყო სადაცო დადგენილების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილება) გასაჩივრების 15-დღიანი ვადა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 22-ე ნაწილის შესაბამისად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში გასაჩივრებულიყო. ამასთანავე, გასაჩივრება არ აჩერებდა სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედვე-

ლობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დე-მონტაჟის შეჩერების ნაწილში.

საქალაქო სასამართლომ კვლავ მიუთითა საქმის მასალებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება №001499 მიღებულ იქნა 2016 წლის 1 ნოემბერს. ამასთან, აღნიშნულ დადგენილებაზე მინერილია – „ჩავიბარე თ. თ-ე 09/XI-2016წ.“ (საგულისხმოა ის გარემოება, რომ დადგენილების ჩაბარების თარიღს სადაცოდ მიიჩნევდა მოსარჩელე მხარე), გასაჩივრებული – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა იმ საფუძვლით, რომ სადაცო დადგენილება მოქმედა 2016 წლის 9 ნოემბერს, ადმინისტრაციული საჩივარი კი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა 2016 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად გასული იყო გასაჩივრების 15-დღიანი ვადა.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლი ადგენს საქმის გარემოებათა გამოკვლევის წესს. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, მოპასუხე ვალდებულია, წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამასთან, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ინიციატივის, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული ნორმების საფუძველზე სწორედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული დაამტკიცოს, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და მისი გამოცემით არ დარღვეულა მოსარჩელის კანონიერი უფ-

ლებები, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონის ეს მოთხოვნა ათავისუფ-ლებს მოსარჩევეს მტკიცების ტვირთისგან, რომ სადაც აქტი ით-ვლება არმართლზომიერად იქამდე, ვიდრე მისი გამომცემი არ და-ამტკიცებს მის მართლზომიერებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს – ქა-ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, თ. თ-ის მიერ წარ-დგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში სა-თანადოდ არ იქნა გამოყელეული საქმისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ იყო დასაბუთებული, თუ რატომ არ იქნა გაზია-რებული თ. თ-ის მიერ 2016 წლის 26 დეკემბერს №449592/12 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი განცხადება, სადაც იგი ითხოვდა საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას მისი და მისი ადვოკატის ჯამშრთელობის მდგომარეობდან გამომდინარე 2016 წლის 30 ნოემბრამდე საჩივრის წარუდგენლობის გამო, რამე-თუ მხარეთა ახსნა-განმარტებები და საქმეში არსებული მტკიცე-ბულებები ერთობლიობაში ადასტურებდა იმას, რომ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტე-ტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების ადმინისტრაციული საჩივ-რით გასაჩივრების ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით, აღ-ნიშნული კი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180.4 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის გაშვებული ვადის აღდგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, მით უფრო მაშინ, როდესაც ადმინის-ტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხა-რისთვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია და ადმინისტრაცი-ული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გუ-ლისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოი-ცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერე-ბის გადამოწმებას. სასამართლომ მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, როგორც საჩივრის განმხილველ ირგანოს, გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილო-ბის გადამოწმების ვალდებულება მაღალი ხარისხით წარმოებობო-და, რაც გულისხმობდა იმას, რომ მის მიერ გამოკვლეული უნდა ყოფილიყო საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული უნდა ყოფილიყო გადაწყვე-ტილება საჩივრის დაკამაყოფილების ან საჩივრის დაკამაყოფილე-ბაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასა-

მართლომ მიიჩნია, რომ თ. თ-ის სასარჩელო მოთხოვნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით საფუძვლიანი იყო და უნდა დაქმაყოფილებულიყო; ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანება „თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დავალებოდა თ. თ-ის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ 2016 წლის 1 ნოემბერს მიღებული №001499 დადგენილების ბათილად ცნობას თაობაზე მოთხოვნით, 2016 წლის 30 ნოემბერს წარდგენილი №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრის არსებითი განხილვა კანონით დადგენილი წესით.

რაც შეეხება თ. თ-ის სარჩელს, რომლითაც იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების ბათილად ცნობას ითხოვდა, სასამართლო მიიჩნია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, ერთჯერადად, ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში აღნიშნულ დადგენილებაზე არსებითად არ ჰქონდა ნამსჯელა, არამედ თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი დატოვა განუხილველი გასაჩივრების ვადის გასვლის გამო, ამასთან, იმ პირობებში, როდესაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საქმეზე გამოსაკვლევი და შესაფასებელი იყო რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა გააჩნდა თ. თ-ის მიერ წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე საკითხის არსებითად მსჯელობისათვის, საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, არსებითად ემსჯელა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების კანონშესაბამისობაზე, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში თ. თ-ის სარჩელი არ უნდა დაქმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის განჩინებით ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-და; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწ-ყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტან-ციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებ-რივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მის-ცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და არსებითად სწო-რად გადაწყვიტა სადაც საკითხი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის განჩინება საკასაციო წესით გა-ასაჩივრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილე-ბით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მითითებით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-ტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის აღდგენის საფუძვლად მხარე უთითებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლის 26 დეკემბერს თ. თ-ის მიერ წარდგენილ კ.ს „...ის“ №16-22/22 ბრძანებას, საიდანაც ირკვევა, რომ ადვოკატ ნ. ბ-ეს ჯან-მრთელობის მდგომარეობის გამო მიეცა კუთვნილი შვებულება 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. ადმინის-ტრაციულმა ორგანომ შეაფასა აღნიშნული მტკიცებულება და მი-იჩნია, რომ ეს უკანასკნელი ვერ გახდებოდა გასაჩივრების ვადის აღდგენის საფუძველი, ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალი-ტეტის მერიაში 2016 წლის 30 ნოემბერს №425206/15 ადმინისტრა-ციული საჩივარი წარადგინა თავად თ. თ-ემ, შესაბამისად, ფაქტი, რომ ადვოკატი ნ. ბ-ე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იმყო-ფებოდა შვებულებაში, მოსარჩელეს არ ათავისუფლებდა კანონ-მდებლობით იმპერატიულად დადგენილი ადმინისტრაციულ-სა-მართლებრივი აქტის შესაბამის ვადაში გასაჩივრების ვალდებუ-ლებისგან.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვადის გაშვება მოხდა საპატიო მიზე-ზით, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის. გარდა იმისა, რომ ადვოკატის შვე-ბულებაში ყოფნის ფაქტი არ წარმოადგენს საპატიო მიზეზს, აღ-სანიშნავია, რომ 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების ჩაბარებიდან – 9 ნოემბრიდან 21 ნოემბრამდე მხარეს 11 დღე ჰქონ-და ადმინისტრაციული საჩივრის წარსადგენად. ამდენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ არ არსებობდა

ვადის ალდგენის საპატიო მიზეზი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2018 წლის 27 ივლისის განჩინებით საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწი-  
ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქ-  
ნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასა-  
ციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა პალატის 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით ქალაქ თბი-  
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქ-  
ნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების  
გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-  
ციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-  
ჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად  
მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკა-  
საციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის საა-  
პელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018  
წლის 1 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტი-  
ლება, რომლითაც თ. თ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწი-  
ლობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ  
შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქმეში წარმოდგენილი 2016  
წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ამონაწე-  
რით დასტურდება, რომ უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ...ის  
ქუჩა №56, დაზუსტებული ფართობი – 115.00 კვ.მ, შენობა-ნაგე-  
ბობის ჩამონათვალი: №1, №2, მიწის (უძრავი ქონების) საკადას-  
ტრო კოდი: №..., საკუთრების უფლებით აღრიცხულია თ. თ-ის სა-  
ხელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი: მომართვა  
№202476/17, დამოწმების თარიღი: 12/09/2016, ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური; ნასყიდობის ხელ-  
შეკრულება №1-1090, დამოწმების თარიღი: 28/04/1998, ნოტარი-  
უსი ლ. გ-ი.

დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ თ. თ-ის მიმართ  
2016 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001499, რომლი-  
თაც დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადას-  
ტრო კოდი: №...) განხორციელდა უნებართვო მიშენება და საფეხუ-  
რების მოწყობა, ასევე უნებართვო მიშენების ნაწილი სცდება სა-

კადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფო მინაზე. დარღვევის გამოსწორების მიზნით მას დაევალა უნებართვო ობიექტების დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით ან მითითების შედგენის მომენტამდე არსებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა. დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ივლისს შედგენილ იქნა შემოწმების აქტი №001499 თ. თ-ის მიმართ, რომლითაც დადგინდა, რომ მის მიერ არ იქნა შესრულებული მითითების პირობები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ნოემბერს მიღებული იქნა დადგენილება №001499 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, რომლის თანახმადაც თ. თ-ე დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებულია ფართი და მოწყობილია საფეხურები, ასევე ვე განხორციელებულია მიშენება, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე). ამავე დადგენილებით, თ. თ-ეს დაევალა ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართის და მოწყობილი საფეხურების, განხორციელებული მიშენების, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) დემონტაჟი. აღნიშნულ დადგენილებაზე მიწრილია – „ჩავიბარე თ. თ-ე 09/XI-2016.“

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, თ. თ-ის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საქმის მასალებით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თ. თ-ემ 2016 წლის 26 დეკემბერს №449592/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც ითხოვდა საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას მისი და მისი ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე 2016 წლის 30 ნოემბრამდე საჩივრის წარუდგენლობის გამო. განცხადებას თან ერთვოდა კ.ს. „...ის“ მიერ 2016 წლის 18 ნოემბერს გაცემული №16-22/22 ბრძანება, რომლითაც დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. ბ-ეს ჯანმრთელო-

ბის მდგომარეობის გამო მიეცა კუთვნილი შვებულება 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. თ. თ-ის ადვოკატმა ნ. ბ-ებ 2016 წლის 12 დეკემბერს №437256/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სადაც ითხოვდა 2016 წლის 13 დეკემბერს თ. თ-ის საჩივართან დაკავშირებით დანიშნული ზეპირი მოსამენის სხდომის გადადებას, რადგან ნ. ბ-ებ 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 22 დეკემბრამდე იმყოფებოდა კუთვნილ შვებულებაში, არ იმყოფებოდა თბილისში და ვერ შეძლებდა სხდომაზე გამოცხადებას, ამასთან თ. თ-ე არ არის იურისტი და ვერ შეძლებდა წარმომადგენლის გარეშე თავისი პოზიციის დაცვას. განცხადებას თან ერთვოდა 2016 წლის 16 აგვისტოს კ.ს. „...ის“ მიერ გაცემული ორდერი №16/3690, რომლითაც ადვოკატ ნ. ბ-ეს ევალება განახორციელოს თ. თ-ის ინტერესების დაცვა ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ორდერის მოქმედების ვადა – უვადო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით განუხილველად დარჩა თ. თ-ის 2016 წლის 30 ნოემბრის №425206/15 ადმინისტრაციული საჩივარი.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის – დ. მ-ის 2017 წლის 29 მარტის №02 ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ....ის ქუჩა №52-ში საკადასტრო კოდით: №... მოქალაქე თ. თ-ის მიერ ლიტერ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართი, მას შემდეგ რაც შპს „....ის“ მიერ მოხდა საზღვრების კორექტირება აღარ სცდება საკადასტრო საზღვრებს და არ გადადის სახელმწიფო ტერიტორიაზე. დასკვნაში განმარტებულია, რომ ცდომილება ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილ აზომვით ნახაზსა და შპს „....ის“ მიერ შესრულებულ ნახაზებს შორის გამოწვეულია საამზომველო ინსტრუმენტებით, ხოლო აღნიშნული დაშვებულია საქართველოს მთავრობის №388 დადგენილების დანართი №1, მე-2 მუხლის, მესამე პუნქტის მიხედვით, აღნიშნული ცდომილება ასევე დასაშვებია 1:500 მასშტაბით აზომვების დროს, როთაც მოხდა აღნიშნული აზომვები, მაგრამ ცდომილების მინიმუმდე დაყვანისათვის საკადასტრო აზომვების ჩატარება უნდა მოხდეს 1:100 მასშტაბით, რაც მოითხოვს საამზომველო ინსტრუმენტებით 24 საათიან სადამკვირვებლო რეჟიმს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, მშენებლობის სახეობებია: а) ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი); ბ) რეკონსტრუქცია; გ) რემონ-

ტი-შეკეთება, მოპირკეთება/ადგურვა (არ საჭიროებს ნებართვას); დ) დემონტაჟი; ე) ლანდშაფტური მშენებლობა; ვ) დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისიუფალი მიმოქცევის კოდექსი არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის. ამავე კანონის 15-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი (შემდგომ – ობიექტი) არის ტექნიკური წაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, საშიში ქიმიური ნივთიერება/ნაერთი, სახიფათო წარჩენი ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს. ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები.

დასახელებული რომების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის გან- მახორციელებელ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და სწორედ მის კომპეტენციას განეკუთვნებოდა სამშენებლო საქმი- ანობის პროცესში იმგვარი დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, როგორიცაა პროექტის დარღვე- ვით მშენებლობის, უნებართვო მშენებელობის, რეკონსტრუქცი- ის ან/და დემონტაჟის წარმოება.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხო-

ებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-19 მუხლის მე-15 ნაწილზე, რომლის თანახმად, მითითება სამშენებლო სამართალ-დარღვევის საქმის წარმოების დაწყების საფუძველია და იგი გასა-ჩივრდება დადგენილებასთან ერთად. ამავე კოდექსის 25-ე მუხლი განსაზღვრავს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმო-ების წესს. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშე-ნებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სა-მართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალის-წინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმის მა-სალებით უდავოდ დადასტურებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის მიერ თ. თ-ის მიმართ 2016 წლის 31 მაისს შედგენილი იქნა მითითება №001499, რომლითაც დადგე-ნილია, რომ ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) განხორციელდა უნებართვო მიშენება და საფეხურების მოწყობა, ასევე უნებართვო მიშენების ნაწილი სცდება საკადასტრო საზ-ლვრებს და გადადის სახელმწიფო მინაზე. დარღვევის გამოსწო-რების მიზნით მას დაევალა უნებართვო ობიექტების დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით ან მითითების შედგენის მომენ-ტამდე არსებული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარ-დგენა. დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაა-თი) კალენდარული დღე.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კო-დექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მითითებით განსაზ-ლვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სა-ხელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვევს, რა-ზედაც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აისახება მშე-ნებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირო-ბებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითი-თება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თ. თ-ის მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 1 ივლისს შედგენილი იქნა შემონმების აქტი №001499, რომლითაც დადგინდა, რომ თ. თ-ის მიერ არ იქნა შესრულებული მითითების პირობები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს პროდუქტის უსაფრთხო-ებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ შემონმების აქტში დაფიქსირე-ბულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობა-

ზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „ნყლის შესახებ“ საქართველოს კანსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 10 000 ლარით.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს საქმეში არსებულ დოკუმენტზე, კერძოდ, „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილებაზე, რომლის თანახმადაც თ. თ-ე დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის (მენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებულია ფართი და მოწყობილია საფეხურები, ასევე განხორციელებულია მიშენება, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე). ამავე დადგენილებით, თ. თეს დაევალა ქ. თბილისში, ...ს ქუჩა №56-ში (საკადასტრო კოდი: №...) უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების (შენობა ლიტ. „ა“-ს მარცხენა მხარეს მიშენებული ფართის და მოწყობილი საფეხურების, განხორციელებული მიშენების, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე) დემონტაჟი. აღნიშნულ დადგენილებაზე მიწერილია – „ჩავიბარე თ. თ-ე 09/XI-2016.“.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორ-

განოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი ქმედებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამავე კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადა. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში. ამასთანავე, გასაჩივრება არ აჩერებს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების აღსრულებას მშენებლობის ან დემონტაჟის შეჩერების ნაწილში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე №001499 დადგენილება მიღებულ იქნა 2016 წლის 1 ნოემბერს. ამასთან, აღნიშნულ დადგენილებაზე მიწერილია – „ჩავიპარე თ. თ-ე 09/XI 2016.“, გასაჩივრებული – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანებით კი თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივარი განუხილველი დარჩა იმ საფუძვლით, რომ სადაც დადგენილება მოქალაქე თ. თ-ეს ჩაპბარდა 2016 წლის 9 ნოემბერს, ადმინისტრაციული საჩივარი კი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინა 2016 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად, მის მიერ დარღვეულ იქნა გასაჩივრებისათვის განსაზღვრული 15-დღიანი ვადა.

საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ თ. თ-ემ 2016 წლის 26 დეკემბერს №449592/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა მისი და მისი ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე 2016 წლის 30 ნოემბრამდე საჩივრის წარუდგენლობის გამო. განცხადებას თან ერთვოდა კ.ს. „...ის“ მიერ 2016 წლის 18 ნოემბერს გაცემული №16-22/22 ბრძანება, რომლითაც დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. ბ-ეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეცა კუთვნილი შევებულება 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე. თ. თ-ის ადვოკატმა – ნ. ბ-ემ 2016 წლის 12 დეკემბერს №437256/12 განცხადებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა 2016 წლის 13 დეკემბერს თ. თ-ის საჩივართან დაკავშირებით დანიშნული ზეპირი მოსმენის სხდომის გადადება, რადგან ნ. ბ-ე 2016 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 22 დეკემბრამდე იმყოფებოდა კუთვნილი შევებულებაში, არ იმყოფებოდა თბილისში და იგი ვერ შეძლებდა სხდომაზე გამოცხადებას. ამასთან, თ. თ-ე არ არის იურისტი და ამდენად, იგი ვერ შეძლებდა წარმომადგენლის გარეშე თავისი პოზიციის დაცვას. განცხადებას თან ერთვოდა 2016 წლის 16 აგვისტოს კ.ს. „...ის“ მიერ გაცემული ორდერი №16/3690, რომლითაც ადვოკატ ნ. ბ-ეს ევალება განახორციელოს თ. თ-ის ინტერესების დაცვა ქალაქ თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ორდერის მოქმედების ვადა – უვადო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანს ადმინისტრაციული ორგანოს - ქალაქ თბილისის მერიის მიერ გასაჩივრებისათვის განკუთვნილი ვადის აღდგენის შესაძლებლობის გამოყენებლობის საკითხი წარმოადგენს, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გაიზიარა გასაჩივრების ვადის აღდგენის საფუძვლად მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ არ არსებობდა გასაჩივრების ვადის აღდგენის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციონ სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ად-  
მინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის  
თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრე-  
ბისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღ-  
დგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა  
საპატიო მიზეზით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი, დაინტერესებული მხარის მიერ გაშევებული ვადის აღდგენის შესაძლებელი მიზანი.

ლებლობაზე, კერძოდ, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გაშვებული ვადა უნდა აღადგინოს, თუ მისი გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით. ამდენად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის აღდგენის უფლებამოსილება განეკუთვნება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვადის აღდგენისა თუ მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ვადის გაშვება, უნდა შეაფასოს, რამდენად ობიექტურ ხასიათს ატარებს ის მიზეზები, რამაც ვადის გაშვება გამოიწვია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა მხარისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მინიჭებულ უფლების დაცვის ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს. ადმინისტრაციულ სამართალში ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტის არსებობა არა მხოლოდ პირთა უფლების შელახვის აღმოფხვრასა და საჭიროების შემთხვევაში პირისათვის უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის უზრუნველყოფას, არამედ უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ეფექტურ კონტროლსაც ემსახურება. ამასთან, ერთჯერადი გასაჩივრების წესის გამოყენება მეტნილად ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით პირთათვის მინიჭებული სასაჩივრო უფლებამოსილების რეალიზების, კონკრეტულად კი, სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის მნიშვნელობაზე, რაც ზრდის ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხის მართებული, ყოველმხრივი და საფუძვლიანი გადაწყვეტის საჭიროებას. აღნიშნული, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გაშვებული ვადის აღდგენაზე მსჯელობისას სრულყოფილად გამოიკვლიოს დაუძლეველ ძალასა თუ სხვა საპატიო მიზეზთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და სწორედ მათი ურთიერთშეჯერებით მიღოს დასაბუთებული და მყარად არგუმენტირებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით. ამასთან, ვადის აღდგენის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოთა აქტიური მონაწილეობის საჭიროება არ ათავისუფლებს საჩივრის ავტორებს განცხადებასთან ერთად გა-

საჩივრებისათვის განსაზღვრული ვადის აღდგენის დამადასტურებელი ყველა საჭირო მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამონმებს ადმინისტრაციული ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ვადის აღდგენის თაობაზე წარდგენილი განცხადება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ საჩივარს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებას, მიზანშეწონილობის ფარგლებშიც იმსჯელოს კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის აღდგენის შესაძლებლობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულა განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ზემოხსენებულ დანაწესთა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რამდენადაც გასაჩივრების ვადის აღდგენა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ვალდებულია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება შესაბამის გარემოებებსა თუ სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით დაასაბუთოს, ხოლო ფაქტობრივი დასაბუთება სწორედ გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევა-შეფასებას დააფუძნოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარმოდგენილ კ.ს. „...ის“ მიერ 2016 წლის 18 ნოემბერს გაცემულ №16-22/22 ბრძანებაზე, რომლითაც დასტურდება, რომ ადვოკატ ნ. ბ-ეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიეცა კუთვნილი შვებულე-

ბა 2016 წლის 21 ნოემბრიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამშენებლო სამართალდარღვევებს სპეციფიკური და კომპლექსური სამართლებრივი ასპექტები ახასიათებს, რომელიც საგრძნობლად ართულებს პირის მიერ საკუთარი პოზიციის აღნიშნულ ასპექტთა ცოდნის გარეშე დაცვას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, როგორც დავის სპეციფიკიდან, აგრეთვე, საქმის მასალებში ასახულ მტკიცებულებებში თ. თ-ისა და მისი წარმომადგენლის მიერ დაფიქსირებული პოზიციებიდანაც ნათლად იკვეთება, რომ მოსარჩელე წარმომადგენლის მომსახურებით სწორედ სამართლებრივი წორმების არცოდნის გამო სარგებლობდა. ამასთან, ხაზგასასმელ გარემოებას წარმომადგენს ისიც, რომ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისათვის კანონდებლობით განსაზღვრული ვადის გაშვება არა უშუალოდ საჩივრის ავტორის, არამედ სწორედ მისი წარმომადგენლის მდგომარეობის გამო განხორციელდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე ქალაქ თბილისის მერიის მსჯელობის საგნად არ ქცეულა ზემოაღნიმნული ფაქტობრივი მოცემულობები, არ შეფასებულა საქმეზე წარდგენილი შვებულების ცნობის შინაარსი. კერძოდ, ქალაქ თბილისის მერიას არ შეუფასებია ზემოხსენებულ ცნობაში დაფიქსირებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების რეალურობა, ამასთან, ასეთი დოკუმენტის შესაბამის მტკიცებულებად მიჩნევის შეუძლებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს მხარისათვის არ მოუთხოვია კონკრეტული ფაქტის დადასტურებისას საჭირო, უშუალოდ მისთვის მისალები სხვა მტკიცებულებები, რომელთა წარდგენის გზითაც მხარეს შესაძლებლობა მიეცემოდა, ობიექტურად დაედასტურებინა მისი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამავდროულად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების განხილვის ეტაპზე არ ყოფილა გამოკვლეული მოსარჩელის წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ხარისხი, ის, თუ რამდენად გამორიცხავდა ამგვარი მდგომარეობა წარმომადგენლის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში საჩივრის დროულად წარდგენის შესაძლებლობას. ყოველივე ზემოაღნიმნული მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე გამოსცა, რაც წარმოშობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება-განჩინებით დამდგარ შედეგზე, რომლითაც ქალაქ თბილის მერიას დაევალა თ. თ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის არსებითად განხილვა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენადაც ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით განსაზღვრული ვადის აღდგენა სწორედ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, სასამართლოს არ გააჩნია პროცესუალურ-სამართლებრივი უფლება-მოსილება, შეიქრას ადმინისტრაციულ ორგანოთა ექსკლუზიურ კომპეტენციაში და თავად აღადგინოს მხარის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისათვის გაშვებული ვადა. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ქალაქ თბილისის მერიისათვის თ. თ-ის მიერ წარდგენილ საჩივარზე არსებითად მსჯელობის დავალდებულებას, რამდენადაც დავის ამგვარი მოწესრიგებით ფაქტობრივად წყდება მოსარჩელისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის ვადის აღდგენის საკითხიც, რაც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სასამართლოს მიერ განხორციელებაზე და შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებაში შექრაზე მიუთითებს.

ამდენად, ზემოთ განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს თ. თ-ის სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სადაც საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლევა-შეფასების საჭიროების გათვალისწინებით, სადაც საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი „თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანება და მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თ. თ-ის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს წარდგენილი №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილებასთან მიმართებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. რაც შეეხება „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“ ქა-

ლაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების კანონიერებას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც ქალაქ თბილისის მერიას ჯერ კიდევ არ უმსჯელია წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის საფუძვლიანობაზე მისი განუხილველად დატოვების გამო, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული მდგომარეობით საჭიროა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან თ. თ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებული მოცემულობით იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილების პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსს, აგრეთვე, სხვა საკანონმდებლო აქტების მოთხოვნათა მიმართებით კანონშესაბამისობის საკითხზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ეტაპისათვის, არ არსებობს ზემოაღნიშნული დადგენილების ბათილად ცნობის წაწილში თ. თ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. თ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თავის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ანაზღაურება – 100 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ 3 0 ტ ა :**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩი-

ვარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 1 მაისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 19 აპრილის №1-866 ბრძანება თ. თ-ის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე;

5. მოპასუხე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თ. თ-ის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს წარდგენილი №425206/15 ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 1 ნოემბრის №001499 დადგენილებასთან მიმართებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

6. დანარჩენ ნაწილში თ. თ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თ. თ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **უცხართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების კანონის**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-1390(კ-18)

12 სექტემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა:** მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-  
რივი აქტების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 12 სექტემბერს 6. წ-ამ სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხების – ქალაქ თბილისის მუნიციპალი-  
ტეტის მერიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-  
დამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-  
დამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრის  
№0000688 დადგენილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმა-  
ყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალი-  
ტეტის მერის 2016 წლის 5 ივლისის №1-1196 ბრძანების ბათილად  
ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 31 დეკემბრის №0000688  
დადგენილებით იგი დაჯარიმებულ იქნა სამშენებლო სამართალ-  
დარღვევის საქმეზე, კერძოდ, ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-  
ში მდებარე კორპუსზე, შესაბამის სანებართვო დოკუმენტაციის  
გარეშე, არსებული უძრავი ქონების გარე პერიმეტრზე ძველი კარ-  
ფანჯრის ახლით შეცვლისა და ძველ არსებულ კედელზე დამატე-  
ბითი კედლის წითელი აგურით ამოყვანისათვის. მოსარჩელის გან-  
მარტებით, საცხოვრებელი ფართი, რომელზედაც არის საუბარი,  
ამ სახით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტროს მიერ მისთვის იქნა გადაცემული საკუთრებაში. 6. წ-  
ამ აღნიშნა, რომ საკუთრებაში მიღების შემდგომ აღნიშნულ ფარ-  
თზე დამატებითი სამშენებლო სამუშაოები არ განხორციელებუ-  
ლა მის მიერ. შესაბამისად, სახეზე არ არის მისი მხრიდან შესაბამი-

სი სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტობრივი გარემოება. ამას-თან, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ფართის საკუთრებაში მიღების შემ-დგომ განხორციელდა რაიმე სახის სამშენებლო სამუშაო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით 6. წას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრის №000688 დადგენილების შინაარსიდან გამომდინარე, მისი შეფასებისათვის არსებითია, მართლზომიერად დაჯარიმდა თუ არა 6. წას ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციისათვის და მართლზომიერად დადგინდა თუ არა შესაბამისი სამუშაოების დემონტაჟი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება არეგულირებს. დასახელებული დადგენილების 36-ე მუხლის მიხედვით, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა: ა) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე), ბ) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე, გ) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე, დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას. მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ წარმოადგენს უნებართვო მშენებლობას, თანახმად მითითებული დადგენილების მე-3 მუხლის 74-ე პუნქტისა.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ითვლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლისა. დასახელებული კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სა-

ქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებსაგან და მითითებული კოდექსით განსაზღვრული ზოგადი ნორმები და პრინციპები გამოიყენება სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სამართალდარღვევების მიმართ, თუ სპეციალური ნორმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, სამშენებლო საქმიანობის სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით განხორციელებას პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი უზრუნველყოფს. დასახელებული კოდექსის მე-4 თავი არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის. ამავე თავით განსაზღვრულია სამშენებლო სამართალდარღვევები, მათი დადგენისა და სამართალდარღვევისათვის სანქციის დაკისრების ნორმები და დადგენილია, რომ ამ ნორმების მოქმედება ვრცელდება: ა) პირების, აგრეთვე ამხანაგობების საქმიანობაზე, რომლის დროსაც ხორციელდება შენობა-ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემების ან კვანძების მშენებლობა, მონტაჟი, დემონტაჟი და სხვა სამშენებლო სამუშაოები; ბ) დამკეთზე, რომლის ქმედებამაც გამოიწვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში; გ) სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, თუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი; დ) შენობა-ნაგებობის მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, თუ დაუდგენელია მრავალბინიანი სახლის მშენებლობის მნარმოებელი პირი; ე) მესაკუთრეზე, რომლის სარეკონსტრუქციო ან სადემონტაჟო ავარიული შენობა-ნაგებობის ავარიულობის ხარისხი უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-14 მუხლი).

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად, ან საინჟინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარით.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კო-

დექსის მიხედვით, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზე-დამხედველობის ორგანოებია: სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზე-დამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამო-სილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები (მე-15 მუხლის „ი“ პუნქტი).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) ტერიტორიაზე მშენებლობის, ქალაქის გარე იერსახის, გარე რეკლამის, გარე ვაჭრობის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ხმაურის ნორმების დაცვისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ნარმოადგენს („ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“).

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოების ნორმებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-სის 25-ე მუხლი შემდეგი სახით განსაზღვრავს: სამშენებლო საქ-მიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალ-დარღვევის საქმის ნარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითი-თების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინე-ბული შემთხვევებისა (სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოების შემოწმების აქტის შედგენით დაწყების შემთხვევები) (მე-2 ნაწილი). მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორ-განო ამონტებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შე-მოწმების აქტში აისახება მშენებარე აბიექტის ფაქტობრივი მდგო-მარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითი-თება შესრულდა, ბ) მითითება არ შესრულდა, გ) მითითება არად-როულად სრულდება (მე-5 ნაწილი). თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენი-ლების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლო-ბისაგან, ხოლო სამართალდარღვევის საქმის ნარმოება წყდება (მე-7 ნაწილი). თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქ-ტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამ-ხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის და-ჯარიმების შესახებ, ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართვე-

ლოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ, გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ. კანონით გათვალისწინებულ ვადაში (2 თვის ვადაში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმტეს 2 თვით) დადგენილების მიუღებლობის შემთხვევაში დამრღვევი თავისუფლდება ამ კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან (მე-13 და მე-14 ნაწილები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ზოგადი ნორმების მიხედვით, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ანარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე. საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები და თანამდებობის პირი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს შეუფარდებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლი). ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვებისათვის პასუხისმგებლობის შემაბსუბჟექტელ ან გამაუქმებელ აქტებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ესე იგი ვრცელდებიან ამ აქტების გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზეც. აქტებს, რომლებიც ანესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს ანარმოებენ სამართალდარღვევის შესახებ საქმის განხილვის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლი).

სასამართლოს განმარტებით, საშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება, უპირველეს ყოვლისა, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორების მიზნით ჩატარებული საქმის წარმოებაა და სახდელის დაკისრებას სამართალდარღვევის გამოუსწორებლობა განაპირობებს. იმის გათვალისწინებით, რომ ნივთზე საკუთრება არის უფლებათა და თანმდევ ვალდებულებათა ერთობ-

ლიობა, რიგ შემთხვევებში მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს მისგან. სწორედ მესაკუთრეს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა, მის საკუთრებაში არსებული ნაგებობის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და შემ-დგომში კანონშესაბამისი ექსპლუატაცია.

მითითებული ნორმებისა და დადგენილი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლომ მიიჩნა, რომ 6. წ-ასათვის გამოვლენილი სამშენებლო სამართალდარღვევის შესაბამისი სახდელის – ჯარიმის დაკისრება და უნებართვო მშენებლობის დემონტაჟს დაქვემდებარება კანონიერად, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ნორმათა დაცვით მოხდა და მოსარჩევეს არ მიუთითებია შესაბამისი დადგენილების გამოტანისას კანონმდებლობის ისეთ დარღვევაზე, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო დადგენილების მიღებისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე, კუთვნილი ფართის რეკონსტრუქცია 6. წ-ამ ნებართვის გარეშე განახორციელა და აღნიშნული ქმედების შედეგი არც მასზე დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის წარმოების პერიოდში ყოფილა მოყვანილი კანონთან შესაბამისობაში.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას მოწმდება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილისა. ამავე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივრის განმიზნებული ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აქმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამასთანავე, არ დასტურდება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 ივლისის №1-1196 ბრძანების მიღებისას ადგილი ჰქონდა პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას. მოსარჩევის მიერ არ ყოფილა დასაბუთებული მითითებული ბრძანების კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და

ამ აქტის ბათოლად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობაზე ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილებასთან დაკავშირებული დასკვნებიც მიუთითებდა (პუნქტი 6.1).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. წ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინებით 6. წ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა 6. წ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 6. წ-ამ 2012 წლის შემდეგ განახორციელა მის კუთვნილ ფართში კარ-ფანჯრების შეცვლა და დამატებითი კედლის აშენება, რაც არ დასტურდება ადმინისტრაციული წესით წარმოებულ საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით. ამასთან, სადაც აქტში მოხსენიებული მითითება კედლის ამოშენების შესახებ, წარმოადგენს იმ ფართს, რომელიც თავის დროზე ეკონომიკის სამინისტროს მიერ იქნა მხარისათვის საკუთრებაში გადაცემული და მისი საკუთრების ფარგლებს არ ცდება და არც ახალ მშენებლობას წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 16 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული 6. წ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 7 თებერვლის განჩინებით 6. წ-ას საკასაციო საჩიგარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით. სასამართლო სხდომიდან კი საქმის განხილვა გადაიდო ზეპირი განხილვის გარეშე.

2019 წლის 19 თებერვალს 6. წ-ას წარმომადგენელმა გ. ვ-ემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარმოადგინა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ 6. წ-ა დაჯარიმდა მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ და დაევალა უნებართვოდ მიშენებული შენობის დემონტაჟი, რაც არასწორია და არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება 2007 წლის შემდგომ აგურის კედლისა და კარ-ფანჯრის ჩასმის ფაქტი, არ არის წარმოდგენილი არც ერთი ექსპერტიზის დასკვნა მაშინ, როდესაც ორთოფორმზე ნათლად ჩანს მთლიანი მიშენებული შენობა 2007 წლამდე. ასევე მეზობლებიც თავიანთი ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ 6. წ-ამ მიშენებები განახორციელა 2007 წლამდე. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მეშვეობით ამხანაგობის წევრს 6. წ-ას დაუდასტურეს მიშენების ფაქტი 2007 წლამდე და თანხმობა განაცხადეს მის ლეგალიზაციაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 6. წ-ამ მიმართა არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზაცია, მისამართზე ქ. თბილისი, ...ის №138.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ვინაიდან ობიექტი ექვემდებარება ლეგალიზებას, უკანონო მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი გაუქმებას ექვემდებარება. განმცხადებლის მითითებით, დავის დასრულებამდე იგი აუცილებლად წარმოადგენდა ინფორმაციას უკვე დასრულებულ ლეგალიზაციის პროცედურებთან დაკავშირებით. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ლეგალიზაციაზე თანხმობა გამორიცხავდა 6. წ-ასთვის ჯარიმისა და დემონტაჟის დაკისრების სამუალებას, ვინაიდან ლეგალიზებული ქონება კანონიერია.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სამართალდარღვევასთან მიმართებით გასულია სამართალდარღვევის გამოვლენიდან (პირველი დარღვევა, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, გამოვლინდა 2014 წლის იანვარში) სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადა. შესაბამისად, გაურკვეველია სად იყო ზედამხედველობის საქალაქო სამსახური 2015 წლის 7 ოქტომბრამდე და რატომ მალევე არ განახორციელა ობიექტის ხელახალი შემოწმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა

მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამონმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ 6. წ-ას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 6. წ-ამ ქალაქ თბილისში, ...ის გამზირზე, №138-ში მდებარე, №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ №4 ფართზე (107 კვ.მ) საკუთრების უფლება 2012 წლის 17 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა.

2014 წლის 27 იანვარს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 6. წ-ას მიმართ შეადგინა №000478 მითითება, რომლითაც ქალაქ თბილისში, ...ის გამზირ №138-ში მდებარე კორპუსის პირველ სართულზე, 6. წ-ას კუთვნილ ფართზე სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე მიშენების ფაქტი დააფიქსირა. აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით, 6. წ-ას 15 დღის ვადაში დარღვევის გამოსწორების მიზნით სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან მიშენების დემონტაჟის განხორციელება დაევალა.

2014 წლის 12 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №000476 შემოწმების აქტი, რომლითაც 2014 წლის 27 იანვრის №000476 მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა დაფიქსირდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 1 აპრილის №000476 დადგენილებით 6. წ-ა 8 000 ლარით დაჯარიმდა ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე კორპუსზე მიმენების წარმოებისათვის. ამავე დადგენილებით 6. წ-ას ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე კორპუსზე მიშენების დემონტაჟი დაევალა.

2014 წლის 23 აპრილს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა 6. წ-ამ (წარმომადგენელი ბ. ბ-ი) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 1 აპრილის №000476 დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 5 ივნისის №1417 განკარგულებით 6. წ-ას ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილი-

სის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 1 აპრილის №000476 დადგენილება და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. განკარგულების მიხედვით, გასაჩივრებული დადგენილების მიღებისას არ იყო დადგენილი, თუ კონკრეტულად რა წარმოადგენდა სამართალდარღვევას, ადგილი ჰქონდა უნებართვორეკონსტრუქციას თუ სამშენებლო სამუშაოებით გაიზარდა ობიექტის გაბარიტები.

2015 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტების მიერ ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე, ნ. წ-ას საკუთრებაში არსებული ფართის დათვალიერება მოხდა, რა დროსაც უნებართვოდ განხორციელებული რეკონსტრუქციის ფაქტი დადგინდა.

განსახილველ შემთხვევაში სადავოა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრის №000688 დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ქ. თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე შენობის უნებართვორეკონსტრუქციისათვის – ნ. წ-ას კუთვნილი ქონების გარე პერიმეტრზე ძველი კარ-ფანჯრის ახლით შეცვლისა და ძველ კედელზე დამატებით კედლის წითელი აგურით ამოყვანისათვის ნ. წ-ა დაჯარიმდა 4 000 ლარით. ამავე დადგენილებით ნ. წ-ას ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა დაევალა. ასევე, სადავო აქტს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 5 ივლისის №1-1196 ბრძანება, რომლითაც ნ. წ-ას (წარმომადგენელი ბ. ბ-ი) 2016 წლის 11 თებერვლის №48196/12 ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრის №000688 დადგენილება. ბრძანების მიხედვით, 2014 წლის 20 მაისის №12/14113410-40 ადგილზე დათვალიერების სხდომის ოქმსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2014 წლის 5 ივნისის №1417 განკარგულებაში ასახული საჩივრის ავტორის განმარტებებით დადასტურებულია 2012 წლის შემდეგ ნ. წ-ას მიერ მის კუთვნილ ფართში კარფანჯრის შეცვლისა და დამატებითი კედლის აშენების ფაქტი შესაბამისი ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლით

მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სამართალდარღვევას და კანონი მისი გამოსწორების საჭიროებასა და დამრღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებას ადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული აქტების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, მართლზომიერად დაჯარიმდა თუ არა ნ. წ-ა ქალაქ თბილისში,...ის გამზ. №138-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციისათვის და მართლზომიერად დადგინდა თუ არა შესაბამისი სამუშაოების დემონტაჟი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ახდენს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს. აღნიშნული დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა. შესაბამისად, ნებართვის გარეშე მშენებლობის წარმოება განიხილება უნებართვო მშენებლობად, რომელიც ამავე დადგენილების 3.74 მუხლის მიხედვით, განმარტებულია, როგორც მშენებლობის ნებართვას დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე, ან/და დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება სანებართვო მოწმობით განსაზღვრული გამოყენების პერიოდის გასვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ უნებართვო მშენებლობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნული დადგენილების 36-ე მუხლის მეორე პუნქტში ჩამოთვლილია სამშენებლო საქმიანობის სახეები, რაზეც გაიცემა მშენებლობის ნებართვა, კერძოდ, მშენებლობის ნებართვა გაიცემა: ა) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე); ბ) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე; გ) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე; დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.

ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 50-ე პუნქტი იძლევა რეკონსტრუქციის დეფინიციას, რომლის მიხედვით, რეკონსტრუქცია არის არსებული შენობა-ნაგებობის ან/და მისი ნაწილ(ების) არსობრივად შეცვლა, მათი ფიზიკური, ხარისხობრივი და თვისობრივი განახლების მიზნით.

დადგენილია, რომ 2015 წლის 8 ოქტომბერს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა 6. წ-ას მიმართ შეადგინა №000688 მითითება, რომლითაც ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში 6. წ-ას მიერ წარმოები შემდეგი სახის უნებართვო რეკონსტრუქცია დააფიქსირა: შენობის გარე პერიმეტრზე ძველი კარ-ფანჯარა შეცვლილი იყო და კედელზე დამატებით წითელი აგურით ამოყვანილი იყო ახალი კედელი.

აღსანიშნავია, რომ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნერევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის, არეგულირებს პროდუქტის უსაფრთხობისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-4 თავი.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.2 მუხლის თანახმად, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება შენობა-ნაგებობის გაბარიტების შეუცვლელად, ან საინჟინრო-კომუნალური ქსელების უნებართვო რეკონსტრუქცია – გამოიწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარით.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.1 მუხლის შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 25.5 მუხლის თანახმად, მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე თბიერების ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება. ამავე კოდექსის 25.9 მუხლის მიხედვით, თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას: ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლო-

ბისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ. ამავე დაფენენილების 25.13 მუხლის თანახმად, შემოწმების აქტის შედგენიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა. საქმის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მთავარი მიზანი არ არის დამრღვევის დასჯა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანას შეადგენს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის განსახორციელებლად კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩამდენს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი სახეა სამშენებლო სამართალდარღვევა – სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელება. ნორმატიულად კონკრეტული დარღვევისათვის სახდელის დაკისრების შესაძლებლობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის ფუნქციას ასრულებს და მიზნად ისახავს შესაძლო დარღვევების თავიდან აცილებას. სახდელის დაკისრების სწორედ აღნიშნული ფუნქციით არის განპირობებული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით სამშენებლო სამართალდარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურის გათვალისწინება, სავარაუდო დამრღვევს უნდა მიეცეს გონივრული, კონკრეტულად განსაზღვრული ვადა გადაცდომის გამოსასწორებლად. უკეთუ პირი დადგენილ ვადაში გამოასწორებს დარღვევას, მისთვის სახდელის დაკისრების წინაპირობა უქმდება, მიუხედავად იმისა, რომ მითითების მიცემისას გადაცდომა სახეზე იყო. სამართალდარღვევის საქმის წარმოება მიმართულია უკვე არსებულ ფაქტზე, ხდება

ისეთ ქმედებაზე რეაგირება, რომელიც უკვე ჩადენილია. აღნიშნულის მიუხედავად არ ხდება დამტლვევისათვის სანქციის დაუყოვნებლივ შეფარდება, მოქმედი მოწესრიგების მიხედვით პირს ეძლევა სამშენებლო გადაცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. ამდენად, ცხადია, რომ კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა.

დადგენილია, რომ 2015 წლის 8 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ნ. წ-ას მიმართ შეადგინა №000688 მითითება, რომლითაც განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით ნ. წ-ას 20 დღის ვადაში სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან მიშენების დემონტაჟი დაევალა. 2015 წლის 2 ნოემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა №000688 შემოწმების აქტი, რომლითაც 2015 წლის 8 ოქტომბრის №000688 მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა დაფიქსირდა.

ასევე დგინდება, რომ 2015 წლის 23 დეკემბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა №000688 მითითებისა და შემოწმების აქტის შედეგები ნ. წ-ას წარმომადგენლის – გ. ბ-ისა და დაინტერესებული პირის – გ. ჯ-ას მონაწილეობით განიხილა. განხილვისას მ. ჯ-ამ განმარტა, რომ მითითებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები ნ. წ-ამ ანარმოა და ამით ზიანი მიაყენა მ. ჯ-ას, რამეთუ დააბნელა მისი ფანჯარა. გ. ბ-ს მ. ჯ-ას განმარტების საწინააღმდეგო განმარტება არ გაუკეთებია და მიუთითა, რომ ნ. წ-ა მისი კუთვნილი ფართით 2000 წლამდეც სარგებლობდა, თუმცა საკუთრება 2012-2013 წლებში წარმოეშვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 31 დეკემბრის №000688 დადგენილებით ნ. წ-ა 4 000 ლარით დაჯარიმდა ქ. თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე შენობის უნებართვო რეკონსტრუქციისათვის – ნ. წ-ას კუთვნილი ქონების გარე პერიმეტრზე ძველი კარ-ფანჯრის ახლით შეცვლისა და ძველ კედელზე დამატებით კედლის წითელი აგურით ამოყვანისათვის. ამავე დადგენილებით ნ. წ-ას ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა დაევალა.

ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაიცვა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული პროცედურები, რაც ქმნიდა ამავე კოდექსის 44.2

მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

თუმცა აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით მოწყობილი ობიექტის ან მათი ნაწილების ლეგალიზების (დაკანონების) შესაძლებლობას, რისთვისაც აუცილებელია გარკვეული პირობების დაკმაყოფილება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი“, რომლის მოქმედება ვრცელდება 2007 წლის 1 იანვრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტებისა ან მათი ნაწილების მიმართ. აგრეთვე მრავალბინიან სახლებზე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებული და დაუმთავრებელი იმ მიშენება-დაშენებების მიმართ, რომელთა დასრულება არ გულისხმობს მიშენების გაზრდას ან/და სართულის (სართულების) დამატებას. აღსანიშნავია, რომ ამ წესის მოქმედება ვრცელდება აგრეთვე 2007 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ და დაუმთავრებელ 500 კვ.მ-მდე საერთო ფართობის მქონე ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე, თუ ნულოვან ნიშნულამდე მათი მოწყობის სამუშაოები დასრულებულია.

2019 წლის 19 თებერვალს ნ. წ-ას წარმომადგენელმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარმოადგინა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ნ. წ-ამ აღნიშნული მშენებლობა განახორციელა 2007 წლამდე. განმცხადებლის მითითებით, ამხანაგობის წევრს ნ. წ-ას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების მეშვეობითაც დაუდასტურეს 2007 წლამდე მიშენების ფაქტი და გასცეს თანხმობა ლეგალიზაციაზე, რაც მათ წარადგინეს მერიის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში და მოთხოვეს უნებართვოდ მიშენებული ფართის ლეგალიზაცია მისამართზე, ქ. თბილისი, ...ის №138. საკასაციო სასამართლოში წარმოადგენილ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ნ. წ-ა დავის დასრულებამდე წარმოადგენდა ინფორმაციას ლეგალიზაციის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც გამორიცხავდა ჯარიმისა და დემონტაჟის დაკისრების საშუალებას, ვინაიდან ლეგალიზებული ქონება კანონიერია.

საყურადღებოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 20 ივნისის სხდომაზე თავად კასატორის წარმომადგენელმა დაადასტურა ის გარე-

მოება, რომ შესაბამისი ორგანოს მიერ ნ. წ-ას უარი ეთქვა ლეგალიზებაზე, რაც ნ. წ-ას მიერ არ გასაჩივრებულა.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით დამტკიცებული „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-8 მუხლი ითვალისწინებს ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების შედეგებს, კერძოდ, შესაბამისი ორგანოს მიერ ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უნებართვოდ და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტის მიმართ გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ლონისძიებები.

ლეგალიზებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების პირობებში, ზემოაღნიშნული ნორმებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. წ-ასთვის გამოვლენილი სამშენებლო სამართალ-დარღვევის შესაბამისი სახდელის – ჯარიმის დაკისრება, ასევე უნებართვო მშენებლობის დემონტაჟს დაქვემდებარება მოხდა კანონიერად, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ნორმათა დაცვით. ამასთან აღსანიშნავია, რომ ნ. წ-ას არ მიუთითებია შესაბამისი დადგენილების გამოტანისას კანონმდებლობის ისეთ დარღვევაზე, რაც მისი ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ უნებართვო მშენებლობა, თავისი ბუნებით, არის დენადი სამართლდარღვევა, რომელიც უწყვეტად გრძელდება დროში და ითვლება დენადად, ვიდრე არ მოხდება მისი აღმოფხვრა. კონკრეტულ შემთხვევაში, სადაც დადგენილების მიღებისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, ...ის გამზ. №138-ში მდებარე, კუთვნილი ფართის რეკონსტრუქცია ნ. წ-ამ ნებართვის გარეშე განხორციელა და აღნიშნული ქმედების შედეგი არც მასზე დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის წარმოების პერიოდში ყოფილა მოყვანილი კანონთან შესაბამისობაში, ნ. წ-ას მითითებით განსაზღვრულ ვადაში სამშენებლო სამართალდარღვევა არ გამოუსწორება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ წარმოადგინა მისი მოთხოვნის დაქმაყოფილების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტები, რის გამოც ნ. წ-ას

საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. 6. ნ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 24 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უცხართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების  
კანონიერება**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-926-922(2\_კ-17)

20 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: 6. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ქადაგიძე,  
ქ. ცინცაძე

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

**აღნერილობითი ნაწილი:**

მ. ლ-ამ 02.09.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ.თბილისის მუნი-

ციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №000102 დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 03.08.2015წ. №535 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №000102 დადგენილებით დაჯარიმდა 10 000 ლარით და დაევალა ქ.თბილისში, .....ის №... ნაკვეთის მიმდებარედ მოწყობილი მავთულბადის ღობის დემონტაჟი. მოსარჩელის მითითებით, ნაკვეთი, რომლის მიმდებარედ მოწყობილია სადაცვო მავთულბადე, მფლობელობაში აქვს 2007-2008 წლებიდან. 2008 წლიდან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკვეთი გახდა მისი საკუთრება. ამ პერიოდში სადაცვო ტერიტორიაზე უკვე არსებობდა მავთულბადე და იქ განთავსებული იყო მსუბუქი კონსტრუქციის საცხოვრებელი. მოსარჩელე თვლის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია ღობის მოწყობის დრო, არ დაადგინა ღობის მომწყობი პირი. მ. ლ-ა აღნიშნავს, რომ მან მხოლოდ სადაცვო ტერიტორიის გამწვანება უზრუნველყო, რაც არ არის სამართალდარღვევა. ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაადასტურა ღობის მოწყობა მოსარჩელის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილებით მ. ლ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 19.03.2015წ. შედგა №000102 მითითება, ქ. თბილისში, ...ში, №... ნაკვეთის მიმდებარედ, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მ. ლ-ას მიერ უნებართვოდ მავთულბადის ღობის მოწყობის ფაქტზე. მ. ლ-ას მითითებით განესაზღვრა ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან მავთულბადის ღობის დემონტაჟისათვის. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 14.04.2015წ. შედგენილი №000102 შემოწმების აქტით დადგინდა მითითების პირობების შეუსრულებლობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ. №000102 დადგენილებით პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. ლ-ა დაჯარიმდა 10 000 ლარით მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობისათვის და დაევალა აღნიშნული ღობის დემონტაჟი, რაც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრდა მ. ლ-ას მიერ. ქ. თბილისის მუნიციპა-

ლიტეტის მერიის 03.08.2015წ. №535 ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მ. ლ-ამ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამართულ ზეპირ მოსმენაზე დაადასტურა ნაკვეთის ფლობა, მასზე მწვანე ნარგავების განთავსება და ღობის მოწყობა, დაზიანების შემთხვევაში მისი შეკეთება, ასევე უარყო ღობის დემონტაჟის შესაძლებლობა მწვანე ნარგავების დაზიანების რისკის გამო, ამდენად, მ. ლ-ა მიჩნეულ იქნა ღობის არსებობაზე დაინტერესებულ პირად.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 33-ე, 65-ე, 66-ე მუხლებსა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე, 44-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართლდარღვევის ჩადენა, რადგან ქ.თბილისში, ...ში, №... ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე მოეწყო მავთულბადის ღობე შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. ამდენად, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულო ორგანო მითითების გაცემისა და შემოწმების აქტის შედგენის საფუძველზე უფლებამოსილი იყო სადაცო აქტით დაედგინა უნებართვო მშენებლობის დემონტაჟისა და დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სზაკ-ის 60<sup>1</sup>.1, 178-ე, 185-ე, 201-ე მუხლებისა და სასკ-ის 32.1 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სადაცო აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ლ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილებით მ.ლ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2016წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ.ლ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 05.05.2015წ.

№000102 დადგენილება და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 03.08.2015წ. №535 განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი.

საპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა სასკ-ის 32.4 მუხლისა და სზაკ-ის 53.5, 96.1 მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიიჩნია სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადაცო ობიექტი მავთულხლართია და მინა დავის განხილვის მომენტისათვის საკუთრების უფლებით აღრიცხული არ იყო.

პალატამ აღნიშნა, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მიზანია სამშენებლო საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა სამშენებლო სფეროს ტექნიკური რეგლამენტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. იმისათვის, რომ სამშენებლო სამართლდარღვევა დაეფუძნოს კოდექსის 44.1 მუხლს აუცილებელია უნებართვო მშენებლობა განხორციელდეს განსაკუთრებული, სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიის ფარგლებში, როგორებიცა: სპეციალური რეჟიმის ზონა, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმი; ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრული ტერიტორიები; კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები; საკურორტო-სარეკრეაციო ზონები ან ქ. თბილისის ტერიტორია. კოდექსის 44.1 მუხლით ქმედების კვალიფიცირებისთვის საკმარისი არ არის მავთულობის სათანადო დოკუმენტაციის გარეშე მოწყობის დადასტურება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დადგენას საჭიროებს აგრეთვე გაბარიტების ცვლილება, ღობის მ. ლ-ას მიერ მოწყობა. ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის მიზნით შეეძლო განმარტებები მიეღო მეზობელი ნაკვეთის მფლობელებისგან, რაც არ განხორციელდა.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან სახეზეა სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილების ბათილად ცნობის პირობები, მისი გაუქმების მოთხოვნით წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრზე მიღებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებაც კანონშეუსაბამოა, რაც მის ბათილად ცნობას განაპირობებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ.

კასატორი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები. კასატორის მოსაზრებით, სწორედ მ. ლა იყო სამართალდარღვევის აღმოფხვრის წინააღმდეგი, მან მაკონტროლებელი ორგანოს მითითების მიუხედავად არ მოახდინა უნებართვოდ მოწყობილი ღობის დემონტაჟი. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩევე ითხოვდა ღობის მომწყობის სამუშაო პერსონალის მოწმის სახით დაკითხვას და იღებდა მათი სასამართლო სხდომაზე მოყვანის ვალდებულებას. აღნიშნული გარემოება დამატებით ადასტურებს სადავო ღობის მ. ლ-ას დაკვეთით განთავსებას. სააპელაციო პალატის მითითება მეზობელი ნაკვეთის მფლობელთა გამოკითხვის სავალდებულობაზე არ არის დასაბუთებული, რადგან ჩვენებით ვერ დადასტურდებოდა სადავო დადგენილების უკანონობა. გასათვალისწინებელია, რომ თავად მოსარჩევე ადასტურებს 2007-2008 წლებიდან ნაკვეთის ფლობასა და შემოლობების მიზანშეწონილობას, შესაბამისად სწორედ მას უნდა დავალებოდა ღობის დემონტაჟი. მოსარჩევეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რაც ღობის სხვა პირის მიერ მოწყობას დაადასტურებდა.

კასატორმა – ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნა, რომ სახეზე იყო სადავო დადგენილების გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი – სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მინაზე უნებართვო მშენებლობის განხორციელება. „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 36.1, 36.3, 65.1, 74.1 მუხლებზე მითითებით კასატორმა აღნიშნა, რომ ღობის მოწყობა წარმოადგენს პირველი კლასის მშენებლობას და საჭიროებს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებას. მ. ლ-ამ ღობე მოაწყო სათანადო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეკისრება ქმედების განმახორციელებელ პირს, ხოლო მისი დაუდგენლობის შემთხვევაში სამშენებლო მიწის ნაკვეთის ან შენობა-ნაგებობის შესაკუთრეს ან მოსარგებლეს. განსახილველ შემთხვევაში დადგინ-

და ლობის მ. ლ-ას მიერ მოწყობა, მანვე უარი განაცხადა ლობის დემონტაჟზე მწვანე ნარგავების დაზიანების რისკის გამო. რაიმე მტკიცებულება, რომელიც ლობის სხვა პირის მიერ მოწყობას დაადასტურებს ნარდგენილი არ ყოფილა.

დავის საკასაციო სასამართლოში განხილვისას, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2018წ. №28-94 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 12.06.2018წ. №20-67 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“ (მე-2 მუხ.) და დამტკიცდა ახლადშექმნილი მუნიციპალური ინსპექციის დებულება (1-ლი მუხ.). აღნიშნული დებულების მიხედვით, სწორედ მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციად სახელდება სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, სათანადო სანქციების დაკისრება (2.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.), საზედამხედველო ობიექტში სამშენებლო და სხვა სახის ნორმების დაცვასა და შესრულებაზე კონტროლი, დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებებისა და ვადების განსაზღვრის, მითითების გაცემის, კანონდარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო დადგენილების მიღების, პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება (3.1 მუხ. „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“ ქვ.პ.).

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების კანონიერების შემონმების შედეგად თვლის, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ში 500 კვ.მ. სასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ს.კ. .... აღრიცხულია მ. ლ-ას საკუთრებაში 2008 წლიდან. 19.03.2015წ. მ. ლ-ას მიმართ შედგა მითითება ქ. თბილისში, .....ში, მის საკუთრებაში რიცხული №... ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე კლასის ნაგებობის მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობის ფაქტზე. მ. ლ-ას მიეცა 10 დღის ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან ღობის მოსაშლელად. დადგენილ ვადაში მითითება არ შესრულდა, რის გამოც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

05.05.2015წ. დადგენილებით მ. ლ-ა დაჯარიმდა 10000 ლარით და დაევალა ლობის დემონტაჟი. მხარეთა ახსნა-განმარტებებით ასე-ვე დგინდება, რომ ლობით შემოსაზღვრული მინის ნაკვეთი მ. ლ-ას მფლობელობაშია, მის მიერ მოხდა ნაკვეთში მწვანე ნარგავების განთავსება და იგი დაზიანების შემთხვევაში ახდენს ლობის შეკე-თებას, თუმცა მოსარჩელე თვლის, რომ იგი არ წარმოადგენს სა-მართლდარღვევაზე პასუხისმგებელ სუბიექტს, რადგან ლობე მის მიერ არ არის მოწყობილი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სადაცო საკით-ხის გადაუწყვეტლად სისი ზედამხედველობის საქალაქო სამსახუ-რის გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და ზედამხედველო-ბის ორგანოსათვის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივი-დუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, რადგან არ იყო გამოკვლეული ქმედების პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-სის 44.1 მუხლით კვალიფიცირების წინაპირობების არსებობა, ამას-თანავე, დადგენას საჭიროებდა ლობის მომწყობი სუბიექტი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გა-საჩივრებული განჩინება არ შეიცავს სადაცო ინდივიდუალური ად-მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად საზედამხედველო ორგანოსათვის ხელახალი გან-ხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების და-საბუთებას. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარა, რომ გადაწყვეტილე-ბის მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გამოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მი-ერ, აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევა სასამართლოს მიერ შე-უძლებელია და ამ გარემოებების გამოკვლევას არსებითი მნიშვნე-ლობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. გასაჩივრებულ გა-დაწყვეტილებაში არ არის მითითებული სასკ-ის მე-4, მე-19 მუხ-ლების დანაწესების მიუხედავად სასამართლოს მიერ საქმის გა-რემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავი გარემოე-ბები. სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასა-მართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმო-ების ფარგლებში გართულებულია ან ვერ ხერხდება სადაცო ფაქ-ტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სადაცო ადმინისტრაციული აქტების კანონიე-რებაზე მსჯელობას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში და-ცული მტკიცებულებები იძლეოდა სადაცო საკითხის არსებითად

გადაწყვეტის შესაძლებლობას. რაც შეეხება დადგენილი გარემოების სამართლებრივი შეფასების საჭიროებას (ქმედების კოდექტის 44.1 მუხლის დაკვალიფიცირების წინაპირობების დადგენა), აღნიშნული ასევე არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძვლებს, რადგან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შედეგების შეფასება თავად სასამართლომ უნდა მოახდინოს.

სადაც აქტების მართლზომიერების შესაფასებლად დადგენას საჭიროებს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენების წინაპირობების არსებობა, კერძოდ, უნებართვო მშენებლობის ფაქტი, მშენებლობის განხორციელების ადგილი, სამშენებლო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსადმი კუთვნილება, გაბარიტების ცვლილება და სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალების სათანადოდ შეფასებისა და არსებული ნორმატიული მოწესრიგების სწორად განმარტების შემთხვევაში, სააპელაციო პალატა არ იყო მოკლებული დავის არსებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი უნებართვო მშენებლობასა და რეკონსტრუქციას სამშენებლო სამართალდარღვევად მიიჩნევს, თუმცა ახდენს სანქციის სხვადასხვა ოდენობით დაკისრებას მშენებლობის განხორციელების და მშენებლობის შედეგად არსებული გაბარიტის ცვლილების მიხედვით. კოდექსის 43-ე მუხლი ეხება უნებართვო მშენებლობას თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტის დასახლებაში, გარდა ამავე კოდექსის 44-ე მუხლში აღნიშნული ტერიტორიისა. კოდექტის 44-ე მუხლის თანახმად, დაჯარიმებას ექვემდებარება უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე. მითითებულ ტერიტორიაზე მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის განხორციელებისას დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა დამოკიდებულია უძრავი ქონების მესაკუთრესა და მშენებლობის შედეგად ნაგებობის გაბარიტების ცვლილებაზე. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება, რომ სადაც აქტის გამოცემისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ გამოუკვლევია ტერიტორიის სპეციალური რეჟიმის ზონაში ყოფნა, ტყის ფონდის და „წყლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ, საკურორტო-სარეკ-

რეაციო ზონაში ყოფნა – არ ადასტურებს სადავო აქტის გაუქმებას და ორგანოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძვლიანობას, რადგან დადგენილია, რომ სადავო მშენებლობა წარმოებულია ქ. თბილისში, შესაბამისად, დავის გადაწყვეტისთვის უნებართვო მშენებლობის სპეციალურ ზონაში არსებობის დადგენა არ არის სამართლებრივი შედეგის მომტანი, ნორმა სხვა წინაპირობების დადგენის გარეშე ითვალისწინებს სუბიექტის დაჯარიმებას იმ შემთხვევაში, თუ უნებართვო მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია წარმოებულია ქ. თბილისის ტერიტორიაზე. ამასთან, გაბარიტის ცვლილებას მნიშვნელობა ენიჭება არა ქმედების კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად კვალიფიცირებისათვის, არამედ სანქციის ოდენობის განსაზღვრისთვის. კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, უკეთუ მშენებლობა/რეკონსტრუქცია იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, პირს ეკისრება მეტი ოდენობის ჯარიმა (1-ლი ნაწ.), ვიდრე გაბარიტების შეუცვლელად უნებართვო სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას (მე-2 ნაწ.). განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ სამართალდარღვევად მიჩნეულ იქნა არა რაიმე ნაგებობის რეკონსტრუქცია, მინაშენი და სხვ., არამედ ღობის მოწყობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ახალი მშენებლობის შედეგად იქმნება ახალი ობიექტი ან ხდება არსებულის სრულიად ჩანაცვლება („მშენებლობის ნებართვის გაცემის ნესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 3.5 მუხლი), შესაბამისად, სააპელაციო პალატის მითითება გაბარიტების ცვლილების დადგენის საჭიროებაზე, აზრს არის მოკლებული. მინის ნაკვეთზე ღობის მოწყობა იმთავითვე ადასტურებს ახალი მშენებლობის და ამდენად, ახალი გაბარიტის შექმნას, რაც გამორიცხავს ქმედების კვალიფიცირების შესაძლებლობას კოდექსის 44.2 მუხლით, რომელიც გაბარიტების შეუცვლელად უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოებისას ითვალისწინებს სანქციას. ამდენად, დასტურდება უნებართვო მშენებლობის წარმოება ქ. თბილისის ტერიტორიაზე, რამაც ახალი გაბარიტის შექმნა გამოიწვია. ამასთანავე, მხარეებს შორის სადავო არ გამხდარა მიზის ნაკვეთის სახელმწიფოსადმი კუთვნილება. მართალია, ნაკვეთი მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხული არ არის, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მინის ნაკვეთები, რომლებსაც კერძო მესაკუთრეები არ ჰყავთ, მიიჩნევა სახელმწიფოს საკუთრებად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მ. ლ-ა არის სამშენებლო სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი სუბიექტი და აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 14.2 მუხ-

ლის მიხედვით, სამშენებლო ზედამხედველობის სუბიექტი პირ-ველ რიგში არის პირი, რომლის ქმედებებმაც გამოიწვია დარღვევები სამშენებლო საქმიანობაში („ბ“ ქვ.პ.), ხოლო შემდგომში, უკეთუ დაუდგენელია მშენებლობის მწარმოებელი პირი, - სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე („გ“ ქვ.პ.). მ. ლ-ა თავის ახსნა განმარტებებში, ადმინისტრაციულ საჩივარსა და სარჩელში ადასტურებს, რომ ნაკვეთზე, რომელიც ლობის შიგნით არის მოთავსებული, მის მიერ მონაცემილია გამწვანება, ნაკვეთი მის მფლობელობაშია 2007-2008 წლებიდან და პირუტყვის მიერ ლობის დაზიანების შემთხვევაში ახდენს მის შეკეთებას. ამდენად დგინდება, რომ ერთადერთი პირი, რომელსაც ნაკვეთის შემოლობვის ინტერესი აქვს, არის მოსარჩელე, რადგან მისივე განმარტებით ლობე უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების დაცვას. მოსაზრება, რომ ნაკვეთი, რომელიც მოსარჩელის მფლობელობასა და სარგებლობაშია სხვა პირის მიერ შემოისაზღვრა, არ არის დასაბუთებული. ამასთანავე, მოსარჩელე ვერ ასახელებს სამართალდარღვევის ჩამდენ სხვა კონკრეტულ სუბიექტს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ადმინისტრაციული ნარმოებისას შედგენილ, საქმეში დაცულ 30.04.2015წ. ოქმზე, რომლის თანახმად, მ. ლ-ამ დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ მავთულბადის ლობე მის მიერ განთავსდა 2007 წელს. ოქმის თანახმად, მანვე აღნიშნა, რომ ლობის დემონტაჟს არ აპირებს, რადგან დაზიანდება მის მიერ დარგული მცენარეები, ამასთანავე, აპირებს მიწის დაკანონებას და მიმდინარეობს დოკუმენტაციის მოწერილება. საქალაქო სასამართლოს 05.02.2016წ. გამართულ სხდომაზე მოსარჩელის ნარმომანგენლის განმარტება (14:20 სთ), რომ მ. ლ-ა აღნიშნულ ოქმში უთითებდა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ლობეზე, არ დასტურდება, რადგან მითითებებაში, რომლის ჩაბარებაც მ. ლ-ამ 30.04.2015წ. ოქმში დაადასტურა, ერთმნიშვნელოვნად არის აღნიშნული, რომ მითითება შედგენილია №... მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ ლობეზე და არა უშუალოდ №... ნაკვეთის შემომსაზღვრავ ლობეზე. ამასთანავე, 30.04.2015წ. ოქმში აღნიშნულია, რომ მ. ლ-ა აპირებს ნაკვეთის დაკანონებას, რაც დამატებით ადასტურებს მ. ლ-ას განმარტების გაცემას თავის საკუთრებაში არარსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებით, რადგან ოქმის შედგენის დროისათვის მ. ლ-ას საკუთრება ... . მიწის ნაკვეთზე უკვე აღრიცხული იყო, შესაბამისად აღარ არსებობდა მისი დაკანონების საჭიროება. მითითებისა და შემოწმების აქტის განხილვასთან მიმართებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისას ოქმი შედგა 30.04.2015წ., ხოლო საკუთრება ... ნაკვეთზე მ. ლ-ას წარმოშობილი პქნდა 2008 წლი-

დან. ამასთანავე, საკასაციონ პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 30.04.2015წ. ოქმი მისი შინაარსის გაცნობის და-დასტურების მიზნით ხელმოწერილია მ. ლ-ას მიერ, ოქმზე არ არის რაიმე მინაწერი ან შენიშვნა ოქმის შინაარსთან დაკავშირებით. ყო-ველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დგინდება სადაც ლობის მ. ლ-ას მიერ მოწყობა. ამას-თანავე, აღნიშნული გარემოების დაუდგენლობის შემთხვევაშიც, არ გამოირიცხება სამშენებლო სამართალდარღვევაზე მ. ლ-ას პა-სუხისმგებლობა, რადგან მისივე ახსნა-განმარტებით დადასტურ-და სადაც ლობით შემოსაზღვრული ნაკვეთის ფლობა, სარგებლო-ბა, მწვანე ნარგავების განთავსება, ლობის შენარჩუნების ინტერე-სი, მისი პერიოდული შეკვეთება. ლობის მომწყობი სუბიექტის დად-გენის შეუძლებლობა არ გამორიცხავს მ. ლ-ას, როგორც ნაკვეთით მოსარგებლე ზირის პასუხისმგებლობას. ნაკვეთით მოსარგებლე-ზე სამშენებლო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ არის დადგენილი მარ-თლასანინააღმდეგო ქმედების ჩამდენი კონკრეტული პირი, არ ადასტურებს მოსარგებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სხვისი ბრალისათვის, ასეთ შემთხვევაში მოსარგებლე პასუხს აგებს არა სხვისი, არამედ თავისი ბრალისათვის, რომელიც გამოვ-ლინებას პოულობს მის უმოქმედობაში: მოსარგებლეს, მესაკუთ-რის მსგავსად, ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს სათანადო სამშენებლო ნორმების დაცვა. ამდენად, მოსარგებლის მიერ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა (მითითებაში მიცემულ 10-დღიან ვადაში მ. ლ-ამ უარი განაცხადა ლობის მოშლაზე) იწვევს მისთვის კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკის-რებას. ნაკვეთითა და მისი შემომსაზღვრული ლობით მ. ლ-ას მიერ სარგებლობა არ არის სადაც. მოსარჩელის განმარტებით, იგი წლე-ბის განმავლობაში სარგებლობდა ნაკვეთით. საქმის მასალებიდან არ იკვეთება მესამე პირების მიერ პრეტენზიების განცხადება მ. ლ-ას სარგებლობის მიმართ. ამდენად, საკუთრების არქონის მიუ-ხედავად მ. ლ-ა ფლობს ნაკვეთს, როგორც საკუთარს, კერძოდ, გა-ნათავსა მწვანე ნარგავები, უვლის მათ, ახდენს ლობის შეკვეთებას აღნიშნული ნარგავების, ე.ი. თავისი მფლობელობის დაცვის მიზ-ნით, აპირებს მიწის ნაკვეთის დასაკუთრებას (როგორც თავად აღ-ნიშნავს – „ლეგალიზებას“), რისი ერთ-ერთი წინაპირობაც ნაკვე-თის ფლობა/სარგებლობის დადასტურებაა („ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობა-ში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის მე-2 მუხ. „გ“ ქვ.პ.), რა დროსაც ნაკვეთის შემო-ლობვის ფაქტი, როგორც წესი, ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმო-

ადგენს. ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება სხვა კერძო პირის არსებობა, რომელსაც რამე სახის მფლობელობა ან ინტერესი ექნებოდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე. მოსარჩელის მითითება, რომ ნაკვეთი შემოსაზღვრული სახით იყიდა არ არის დასაბუთებული, რადგან ნაკვეთი კერძო საკუთრებაში აღრიცხული არასდროს ყოფილა, ამასთანავე, საქმეში არ არის ნარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულება ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელიც მოსარჩელის მიერ ნაკვეთის შეძენას დაადასტურებს, არ სახელდება აგრეთვე ნაკვეთის წინა მესაკუთრე ან პირი, რომელიც დაინტერესებული შეიძლება ყოფილიყო მ. ლ-ას სარგებლობაში არსებული ნაკვეთის შემოღობით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოებისას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ახსნა-განმარტების მიხედვით, ღობის უნებართვოდ მოწყობის ფაქტის გამოვლენისას, ადგილზე იმყოფებოდნენ პირები, რომლებიც ახდენდნენ ღობის მოწყობას, მათი განმარტებით ღობის აღდგენით სამუშაოებს ახორციელებდნენ მ. ლ-ას დაკვეთით. მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო აღნიშნული განმარტების სანიაღმდეგო მტკიცებულებების წარდგენა. საქალაქო სასამართლოში აღნიშნული პირების მოწმის სახით დაკითხვის მიზნით სასამართლო სხდომის არაერთგზის გადადების მიუხედავად, მოსარჩელემ მოწმეები სასამართლოს ვერ წარუდგინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა სათანადო გამოკვლევა შესაძლებელს გახდიდა სადაც საკითხის არსებითად გადაწყვეტას. სააპელაციო პალატას, მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სრულად უნდა გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მოეხდინა სწორი სამართლებრივი შეფასება. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა არ უთითებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან რაიმე ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი საქმის ხელახალი განხილვისას და რომლის დადგენაც სასამართლო განხილვის ფარგლებში შეუძლებელია. ამასთანავე, დავის სამართლებრივი ასპექტი, სასამართლოს მოსაზრება სადაც სამართალურთიერთობის გადაჭრის სამართლებრივი საფუძვლის, გამოსაყენებელი ნორმის შესახებ არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის პირობას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სადაც აქტით ჯარიმის დაკისრების სამარ-

თლებრივ საფუძვლად მითითებულია სახდელის დადების პერიოდში მოქმედი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც მ. ლ-ა უნებართვო მშენებლობისათვის დაჯარიმდა 10 000 ლარით. ნორმის ამჟამად მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქ. თბილისში, სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე უნებართვო მშენებლობისათვის ჯარიმის სახით გათვალისწინებულია 25000 ლარი (კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვ.პ.). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის ჩამდენმა პირმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, თუმცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბურებელ ან გამაუქმებელ აქტს აქვს უკუქცევითი ძალა, ე.ო. ვრცელდება ამ აქტის გამოცემამდე ჩადენილ სამართალდარღვევებზე. სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს, თუ კანონით გაუქმებული ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დაგენილი ნორმა. სანქციის შეფარდების დრო მოიცავს არა მხოლოდ ორგანოს მიერ მისი გამოყენების მომენტს, არამედ აგრეთვე ზემდგომი ორგანოების ან სასამართლოს მიერ სანქციის გამოყენების კანონიერების შემონმების პერიოდს, თუმცა აღნიშნული მოწესრიგება გასათვალისწინებულია მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქებისას ან გაუქმებისას. უკეთუ ახალი მოწესრიგებით იზრდება სანქციის ოდენობა ან სხვა მხრივ მძიმდება პასუხისმგებლობა, გამოყენებულ უნდა იქნეს დარღვევის დროს მოქმედი რეგულაცია. აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვთ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-9 მუხ.). ამდენად, მართალია, სასამართლოს მიერ სანქციის დაკისრების მართლზომიერების შემონმების პროცესში პასუხისმგებლობის დამფუძნებელ ნორმაში განხორციელდა (კვლილება, თუმცა ახალი რეგულაციით პასუხისმგებლობის დამძიმების გათვალისწინებით, მართებულია დავის გადაწყვეტისას სანქციის დაკისრებისას მოქმედი ნორმატიული მოწესრიგების გამოყენება). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 65.1 მუხლის თანახმად, გრუნტის ზედაპირიდან 4 მეტრამდე სიმაღლის ღობე წარმოადგენს პირველი კლასის ნაგებობას („გ“ ქვ.პ.) და არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა ამავე დადგენილებით გან-

საზღვრულია I კლასის ნაგებობის მშენებლობის განზრახვის შესახებ ნებართვის გამცემი ორგანოსათვის წერილობითი ინფორმაციის მიწოდების (66.2 მუხ.) და ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დაგეგმილი მშენებლობის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობისა და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების საჭიროება (55.7 მუხ.). ნორმატიულად განსაზღვრული პროცედურების დარღვევით I კლასის მშენებლობის განხორციელება განიხილება უნებართვო მშენებლობად (66.10 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება მავთულბადის ღობის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე მოწყობა, ე.ი. სახეზეა უნებართვო მშენებლობა, რომელიც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე და 44-ე მუხლებით გათვალისწინებულ სანქციას ითვალისწინებს. ამდენად, სამშენებლო საქმიანობის მოცულობის, სახისა და ხასიათის, სამართალდარღვევის მნიშვნელობის მიუხედავად, კოდექსით გათვალისწინებულია ერთიანი, ზუსტად განსაზღვრული სანქციები. სანქციის არაპროპორციულობის შესახებ მოსაზრება ქმნის არა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო აქტების ბათილად ცნობის, არამედ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს უნებართვო მშენებლობის მოცულობაზე, შეაფასოს პირველი კლასის ნაგებობის უნებართვო მშენებლობისთვის გამოყენებული სანქციის პროპორციულობა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეფარდებული სანქციის არაპროპორციულობის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი, რომელიც მცირებმნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს დისკრეციულ კომპეტენციას გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. 33.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პირს სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების შესაბამისობით. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი მუხლები ადგენენ ადმინისტრაციული გადაცდომისათ-

ვის კანონით გათვალისწინებული სანქციის გამოყენების საერთო წესს (სუს 01.07.09წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-1442-1400(კ-კს-08)). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის 22-ე მუხლი ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის, სამშენებლო სამართალდარღვევებზე ცალკე კანონმდებლობა ვრცელდება, 22-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობები არ არის სხვაგვარად დარეგულირებული სპეციალურ, კერძოდ, პროფუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში, რომლის 25-ე მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ხელმძღვანელობს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ უნდა იქონიოს მსჯელობა სადაც სამართალურთიერთობის მიმართ მისი გამოყენების შესაძლებლობის საკითხზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივრები და კმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.06.2017წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოდა და არ საჩივრდება.

## უცემართვო მშენებლობის გამო დაჯარიმების კანონიერება

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-638-634(2) 17)

20 დეკემბერი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ქადაგიძე,  
ქ. ცინცაძე**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

**აღნერილობითი ნაწილი:**

ვ. დამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების: ქ.თბილისის  
მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-  
რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ზედამ-  
ხედველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. №000176 დად-  
გენილებისა და ქ. თბილისის მერიის 09.09.2015წ. №605 პრძანების  
ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მერიის ზედამხედვე-  
ლობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015 წ. №000176 დადგენილე-  
ბით დაჯარიმდა 8 000 ლარით, ქ.თბილისში, ...ის ქუჩა №45-ში მდე-  
ბარე საცხოვრებელ სახლზე სამშენებლო სამუშაოების უნებარ-  
თვოდ განხორციელებისათვის. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მე-  
რიის 09.09.2015წ. №605 პრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა აღ-  
ნიშული დადგენილების ბათილად ცნობაზე იმ მოტივით, რომ ვ.  
დამ უნებართვოდ განახორციელა ქ.თბილისში, ...ის ქ. №45-ში მდე-  
ბარე საცხოვრებელ სახლზე წინა ფასადის მხარეს სივრცის ამოშე-  
ნება, ხოლო გვერდითა ფასადის მხარეს, ორივე სართულზე – ფარ-  
თის მიშენება, რაც წარმოადგენს უნებართვო რეკონსტრუქციას  
კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე. მოსარჩელე აღ-  
ნიშნავს, რომ სამივე შემთხვევაში მოხდა მხოლოდ კედლის გამაგ-  
რების მიზნით ამოშენებითი სამუშაოების განხორციელება, რასაც  
გაბარიტების ცვლილება არ მოჰყოლია და ამასთან, მას მიმართუ-  
ლი ჰქონდა კედლის ამოსაშენებლად საჭირო ნებართვის მისაღე-  
ბად შესაბამისი სამსახურისთვის. ნებართვის გაცემა შეჩერდა ყა-

დაღის გამო, რომელიც სახლს დაედო იპოთეკური სესხის გადაუხულებისთვის. მას შემდეგ რაც მოსარჩელემ იპოთეკური სესხი გადაიხადა და სახლზე დადებული ყადაღაც გაუქმდა, ნებართვის ასაღებად არქიტექტურის სამსახურმა ხელახლა მოითხოვა საბუთების შეტანა. იმ დროისათვის სახლზე სამშენებლო სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო, თუმცა წერილობითი ნებართვის მისაღებად ვ. დ-ამ კვლავ მიმართა შესაბამის სამსახურს. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სახლი იყო ავარიულ მდგომარეობაში და სამშენებლო სამუშაოების დაყოვნებას შეიძლება გამოეწვია მისი ნაწილის ნერევა. ვ. დ-ას მიღებული ჰქონდა სიტყვიერი ნებართვა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის და შესაბამისად, მისი ქმედება არ ატარებდა კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიერ საქმის გარემოებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.12.2015წ. გადაწყვეტილებით ვ. დ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. 45-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. დ-ას სახელზე. 31.03.2015წ. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ვ. დ-ას მიმართ შედგა მითითება სახლის ფასადის მხარეს პირველი სართულის უნებართვოდ ამოშენებისა და გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე უნებართვო მიშენების განხორციელების გამო, ვ. დ-ას მიეცა 20-დღიანი ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან უნებართვო ობიექტის დემონტაჟისათვის. 23.04.2015წ. შემოწმების აქტით დაფიქსირდა ვ. დ-ას მიერ მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. დადგენილებით ვ. დ-ა ქ. თბილისში, ...ის ქ. 45-ში უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის წინა ფასადის მხარეს პირველ სართულზე სივრცის ამოშენებისთვის და გვერდითა ფასადის მხარეს ორივე სართულზე ფართის მიშენებისთვის, დაჯარიმდა 8000 ლარით, მასვე დაევალა უნებართვო მინაშენის დემონტაჟი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც აქტები მართლზომიერია, მათი გამოცემა მოხდა გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის შედეგად. სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილებით დამტკიცებულ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 33.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, 36.1 მუხლზე და ჩათვალა, რომ მითითებული ნორმატიული დანაწესებისა და საქმეში დაცული მტკიცებულებების გათვალისწინებით, განხორციელებული

სამუშაოები მიეკუთვნება ისეთი სახის სამშენებლო საქმიანობას, რომელსაც ესაჭიროება სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვა, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩევეს არ ჰქონდა. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-სის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქეყპუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ უნებართვო მშენებლობის ან/და რე-კონსტრუქციის წარმოება ქ.თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ფოტომასალის შეფასების შედეგად არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმას-თან დაკავშირებით, რომ საცხოვრებელ სახლზე მშენებლობა გან-ხორციელებულია 7-8 წლის წინ და ამჟამად განხორციელდა ობიექ-ტის „გალესვა“. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოცემულ ობიექტზე მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა, შესაბამისად, ვ. დ-ას არ გააჩნდა სანებართვო დოკუმენტაცია მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობისთვის. ამასთანავე, სადაც გამხდარი ობიექტი არ არის მოყვანილი პირ-ვანდელ მდგომარეობაში, რაც მოსარჩელის დაჯარიმების საფუძველს ქმნის. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ.თბილისის ზედამხედ-ველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. №000176 დადგენი-ლება მიღებულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობ-რივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 30.12.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გა-ასაჩივრა ვ. დ-ამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 24.02.2017წ. გადაწყვეტილებით ვ. დ-ას სააპელა-ციონ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.12.2015წ. გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. დ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადაც საკითხის გადა-უწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტე-ტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. №000176 დადგენილება და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმი-ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 09.09.2015წ.

## №605 ბრძანება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მის დასაბუთებას, სზაკ-ის 53-ე, 96-ე მუხლები იმპერატიულად ადგენენ საქმის გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის და აქტის სათანადო დასაბუთების საჭიროებას. სასკის 32.4 მუხლით სასამართლოს მინიჭებული აქვს აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობის უფლებამოსილება, უკეთუ აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და აქტის ბათილად ცნობაზე არსებობს მხარის გადაუდებელი ინტერესი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოები საჭიროებს სათანადო ნებართვას, ამასთანავე, კანონის არცოდნა არ გამორიცხავს ქმედების სამართალდარღვევად კვალიფიცირების შესაძლებლობას, თუმცა კანონის მიზანია სანქციის შემფარდებელი ორგანოს მიერ ყოველი სამართალდარღვევის ინდივიდუალურად შეფასება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების არსებობის დადგენა, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც კანონის შესაბამისი მუხლით დაწესებულია კონკრეტული სანქცია, რაც არ იძლევა ჯარიმის მინიმუმის და მაქსიმუმის განსაზღვრის შესაძლებლობას. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ პირის დაჯარიმება და მისთვის გარკვეული სანქციების დაწესება, განსაზილეველ შემთხვევაში კი ადმინისტრაციულმა ორგანომ აპელანტს მიშენების დემონტაჟი დაავალა შენობის მდგრადობაზე აღნიშნული ქმედებების ზეგავლენის შეფასების გარეშე. ამდენად, პალატამ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ ორგანომ, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისას, ყველა გარემოების გამოკვლევასთან ერთად სათანადო შეფასება უნდა მისცეს ქმედებას და გამოიკვლიოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.02.2017წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა.

კასატორმა ქ.თბილისის მერიამ აღნიშნა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15.01.2016წ. №1-2 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის

მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამშენებლო სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას და არა უფლებას. სამშენებლო სფეროში მოქმედი კანონმდებლობა გამონაკლისებს არ ითვალისწინებს, რის გამოც ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს სამართალდამრღვევის ქონებრივი ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობა. კასატორი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.2 მუხლზე მითითებით აღნიშნავს, რომ სადაც დადგენილების გამოცემამდე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგენილ იქნა მითითება, რომლითაც ვ.დ-ას განესაზღვრა 20 კალენდარული დღე უკანონოდ აშენებული ობიექტის დემონტაჟისთვის ან მითითების შედგენის მომენტისათვის გაცემული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად. მითითების განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ შედგა შემონმების აქტი, თუმცა ალსანიშნავია, რომ ამ აქტის შედგენიდან დადგენილების გამოცემამდე სამართალდამრღვევს კვლავ შეეძლო გამოესწორებინა სამართალდარღვევა, თუმცა ეს პერიოდიც უშედეგოდ გავიდა. შესაბამისად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი დაჯარიმებისა და დემონტაჟის დავალების თაობაზე დადგენილების გამოსაცემად. კასატორმა აღნიშნა, რომ ვ. დ-ას არ წარუდგენია იმის დამდგენი მტკიცებულებები, რომ იგი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში. ამასთან, კასატორი თვლის, რომ პირის ქონებრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნებართვო ბიუექტის დემონტაჟით საცხოვრებელი სახლი ჩამონაგრევის ვარაუდი, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, სადაც დადგენილების ბათილად ცნობა მხოლოდ სამართალდამრღვევის ქონებრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოიწვევს სამშენებლო სამართალდამრღვევების წახალისებას.

კასატორმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა აღნიშნა, რომ სადაც აქტების გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სრულად იქნა გამოკვლეული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. არასწორია სააპელაციო პალატის მითითება, რომ 2011 წელს განხორციელდა ვ. დ-ას შემონმება, რადგან აღნიშნულის დამადასტურე-

ბელი მტკიცებულებები არ წარმოდგენილა. არ დასტურდება, რომ ვ. დასთვის სახდელის შეფარდება განხორციელდა კანონით განსაზღვრული ვადების დარღვევით. კასატორი არ ეთანხმება აგრეთვე სასამართლოს მსჯელობას დემონტაჟთან მიმართებით, რადგან დემონტაჟის გზით ხდება სამართალდარღვევის გამოსწორება და მისი განხორციელება ვერ მიიჩნევა დამრღვევის უფლების შეზღუდვად ან საკუთრების ხელყოფად.

დავის საკასაციო სასამართლოში განხივლისას, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2018წ. №28-94 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 12.06.2018წ. №20-67 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“ (მე-2 მუხ.) და დამტკიცდა ახლადშექმნილი მუნიციპალური ინსპექციის დებულება (1-ლი მუხ.). აღნიშნული აქტების მიხედვით, გაუქმდა ზედამხედველობის საქალაქო სამსახური და მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციად დასახელდა სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, სათანადო სანქციების დაკისრება (2.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.), საზედამხედველო ობიექტში სამშენებლო და სხვა სახის ნორმების დაცვასა და შესრულებაზე კონტროლი, დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებებისა და ვადების განსაზღვრის, მითითების გაცემის, კანონდარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო დადგენილების მიღების, პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება (3.1 მუხ. „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“ ქვ.პ.).

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. 45-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია ვ. დას სახელზე. 31.03.2015წ. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ვ. დას მიმართ შედგა მითითება სახლის ფასადის მხარეს პირველი სართულის უნებართვოდ ამოშენებისა და გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე უნებართვო მიშენების განხორციელების გამო, ვ. დას მიეცა 20-დღიანი ვადა სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან უნებართვო ობიექტის დემონტაჟისათვის. 23.04.2015წ. შემოწმების აქტით დაფიქსირდა ვ. დას მიერ მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. ქ. თბილისის ზედამხედ-

ველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. დადგენილებით ვ. დაქ. თბილისში, ...ის ქ. 45-ში უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის, კერძოდ, საცხოვრებელი სახლის წინა ფასადის მხარეს პირველ სართულზე სივრცის ამოშენებისთვის და გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე ფართის მიშენებისთვის, დაჯარიმდა 8000 ლარით, მასვე დაევალა უნებართვო მინაშენის დემონტაჟი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად სსიპ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობის და ზედამხედველობის ორგანოსათვის საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი იმის გამო, რომ სადავო აქტები გამოცემული საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, ორგანოს არ უმსჯელია სამართალდარღვევის ჩადენის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, არ გაუთვალისწინებია ვ. დას ჯანმრთელობის მდგომარეობა და არ შეუფასებია მინაშენის დემონტაჟის შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის დაზიანების რისკი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით დადგენილი წესით მშენებლობის ნებართვის მიღება. ნებართვის გარეშე მშენებლობის წარმოება განიხილება უნებართვო მშენებლობად, რომლისთვისაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულია შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დასტურდება ვ. დას მიერ უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, პირველ სართულზე სივრცის ამოშენება და გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე ფართის მიშენება. მოსარჩელე წარდგენილ სარჩელში უთითებს, რომ მის მიერ კედლების გამაგრების მიზნით განხორციელდა ამოშენებითი სამუშაოები, იგივე ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორანოში გამართული წარმოებისას. ვ. დას მოსაზრება პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურისაგან ჰქონდა სიტყვიერი ნებართვა, არ არის დასაბუთებული, რადგან მშენებლობის ნებართვა წერილობითი დოკუმენტია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორი-

აზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ახდენს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილება (1.1 მუხ.). მშენებლობის ნებართვა არის განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა, რომლის გაცემაც იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად(ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა (მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება); არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება (არქიტექტურული პროექტის, კონსტრუქციული ან/და ტექნოლოგიური სქემის შეთანხმება); მშენებლობის ნებართვის გაცემა (3.43 მუხ.)). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადგებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდგომი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება (37.1 მუხ.), ნებართვის გაცემის მიზნით მიმდინარე თითოეული სტადიის დამოუკიდებელი წარმოების დასრულების შემდეგ გაიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (37.2 მუხ.). მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით ნორმატიულად გათვალისწინებულია კომპლექსური პროცედურები, ადმინისტრაციულ ორგანოში დაინტერესებული მხარის მიერ რიგი დოკუმენტაციის, მათ შორის არქიტექტურული პროექტის, წარდგენის ვალდებულება, ნორმატიულად არის დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის შემოწმების საჭიროება, რაც გამორიცხავს მშენებლობის ნებართვის ზეპირად გაცემის შესაძლებლობას. ნებართვა არის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას („ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის მე-3 მუხ. „ე“ ქვ.პ.), კანონი შეიცავს დათქმას მშენებლობის ნებართვის გაცემის წარმოების ელექტრონული ფორმით განხორციელების შესახებ (264.4 მუხ.), თუმცა არც ერთი ნორმატიული აქტი არ უშვებს მშენებლობის ნებართვის ზეპირი ფორმით გაცემის შესაძლებლობას.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონის 25.1 მუხლითა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 52.1 მუხლით დადგენილია ნებართვის მაძიებლის მიერ ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემ ორგანოში წერილობითი განცხადების წარდგენის საჭიროება. საქმის მასალე-

ბით დასტურდება, რომ ვ. დ-ამ მხოლოდ ერთხელ – 2013წ., მიმართა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს პროექტის შეთანხმებისა და შშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.09.2013წ. №886385 გადაწყვეტილებით განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული. საქმის მასალებით არ დასტურდება აღნიშნულ მიმართვამდე ან მის შემდეგ ვ. დ-ასთან მიმართებით, სადავო სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში სანებართვო წარმოების ჩატარება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობებში მოქმედებს კანონის ცოდნის პრეზუმაცია, იგულისხმება, რომ პირმა იცის მოქმედი კანონმდებლობა. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოყენებლობის ან/და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათვალისუფლების საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება ან ფუნქცია არ აქვს, რის გამოც მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან მიმართებით. სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი წორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული. იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე არაბუნდოვნად შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეთათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს, ხოლო ასეთი წორმის არცოდნაზე მითითება არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან. განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება ობიექტური გარემოებები (მაგ.: კანონის გამოუქვეყნებლობა, წორმის ტექსტის არსებითი ბუნდოვანება და სხვ.), რასაც შეეძლო ხელი შეეშალა კანონის გაცნობაში, არ დასტურდება, რომ ვ. დ-ამ არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა კანონის დანაწესი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ნებართვის მოპივების სავალდებულობასა და ნებართვის მიღების მიზნით უფლებამოსილ ორგანოში წერილობითი განცხადების წარდგენის საჭიროებაზე. ამდენად, მოსარჩელის მითითება მშენებლობის ნებართვის ზეპირი ფორმით გაცემის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს სადავო ინდივიდუა-

ლური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად ცნობის და სადაც საკითხის გადაუწყვეტლად საზედამხედველო ორგანოსათვის ხელა-ხალი განხილვისა და ახალი გადაწყვეტილების მისაღებად დაბრუნების დასაბუთებას. სასამართლო დავის გადაუწყვეტლად აქტს ბათილად ცნობს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ გადაწყვეტილების მიღება საჭიროებდა გარკვეული გარემოებების გა-მოკვლევას, რომელიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ გარემოება-თა დადგენის შესაძლებლობას და ამ გარემოებების გამოკვლევას არსებითი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მიღებისათვის. სა-აპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ორგანოს მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ პირის დაჯარიმება, ნებისმიერი გადაცდომა უნდა იყოს საფუძვლიანად შესწავლილი, ორგანომ უნდა დაადგინოს პასუხის-მგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა არ-სებობა, უნდა შეაფასოს მინაშენის დემონტაჟით სახლის ჩამონ-გრევის შესაძლებლობა. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ მიუ-თითა, რომ მძიმე ქონებრივი და ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მოქალაქეების მიმართ სახელმწიფო უნდა იჩენდეს განსა-კუთრებულ მზრუნველობას, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრე-ბით ქმნიდა სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამო-ცანაა საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლი-ტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწი-ფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის განსახორციე-ლებლად განისაზღვრება, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პი-რის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩამდენს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხ.). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი სა-ხეა სამშენებლო სამართალდარღვევა – სამშენებლო სამუშაოე-ბის უნებართვოდ განხორციელება. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი უნებართვო მშენებლობისა და რეკონსტრუქციის წარმოებისათვის სათადანო სანქციას – და-ჯარიმებას ან/და უნებართვო მინაშენის დემონტაჟს ითვალისწი-ნებს (25.9 მუხ.), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დამრღვევისათვის სახდელის დაკისრება არ ხდება დაუყოვნებლივ, გადაცდომის აღ-მოჩენისთანავე, ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას

იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით (25.2 მუხ.), მითითებით სავარაუდო დამრღვევს განესაზღვრება ვადა განხორციელებული ქმედების მართლზომიერების დასადასტურებლად ან დარღვევის გამოსასწორებლად (მე-15 მუხ., „ლ“ ქ.პ.), მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონმებს დამრღვეს, რაზედაც დგება შემონმების აქტი. შემონმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების შესრულებასთან მიმართებით (25.5 მუხ.), უკეთუ შემონმების აქტში დაფიქსირდა დარღვევა – მითითების პირობების შეუსრულებლობა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას პირისათვის სახდელის დაკისრების შესახებ (25.9 მუხ.), ამასთანავე, სამართალდარღვევა გამოსწორებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მითითებით განსაზღვრული ვადის ამონურვის მიუხედავად, სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოცემამდე დამრღვევი აღმოფხვრის სამართალდარღვევას (25.7 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა აღნიშნულ ნორმათა დაცვით, ვ. დ-ას განესაზღვრა ვადა დარღვევის გამოსასწორებლად, განემარტა დარღვევის გამოუსწორებლობის სამართლებრივი შედეგები. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ ორგანოს ქმედებები მიზნად ისახავდა ვ. დ-ას დაჯარიმებას, არ არის დასაბუთებული. გასათვალისწინებელია, რომ ვ. დ-ას არ განუცხადებია დარღვევის გამოსწორებისათვის დადგენილი ვადის არასაკმარისობაზე და არ დაუწყია მოქმედებები დარღვევის აღმოსაფხვრებულ უფრო მეტიც, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ჩატარებულ ზეპირ სხდომაზე ვ. დ-ამ დაადასტურა ქმედებების მის მიერ განხორციელება, თუმცა აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოები ემსახურებოდა სახლის გამაგრებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საიპ ზედამხედველობის სამსახურის მიერ მითითება შედგა 31.03.2015წ., ხოლო დადგენილება სახდელის დაკისრების შესახებ მიღებულ იქნა 02.06.2015წ., ამ თვეების მანძილზე ვ. დ-ას ჰქონდა სამართალდარღვევის გამოსწორების ან მინაშენის დემონტაჟის დაუშვებლობის შესახებ მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა. ასეთი მტკიცებულებები არც ადმინისტრაციულ ორგანოში და არც სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატამ სადავო აქტები ბათილად ცნო სასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალა მინაშენის დემონტაჟის სახლის მდგრადობაზე

ზეგავლენის გამოკვლევა. სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალნარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საწყისებზე, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წარმოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები, მხარეები თავად განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამდენად, მხარეებს აქვთ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თანაბარი საპროცესო საშუალებები. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს (სსკ-ის 102.1 მუხ.). მართალია სასამართლოს მტკიცებულებებს წარუდგენენ მხარეები (სსკ-ის 103.1 მუხ.), თუმცა სასამართლო ახდენს მტკიცებულებათა შეფასებას საქმარისობისა და სათანადოობის თვალსაზრისით, ამასთანავე, სასამართლო აღჭურვილია შესაძლებლობით შესთავაზოს მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა (სსკ-ის 103.1 მუხ.), მით უფრო ადმინისტრაციულ პროცესში, რომელშიც მოქმედი ინკვიზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარდგენის საჭიროების შესახებ (სასკ-ის მე-4 მუხ.). მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგებ მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. განსახილველ შემთხვევაში სადაც აქტების კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევით გამოცემას, დემონტაჟის შემთხვევაში შენობის დანგრევას მოსარჩელე ასაბუთებს მხოლოდ სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულების, წერილობითი დოკუმენტის არარსებობის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო სადაც აქტები. იმის გამოსაკვევად თუ რამდენად საფუძვლიანია მოსარჩელის მოსაზრება მიშენების დემონტაჟის შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის დანგრევის გამოწვევის შესაძლებლობის შესახებ, სააპელაციო პალატამ მხოლოდ მოსარჩელის განცხადება აღნიშნულის თაობაზე საკმარისად მიიჩნია სადაც აქტების გასაუქმებლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკლევია საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტობრივი გარემოება და სასამართლო წარმოების ფარგლებში ვერ ხერხდება სადაც ფაქტობრივი გარემოების დადგენა ან მისი დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. განსახილველ შემთხვევაში მსგავსი წინაპირობების არსებობა სააპელაციო პალატას სარწმუნოდ არ დაუსაბუთებია. სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებების დადასტურების მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრება, არ არის დასაბუთებული, სასკ-ის მე-17 მუხლის დანაწესი სრულად არ ათავისუფლებს მოსარჩელეს სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცების ვალდებულებისაგან. უკეთუ მინაშენის დემონტაჟი საფრთხეს უქმნის სახლის დანარჩენი ნაწილის მდგრადობას, აღნიშნული მოსარჩელეს სათანადოდ უნდა დაედასტურებინა, ამ გარემოებაზე მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება არ ქმნის ამ გარემოების დადგენილად მიჩნევის ან ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახლა გამოკვლევის დავალების საფუძველს, რადგან აღნიშნული გარემოების დადასტურება/უარყოფა შესაძლებელი იყო თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი ან სასამართლოს მიერ მოძიებული მტკიცებულებების მეშვეობით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ვ. დ-ას მოსაზრებას, რომ ზედამხედველობის სამსახურისათვის (ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2018წ. №28-94 დადგენილებით მისი უფლებამონაცვლის – მუნიციპალური ინსპექციისათვის) ცნობილი იყო 2011 წელს დაწყებული მშენებლობის შესახებ, საფუძველს მოკლებულია მოსაზრება დარღვევის აღმოჩენიდან 4 წლის შემდეგ დაჯარიმების დაუშვებლობის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიძებნება აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, გარდა ამისა, სამშენებლო სამართალდარღვევა არის განგრძობადი, ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.13 მუხლის მოთხოვნის დარღვევა. 25.13 მუხლის თანახმად, ოქმის შედგენიდან ორი თვის გადაში უნდა შედგეს დადგენილება დაჯარიმების შესახებ, შესაძლებელია საქმის განხილვის ვადის გაგრძელება არაუმეტეს ორი თვის ვადით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.2 მუხლის შესაბამისად, 31.03.2015წ. შედგა №000176 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცდლიანი ვადა ობიექტის (ამოშენების და მიშენების) დემონტაჟისათვის ან სანებართვო დოკუმენტაციის წარმოდგენისათვის. 23.04.2015წ. 25.5 მუხლის საფუძველზე შედგა შემოწმების

აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. ადმინისტრაციული სარჩელის განხილვისას ვ. დ-ამ და-ადასტურა მისთვის მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარების ფაქტი. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.06.2015წ. №000176 დადგენილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექ-სის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე საცხოვრებელი სახლის ნინა ფა-სადის მხარეს პირველ სართულზე სივრცის ამოშენების, ხოლო გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე ფართის მიშენების გამო ვ. დ-ა დაჯარიმდა რვა ათასი ლარით, მასვე დაევალა ქ. თბი-ლისში, ...ის ქ. №45-ში, ს.კ. ... უნებართვოდ განხორციელებული სამ-შენებლო სამუშაოების დემონტაჟი, კერძოდ, საცხოვრებელი სახ-ლის წინა ფასადის მხარეს 1-ელ სართულზე განხორციელებული ამოშენების, ხოლო გვერდითი ფასადის მხარეს ორივე სართულზე მიშენებული ფართის დემონტაჟი.

სააპელაციო სასამართლოს მითითება ვ. დ-ას მძიმე ფინანსურ და ჯანმრთელობის მდგომარეობის, მსგავსი კატეგორიის მოქალა-ქების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მომეტებული მზრუნველო-ბის საჭიროების შესახებ აგრეთვე არ ასაბუთებს სასკ-ის 32.4 მუხ-ლის გამოყენების წინაპირობების არსებობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მი-ხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თა-ნაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, რაც გამოიხატება მაგ.: სახელმწიფოს მიერ შრომის უსაფრთხოების პირობების დადგენა-ში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალურ დახმა-რებაში, მათთვის სხვადასხვა შეღავათობის დაწესებაში, ჯანდაც-ვის განვითარებისთვის პირობების შექმნაში, სამედიცინო მომსა-ხურების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში და სხვ.. სა-ხელმწიფოს მიერ მოქალაქეთა სოციალური დაცვა, სათანადო სა-ჭიროების მქონე მოქალაქეებისათვის დახმარების განევა არ გუ-ლისხმობს მათ მიერ ბრალეული გადაცდომის ჩადენის შემთხვევა-ში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან სანქციის შემსუ-ბუქების სავალდებულობას. სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ დადგენას საჭიროებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობა, არ არის დასაბუთებული, მით უფრო, რომ სააპელაციო პალატა თავადვე ადასტურებს ჩადენილი სამშენე-ბლო სამართალდარღვევისათვის კანონმდებლობით კონკრეტული სანქციის გათვალისწინებას, რაც არ იძლევა ჯარიმის მინიმუმის ან მაქსიმუმის განსაზღვრის შესაძლებლობას. სააპელაციო პალატა

ვერ უთითებს კანონმდებლობით განსაზღვრული (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწ.) პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი რომელიმე კონკრეტული გარემოების არსებობაზე. ამასთანავე, უკეთუ არსებობს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამომრიცხავი გარემოებები, აღნიშნული სავარაუდო სამართალდარღვევამა უნდა დაადასტუროს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი პირს დაედება იმ ნორმატიული აქტით დანესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია კონკრეტული სახდელი, რამე დიაზაზონს , რომლის ფარგლებშიც დავის თავისუბურებების გათვალისწინებით, ორგანოს ექნება ჯარიმის კონკრეტული ოდენობის შერჩევის შესაძლებლობა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი არ ითვალისწინებს. გ. დ-ას სახდელი შეფარდებული აქვს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომელიც სანქციის შეფარდებისას ორგანოს დისკრეციას გამორიცხავს, რადგან ნორმით დადგენილია კონკრეტული სახდელი – 8000 ლარი. ამდენად, სააპელაციო პალატის მითითება შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობის გარკვევის აუცილებლობაზე თავის მხრივ საჭიროებდა იმის აღნიშვნას, თუ რა მნიშვნელობა აქვს შემამსუბუქებელ გარემოებებს კანონით ზუსტად განსაზღვრული სანქციის პირობებში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დარღვევის მცირე მნიშვნელობის და პირის მიმართ შეფარდებული სანქციის არაადეკვატურობის დადგენის შემთხვევაში, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა სადაცო სამართალურთიერთობის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობაზე, რომლის თანახმად მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული მოწესრიგება ზოგადია ყველა სამართალდარღვევისათვის. მართალია სამშენებლო სამართალდარღვევები ცალკე კანონებითაა მოწესრიგებული, თუმცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემული მოწესრიგება არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული სპეციალურ კანონმდებლობაში, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში. ზოგადი წესი, რომელიც მცირე მნიშვნელო-

ბის სამართალდარღვევას აწესრიგებს, ვრცელდება ყველა სახის სამართალდარღვევაზე, თუ ისინი სპეციალური კანონით არ არის სხვაგვარად მოწესრიგებული, მათ შორის სამშენებლო კანონმდებლობით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საქმის მასალების მიხედვით, ვ. დ-ა სსიპ ვეტერანების სახელმწიფო სამსახურის აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, №0317502 ცნობის თანახმად, ვ. დ-ა 02.11.2016 წ. შემოწმდა და დაუფიქსირდა შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა. „ადმინისტრაციული სახდელი-საგან გათვალისუფლების შესახებ“ 18.09.2019 წ. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისა და საურავისაგან, თავისუფლდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერნები („დ“, „ე“ ქვ.პ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასათვალისწინებელია სადაც სამართალურთიერთობის მიმართ, ვ. დ-ასთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში, კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება. ამასთანავე, არ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი, რადგან სადაც აქტი საჯარიმო თანხის დაკისრების გარდა მოიცავს დემონტაჟის ნაწილსაც.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევა შესაძლებელს გახდიდა სადაც საკითხის არსებითად გადაწყვეტას. სააპელაციო პალატას, მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სრულად უნდა გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მოეხდინა სწორი სამართლებრივი შეფასება. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა არ უთითებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვან რაიმე ისეთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა იქნეს დადგენილი საქმის ხელახლი განხილვისა და რომლის დადგენაც სასამართლო განხილვის ფარგლებში შეუძლებელია ან განსაკუთრებულ სირთულესთან არ არის დაკავშირებული. ამასთანავე, დავის სამართლებრივი ასპექტი, სასამართლოს მოსაზრება სადაც სამართალურთიერთობის გადაჭრის სამართლებრივი საფუძვლის, გამოსაყენებელი ნორმის შესახებ არ ქმნის სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის პირობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმ-

დენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილებს გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ მოახდინა მათი სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლე) საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.02.2017 გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## პესიონერზე დაკისრეპული ჯარიმის გაუქმების საფუძველი

გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ბს-468-465(კ-17) 21 იანვარი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

ჟ. ტ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მე-  
რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ ქ. თბილი-  
სის მერიის 10.11.2015წ. №726 ბრძანების ბათილად ცნობის მოთ-  
ხოვნით. დაზუსტებულ სარჩელში ჟ. ტ-მა მოპასუხებად დაასახე-  
ლა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და ქ. თბილისის მუნიცი-  
პალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, მო-  
სარჩელებ მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზე-  
დამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. №000265  
დადგენილებისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოად-  
გილის 10.11.2015წ. №726 ბრძანების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1980-იან წლებში სახლის ძველი მე-  
საკუთრის მიერ მოეწყო მავთულბადის ღობე. 2015წ. მის სახელზე  
გაიცა მითითება და მიეცა 10 დღე სანებართვო დოკუმენტაციის  
ნარსადგენად ან დემონტაჟის განსახორციელებლად. ამ ვადის გას-  
ვლის შემდგომ ზედამხედველობის სამსახურმა საქმის განხილვის  
ვადა გააგრძელა 2015 წლის 13 სექტემბრამდე. ამ პერიოდში მო-  
სარჩელე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის გზით  
ცდილობდა მინის ნაკვეთზე საკუთრების მოპოვებას, პარალელუ-  
რად დაიწყო ღობის დემონტაჟი. სამართალდარღვევის გამოსწო-  
რების ვადის გაცდენის თავიდან აცილების მიზნით 11.09.2015წ. ჟ.  
ტ-ი დაუკავშირდა ზედამხედველობის სამსახურს და აცნობა, რომ  
დემონტაჟი დაწყებული იყო და დღის ბოლომდე დაასრულებდა.  
აღნიშნულის მიუხედავად 11.09.2015წ. დაახლოებით 15:00 სთ-ზე

ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლები გამოცხადნენ ობიექტზე და დაადგინეს მითითების შეუსრულებლობა, მათ არ გაითვალისწინეს, რომ მხოლოდ რამდენიმე ბოძი იყო მოსაშლელი და მოსარჩელეს დღის ბოლომდეც არ მისცეს ვადა დემონტაჟის დასასრულებლად. მოსარჩელემ მაინც დაასრულა ღობის დემონტაჟი და აღნიშნულის ამსახველი ფოტოსურათები წარადგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, რათა მითითებული ფაქტი გათვალისწინებული ყოფილიყო საჩივრის განხილვისას. სამართალდარღვევის გამოსწორებს მიუხედავად მერიამ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაემაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. მოსარჩელე უთითებს, რომ სამართალდარღვევის გამოსწორების ვადა იწურებოდა 13.09.2015წ., ამ მომენტამდე იგი სრულად შეძლებდა დარღვევის გამოსწორებას, თუმცა მისი შემოწმება მოხდა დადგენილ ვადაზე 2 დღით ადრე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.02.2016წ. გადაწყვეტილებით ქ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. ტ-ის მიმართ 29.04.2015წ. შედგა №000265 მითითება ქ. თბილისში, ...ს ქ. №26ბ-ს მიმდებარედ უნებართვოდ მსუბუქი კონსტრუქციის: ლითონის ბოძებისა და მავთულბადის ღობის მოწყობის გამო, სამართალდარღვევის გამოსასწორებლად: სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან ნაგებობის დემონტაჟისათვის უ. ტ-ს განესაზღვრა 10 დღის ვადა. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის მიერ 13.05.2015წ. შედგა №000265 შემოწმების აქტი, რომელშიც დაფიქსირდა 29.04.2015წ. მითითების შეუსრულებლობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 13.07.2015წ. №4-3/81-გ/15 ბრძანებით, 29.04.2015წ. მითითების საფუძველზე უ. ტ-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდართვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ორი თვით, 2015 წლის 13 სექტემბრამდე. 11.09.2015წ. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს უ. ტ-ის შემოწმება, სპეციალისტის მოხსენებითი ბარათის მიხედვით დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა ნაწილობრივი შესრულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. №000265 დადგენილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უ. ტ-ი დაჯარიმდა 10 000 ლარით ქ. თბილისში, ...ს ქ. №26ბ-ს მიმდებარედ მსუბუქი კონსტრუქციის: ლითონის ბოძებისა და მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობისთვის, ამავე

დადგენილებით ჟ. ტ-ს დაევალა უკანონო ნაგებობის დემონტაჟი. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. დადგენილება ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა ჟ. ტ-ს მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწყებული პქონდა ნაგებობის დემონტაჟი და მიცემულ ვადაში შეძლებდა მის სრულ დასრულებას, თუმცა შემონმების ორი დღით ადრე განხორციელების გამო არ მიეცა მითითების პირობების სრულად შესაძლებლობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 10.11.2015წ. №726 ბრძანებით ჟ. ტ-ს ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 3.47, მე-4, 33-ე, 36-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაობის განხორციელება, მათ შორის ნაგებობის განთავსება დაიშვება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 14.2, მე-15, 44-ე მუხლებზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ჟ. ტ-ი 1980 წლიდან ფლობს და სარგებლობს იმ მიწის ნაკვეთით, სადაც სათანადო ნებართვის გარეშე მოეწყო ღობე, შესაბამისად, ლობის მომწყობი სუბიექტის ვინაობის მიუხედავად, შესაძლოა ჟ. ტ-ის, როგორც ნაკვეთით მოსარგებლის, მიჩნევა სამართალდამრღვევად. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 და მე-14 ნაწილების საფუძველზე სასამართლომ მიუთითა, რომ შემონმების აქტის შედგენიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება, თუმცა საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა არაუმეტეს 2 თვით. სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილების მიღების ვადა განსაზღვრულია მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის, რომელსაც სათანადო წინაპირობების არსებობისას შეუძლია აღნიშნული ვადის გაგრძელება. ამდენად, ვინაიდან ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანებით ხდება ადმინისტრაციული წარმოების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოს მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება, შესაბამისად, ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანება განკუთვნილია მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის. განსახილველ შემთხვევაში მართალია ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 13.07.2015წ. ბრძანებით გაგრძელდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ვადა 2015 წლის 13 სექტემბრამდე, თუმ-

ცა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს არ ეკრძალებოდა დადგენილების 2015 წლის 13 სექტემბრამდე გამოცემა. საქმის მასალების მიხედვით 29.04.2015წ. მითითებით ჟ. ტ-ს მიეცა 10 დღე დარღვევის გამოსასწორებლად, ხოლო 13.05.2015წ. დაფიქსირდა მითითების შეუსრულებლობა. საკანონმდებლო მოწესრიგებიდან გამომდინარე, მითითებისა და შემოწმების აქტების გამოცემის შემდეგ უფლებამოსილი ორგანო იღებს დადგენილებას სამართალ-დამრღვევისათვის სახდელის დაკისრების შესახებ. ცალსახაა, რომ მითითებით განსაზღვრულ ვადაში მოსარჩევეს დარღვევა არ გამოუსწორებია, ობიექტი არ იყო პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანილი აგრეთვე 11.09.2015წ.. სასამართლო ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 11.09.2015წ. იყო საპროცესო ვადის უკანასკნელი დღე, მომდევნო თარიღები: 12 და 13 სექტემბერი იყო შაბათ-კვირა, დასვენების დღეები, შესაბამისად, ორგანო ვერ შეძლებდა რაიმე აქტის მიღებას, რაც ადასტურებს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ საკითხზე მსჯელობას დადგენილ მაქსიმალურ ვადაში. ჟ. ტ-ს საკმარისი დრო ჰქონდა დარღვევის გამოსასწორებლად. ამდენად, სასამართლო მიიჩნია, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. დადგენილება, ისევე როგორც ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 10.11.2015წ. ბრძანება მართლზომიერია და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 18.02.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ჟ. ტ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.02.2017წ. განჩინებით ჟ. ტ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჟ. ტ-მა სასამართლოში ვერ წარადგინა სადაც აქტების გამოტანის პროცესში ნორმატიული მოთხოვნების დარღვევის დამდგენი მტკი-ცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.02.2017წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ჟ. ტ-ის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ დარღვევის გამოსწორების ვადა ჰქონდა 2015 წლის 13 სექტემბრამდე, თუმცა შემოწმება განხორციელდა 2 დღით ადრე – 11.09.2015წ.. შემოწმების მომენტისათვის კასატორს დემონტირებული ჰქონდა ღობის უმეტესი ნაწილი და დღის ბოლომდე აპირებდა დემონტაჟის დასრულე-

ბას, თუმცა ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა არ მისცეს ამის საშუალება. უ. ტ-ს სჯეროდა, რომ 2015 წლის 13 სექტემბრამდე ჰქონდა ვადა დარღვევის გამოსასწორებლად. კასატორი აღნიშნავს, რომ დასჭირდა ტექნიკის დაქირავება ღობის სრულად მოსამლელად, რაც საჭიროებდა დროსა და შესაბამის მატერიალურ ხარჯს. კასატორი თვლის, რომ მისთვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა დაუსაბუთებლად მაღალია, ამასთანავე, ღობე არ არის მოწყობილი მის მიერ და მხოლოდ მიმდებარე ნაკვეთით სარგებლობა არ შეიძლება გამხდარიყო უ. ტ-ისათვის ჯარიმის დაკისრების საფუძველი. ადმინისტრაციულ ორგანოებს სადაცოდ არ გაუხდიათ ღობის სიძველე, შესაბამისად მათი მოთხოვნა არის ხანდაზმული.

დავის საკასაციო სასამართლოში განხივლისას, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.09.2018წ. №28-94 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 12.06.2018წ. №20-67 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულება“ (მე-2 მუხ.) და დამტკიცდა ახლადშექმნილი მუნიციპალური ინსპექციის დებულება (1-ლი მუხ.). აღნიშნული დებულების მიხედვით, სწორედ მუნიციპალური ინსპექციის კომპეტენციად სახელდება სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, სათანადო სანქციების დაკისრება (2.2 მუხ. „ა“ ქვ.პ.), საზედამხედველო ობიექტში სამშენებლო და სხვა სახის ნორმების დაცვასა და შესრულებაზე კონტროლი, დარღვევის აღმოფენის ღონისძიებებისა და ვადების განსაზღვრის, მითითების გაცემის, კანონდარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო დადგენილების მიღების, პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილება (3.1 მუხ. „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“ ქვ.პ.). ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლაბამონაცვლეა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განწინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების კანონიერების შემოწმების შედეგად თვლის, რომ უ. ტ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ

ჟ. ტ-ის მიმართ 29.04.2015წ. შედგა მითითება ქ. თბილისში, ...ეს ქ. №26ბ-ს მიმდებარედ უნებართვოდ მსუბუქი კონსტრუქციის – ლი-თონის ბოძებისა და მავთულბადის ღობის მოწყობის გამო. სამარ-თალდარღვევის გამოსასწორებლად: სანებართვო დოკუმენტაცი-ის წარსადგენად ან ნაგებობის დემონტაჟისათვის უ. ტ-ს განესაზ-ლვრა 10 დღის ვადა. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სპეციალისტის მიერ 13.05.2015წ. შედგა №000265 შემოწმების აქ-ტი, რომელშიც დაფიქსირდა 29.04.2015წ. მითითების შეუსრულებ-ლობა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 13.07.2015წ. №4-3/81-გ/15 ბრძანებით 29.04.2015წ. მითითების საფუძველზე უ. ტ-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდართვევის საქმის განხილვის ვადა გაგ-რძელდა ორი თვით, 2015 წლის 13 სექტემბრამდე. 11.09.2015წ. ზე-დამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა განა-ხორციელეს უ. ტ-ის შემოწმება, სპეციალისტის მოხსენებითი ბა-რათის მიხედვით დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა ნაწილობ-რივი შესრულება. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამ-ხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. №000265 დადგე-ნილებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცე-ვის კოდექსის 44.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უ. ტ-ი და-ჯარიმდა 10 000 ლარით, ქ. თბილისში, ...ს ქ. №26ბ-ს მიმდებარედ მსუბუქი კონსტრუქციის: ლითონის ბოძებისა და მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობისთვის, ამავე დადგენილებით უ. ტ-ს დაევალა უკანონო ნაგებობის დემონტაჟი.

საკასაციო პალატა აღინიშნავს, რომ „მშენებლობის წებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართვე-ლოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილების 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მშენებლობის განხორციელების სამარ-თლებრივი საფუძველია კანონმდებლობით დადგენილი წესით მშე-ნებლობის წებართვის მიღება. წებართვის გარეშე მშენებლობის წარმოება განიხილება უნებართვო მშენებლობად, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი ადმინისტრა-ციული პასუხისმგებლობა. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავი-სუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის სადაცო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, უნებართვო მშენებლობის წარმო-ება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონა-ში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთ-რებული რეჟიმი, ტყვის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემ-კვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზო-ნებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენო-

ბა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე გამოიწვევს დაჯარიმებას – 10 000 ლარის ოდენობით, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე – 8000 ლარით. მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირებას ახდენს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილება (1.1 მუხ.). მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად (3.43 მუხ.). მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით ნორმატიულად გათვალისწინებულია კომპლექსური პროცედურები, ადმინისტრაციულ ორგანოში დაინტერესებული მხარის მიერ რიგი დოკუმენტაციის, მათ შორის არქიტექტურული პროექტის, წარდგენის ვალდებულება, თუმცა 24.03.2009წ. №57 დადგენილება პირველი კლასის მშენებლობასთან მიმართებით სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვების განსხვავებულ, გამარტივებულ წესს ითვალისწინებს. საქართველოს მთავრობის 24.03.2009წ. №57 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ 19.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, I კლასის შენობა-ნაგებობები მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებენ, თუმცა მშენებლობის მნარმოებელი პირი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები (66.1 მუხ.), მან განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით უნდა აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს (66.2 მუხ.), რომელიც 5 დღის ვადაში წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას (66.7 მუხ.). აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა განიხილება უნებართვო მშენებლობად (66.10 მუხ.). მართალია კანონმდებლობა I კლასის ნაგებობას არ მიაკუთვნებს ისეთი მნიშვნელობის მქონე ობიექტს, რომლის მშენებლობაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიებისა და კომპლექსური პროცედურების გავლას, თუმცა მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების გარეშე მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, კანონმდებელი აღნიშნულ ქმედებას უნებართვო მშენებლობას უტოლებს და ამით კოდექსის 44-ე მუხლის რეგულირების სფეროში აქცევს. განსახილველ შემთხვევაში სადავო დადგენილება მიღებულია სწორედ პირველი კლასის შენობა-ნაგებობის – მავთულბადის ღობის (№57 დადგენილების 65.1 მუხ. „გ“ ქვ.პ.) უნებართვოდ მოწყობის ფაქტზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უნებართვო მშენებლობის

გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მიზნით უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს საზედამხედველო წარმოებას. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი უნებართვო მშენებლობის წარმოებისათვის სათანადო სანქციას – დაჯარიმებას ან/და უნებართვო ნაგებობის დემონტაჟს ითვალისწინებს (25.9 მუხ.), თუმცა მნიშვნელოვანია, რომ დამრღვევისათვის სახდელის დაკისრება არ ხდება დაუყოვნებლივ, გადაცდომის აღმოჩენისთანავე, ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით (25.2 მუხ.), მითითებით საგარაუდო დამრღვევს განესაზღვრება ვადა განხორციელებული ქმედების მართლზომიერების დასადასტურებლად ან დარღვევის გამოსასწორებლად (მე-15 მუხ., „ლ“ ქვ.პ.), მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამონტებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემონტების აქტი. შემონტების აქტში აისახება ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების შესრულებასთან მიმართებით (25.5 მუხ.), უკეთუ შემონტების აქტში დაფიქსირდა დარღვევა – მითითების პირობების შეუსრულებლობა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას პირისათვის სახდელის დაკისრების შესახებ (25.9 მუხ.), ამასთანავე, სამართალდარღვევა გამოსწორებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მითითებით განსაზღვრული ვადის ამონტურების მიუხედავად, სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოცემამდე დამრღვევი აღმოფხვრის სამართალდარღვევას (25.7 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა აღნიშნულ ნორმათა დაცვით, უ. ტ-ის მიმართ 29.04.2015წ. შედგა მითითება ლითონის ბოძებისა და მავთულბადის ღობის უნებართვოდ მოწყობის გამო, სამართალდარღვევის გამოსასწორებლად: სანებართვო დოკუმენტაციის წარსადგენად ან ნაგებობის დემონტაჟისათვის უ. ტ-ს განესაზღვრა 10 დღის ვადა, 13.05.2015წ. შედგა შემონტების აქტი, რომელშიც დაფიქსირდა მითითების შეუსრულებლობა, რასაც ნორმატიულად განსაზღვრული პროცედურის მიხედვით უნდა მოჰყოლოდა სამართალდამრღვევისათვის სანქციის დაკისრების შესახებ დადგენილების გამოცემა, თუმცა აღნიშნული არ განხორციელდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 13.07.2015წ. ბრძანებით, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.13 მუხლის შესაბამისად, უ. ტ-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდართვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ორი თვით, 2015

ნლის 13 სექტემბრამდე. 11.09.2015წ. ზედამხედველობის საქალა-  
ქო სამსახურის თანამშრომლებმა მოახდინეს ობიექტის შემოწმე-  
ბა, დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა ნაწილობრივი შეუსრუ-  
ლებლობა, ამავე დღეს – 11.09.2015წ. მიღებულ იქნა დადგენილე-  
ბა ჟ. ტ-ის სამართალდამრღვევად ცნობის და შესაბამისი სახდე-  
ლის დაკისრების შესახებ.

სამართალდამრღვევად ცნობისა და სახდელის დაკისრების შე-  
სახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის  
საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. დადგენილებას მოსარჩელე სა-  
დავოდ ხდის ძირითადად იმ საფუძვლით, რომ სამართალდარღვე-  
ვის საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ორი თვით – 2015 წლის 13  
სექტემბრამდე, შესაბამისად, მას ამ თარიღამდე ჰქონდა სამარ-  
თალდარღვევის გამოსწორების უფლება, თუმცა მისი შემოწმება  
განხორციელდა ვადაზე ადრე – 11.09.2015წ., რითაც მოესპო ღო-  
ბის სრული დემონტაჟის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამარ-  
თლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებას, რომ  
საქმის განხილვის ვადის გაგრძელება განხორციელდა მხოლოდ ად-  
მინისტრაციული ორგანოსათვის და აღნიშნავს, რომ არა მხოლოდ  
კანონმდებლობა, არამედ საჯარო უფლებამოსილების განმახორ-  
ციელებელი სუბიექტის – ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედე-  
ბები უნდა იყოს თანმიმდევრული და განტვრეტადი. პირს წინასწარ  
უნდა ჰქონდეს თავისი ქმედებების სამართლებრივი შედეგების გან-  
საზღვრის გონივრული შესაძლებლობა. სამართლებრივი უსაფ-  
რთხოების უზრუნველყოფა სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელო-  
ვანესი ფუნქციათაგანია. განსაზღვრული სამართლებრივი რეგუ-  
ლირება უზრუნველყოფს სოციალური ურთიერთობების პროგნო-  
ზირებად ხასიათს. ნორმის ადრესატების მოლოდინი ქცევის შე-  
საძლო მოდულის შესახებ უნდა იყოს სტაბილური. ნორმატიული  
მოწესრიგების შედარებითი ბუნდოვნება ნარმოშობს სამართალ-  
შემფარდებელი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას მი-  
ანოდოს დაინტერესებულ პირს ნორმის ინტერპრეტაციასთან და-  
კავშირებული განმარტებები, მით უფრო თუ აღნიშნული უშუალო  
გავლენას ახდენს პირისათვის სახდელის შეფარდების წესსა და  
პროცედურაზე. განსახილველ შემთხვევაში ჟ. ტ-ს მიეცა მითითე-  
ბა, მითითების აღსრულება შემოწმდა, თუმცა ჟ. ტ-ი არ დაჯარიმ-  
და, ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის განხილვის ვადის გაგ-  
რძელების შესახებ, რითაც მოსარჩელეს ჩამოუყალიბდა გონივრუ-  
ლი მოლოდინი, რომ გაგრძელებული ვადის დასრულებამდე მისი  
დაჯარიმება არ მოხდებოდა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-  
რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ვალდებულია შე-

მოწმების აქტის შედგენიდან ორი თვის ვადაში სამშენებლო სა-  
მართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის გან-  
მხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული  
საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა არა უმეტეს ორი  
თვით. მოცემულ შემთხვევაში, ორგანოს არ განუმარტავს საქმის  
განხილვის ვადის გაგრძელების სამართლებრივი შინაარსი, ვადის  
დასრულებამდე ჟ. ტ-ის შემოწმების შესაძლებლობა, ამასთანავე,  
ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუსაზღვრავს ორთვიანი ვადი-  
საგან განსხვავებული კონკრეტული, სპეციალური ვადა დარღვე-  
ვის გამოსასწორებლად, საქმის განხილვის ვადის გაგრძელების შე-  
სახებ 13.07.15წ. №4-3/81-გ/15 ბრძანებაში მიეთითა ადმინისტრა-  
ციული წარმოების გაგრძელებული ორთვიანი ვადის ათვლის  
(13.07.2015წ.) და ამონურვის ზუსტი თარიღი (13.09.2015წ.), რამაც  
წარმოშვა გონიერული ვარაუდი, რომ ჟ. ტ-ს მიეცა დამატებით ორი  
თვე ლითონის ბოძებისა და მავთულბადის ლობის დემონტაჟისათ-  
ვის, წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია ორგანოს მიერ საქ-  
მის განხილვის ვადის გაგრძელების, დარღვევის გამოსწორების მი-  
თითებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ სა-  
მართალდარღვევის შესახებ დადგენილების გამოცემის გადავადე-  
ბის საფუძველი. ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანება გამოიცა  
04.06.2015წ. სხდომაზე ჟ. ტ-ის მიერ დამატებითი ვადის მიცემისა  
და საკითხის განხილვის გადადების შესახებ შუამდგომლობის დას-  
მის შემდეგ, 13.07.2015წ. №4-3/81-გ/15 ბრძანებაში არ არის მითი-  
თებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვა-  
დის გაგრძელების მიზეზი, რაიმე გამოსარკვევი გარემოება. გასა-  
თალისწინებელია აგრეთვე, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და  
თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25.13 მუხლი ითვალისწინებს  
საქმის განხილვის ვადის არაუმეტეს ორი თვით გაგრძელების შე-  
საძლებლობას, რაც არ გულისხმობს ვადის გაგრძელებას ყოველ-  
თვის ორი თვით, ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველი საქ-  
მის ფაქტობრივი გარემოებებისდა მიხედვით შეუძლია შეარჩიოს  
საქმის წარმოების ვადის გაგრძელების კონკრეტული, მიზანშეწო-  
ნილი პერიოდი, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს ორ თვეს. განსა-  
ხილველ შემთხვევაში „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე-  
ზე განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ“ 13.07.2015წ. ბრძანე-  
ბაში აღნიშნულია, რომ საქმის განხილვის ვადა გაგრძელდა ზუს-  
ტად ორი თვით – 2015 წლის 13 სექტემბრამდე, ბრძანება არ შეი-  
ცავს მითითებას უფრო ნაკლებ ვადაზე ან განუსაზღვრელ პერი-  
ოდზე, საქმის განხილვის ვადა არ გაგრძელებულა ორ თვემდე ვა-  
დით, წარმოების ვადის გაგრძელება მოხდა ზუსტად განსაზღვრულ  
თარიღამდე, შესაბამისად, სავარაუდო სამართალდამრღვევს წარ-

მოეშვა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ აღნიშნული ორთვიანი ვა-დის ამონურვის ბოლო დღემდე არ მოხდებოდა მისი შემონმება ან სახდელის დაკისრება. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუ-ფალი მიმოქცევის კოდექსის 25.7 მუხლის თანახმად, თუ მითითე-ბა დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოს-წორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პა-სუხისმგებლობისაგან, ამდენად, გაგრძელების შესახებ ბრძანება ეხება არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს, არამედ მითითე-ბის ადრესატს, მით უფრო, რომ „სამშენებლო სამართალდარღვე-ვის საქმეზე განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ“ 13.07.2015წ. ბრძანების 1-ელ პუნქტში პირდაპირ მიეთითა, რომ ჟ. ტ.-ის მიმართ დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა ორი თვით გაგრძელდა ზედამხედველობის საქალაქო სამსა-ხურის მიერ 29.04.2015წ. №000265 მითითების საფუძველზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მთავა-რი მიზანი არ არის დამრღვევის დასჯა. ადმინისტრაციულ სამარ-თალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამო-ცანას შეადგენს საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომი-კური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებე-ბის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამარ-თალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა. ამ ამოცა-ნის განსახორციელებლად კანონმდებლობა განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა ნარმოადგენს ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდე-ლი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს სამართალდარღვევის ჩამდებნის (ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1-ლი მუხ.). ადმინისტრა-ციულ სამართალდარღვევათა ერთ-ერთი სახეა სამშენებლო სამარ-თალდარღვევა – სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ განხორ-ციელება. ნორმატიულად კონკრეტული დარღვევისათვის სახდე-ლის დაკისრების შესაძლებლობა კანონსაწინააღმდეგო ქმედების პრევენციის ფუნქციას ასრულებს და მიზნად ისახავს შესაძლო დარღვევების თავიდან აცილებას. სახდელის დაკისრების სწორედ აღნიშნული ფუნქციით არის განპირობებული პროდუქტის უსაფ-რთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით სამშენებლო სამართალდარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურის გათ-ვალისწინება, სავარაუდო დამრღვევს უნდა მიეცეს გონივრული, კონკრეტულად განსაზღვრული ვადა გადაცდომის გამოსასწორებ-ლად. უკეთუ პირი დადგენილ ვადაში გამოასწორებს დარღვევას, მისთვის სახდელის დაკისრების წინაპირობა უქმდება, მიუხედა-ვად იმისა, რომ მითითების მიცემისას გადაცდომა სახეზე იყო. სა-

მართალდარღვევის საქმის წარმოება მიმართულია უკვე არსებულ ფაქტზე, ხდება ისეთ ქმედებაზე რეაგირება, რომელიც უკვე ჩადენილია. აღნიშნულის მიუხედავად არ ხდება დამრღვევისათვის სანქციის დაუყოვნებლივ შეფარდება, მოქმედი მოწესრიგების მიხედვით პირს ეძლევა სამშენებლო გადაცდომის გამოსწორების შესაძლებლობა. ამდენად, ცხადია, რომ კანონმდებლის უპირატესი მიზანია არსებული სამართალდარღვევის აღმოფხვრა, მისი გამოსწორება და არა დამრღვევის დასჯა. ამდენად, როდესაც ერთი მხრივ, არ არის ამონურული დარღვევის გამოსწორების ვადა, ხოლო მეორე მხრივ განმეორებითი შემოწმებისას დადგინდა, რომ დემონტაჟი ნაწილობრივ განხორციელებული იყო, ხოლო უ. ტ-ი მზადყოფნას გამოთქვამდა იმავე დღეს დემონტაჟის ნებაყოფლობით დასრულებაზე, გაურკვეველია მისთვის სახდელის დაკისრების დანიშნულება, სადაც დადგენილების მიღების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს, მათ შორის სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, უწევს ორმაგი ფუნქციის შესრულება, ერთი მხრივ იგი არის საჯარო ინტერესების გამტარებელი, სამართალდარღვევაზე რეაგირების განმახორციელებელი, სანქციის დამკისრებელი სუბიექტი, ხოლო მეორე მხრივ მას ეკისრება აქტის ადრესატის ინტერესების დაცვის ვალდებულება. ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ, როგორც საჯარო მმართველობის განმახორციელებელმა სუბიექტმა, უნდა გაითვალისწინოს როგორც საჯარო, ასევე კერძო პირის ინდივიდუალური ინტერესები. ადმინისტრაციულმა ორგანომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა უნდა უზრუნველყოს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, არც ერთი ინტერესის დაცვა არ უნდა მოხდეს მეორე ინტერესის არაპროპორციულად და გაუმართლებლად შეზღუდვის ხარჯზე. ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს საქართველოს სახალხო დამცველის 16.08.2017წ. №04-3/11484 რეკომენდაციაში ასახულ მოსაზრებას ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. №000265 დადგენილების საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლისა და მხედველობაში მიღების გარეშე, უ. ტ-ის უფლებების უგულებელყოფით გამოცემის შესახებ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ საქმის მასალების მიხედვით დასტურდება სადაც მომდგრენი მტკიცებულებები უ. ტ-მა წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც დაუსაბუთებლად არ გაითვალისწინა ისინი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას.

ადმინისტრაციულ საჩივარზე წარმოებას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი, გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი არის ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სრულყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი, იგი იძლევა ადმინისტრაციული ორგანოს სისტემაში დაშვებული შეცდომის შემჭიდროვებულ ვადაში, ქმედითად გამოსწორების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სადავო საკითხის სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას. ამდენად, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ორგანოს მიერ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოების სრული და ყოველმხრივი გამოკვლევა, საჩივრის ავტორის პრეტენზიების შესწავლა, მათზე დასაბუთებული პასუხების გაცემა, სრულყოფილი წარმოების ჩატარება და მხოლოდ ამის შემდგომ წარდგენილ საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანა, რომელშიც აისახება ჩატარებული წარმოების შედეგები. განსახილვები შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა დარღვევის გამოსწორების, უნებართვო ნაგებობის დემონტაჟის დამდგენი მტკიცებულებები, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მერია ნორმათა ციტირებით შემოიფარგლა და მართლზომიერად მიიჩნია უ. ტ-ისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება. ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სადავო აქტი ასევე მოკლებულია სათანადო დასაბუთებას და არ ეფუძნება შესაბამის ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამდღვრებს, რაც მისი ბათილად ცნობის წინაპირობას ქმნის.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას, სადავო აქტების საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე გამოცემის შესახებ და აღნიშნავს, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 14.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით სამშენებლო მინის მესაკუთრეზე ან მოსარგებლებზე კოდექსის მოქმედება ურცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაუდგენელია მშენებლობის მნარმოებელი პირი. განსახილვები შემთხვევაში უ. ტ-ი უთითებდა, რომ ლობე მას არ მოუწყვია, იგი მხოლოდ შემოღობილი ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობდა. უ. ტ-ი აღნიშნავდა, რომ მავთულბადე აგებული იყო 1980-იან წლებში სახლის ძველი მეპატრონის მიერ, რომლისგანაც მან შემდგომში შეიძინა სახლი, მავთულბადით შემოსაზღვრული ნაკვეთი ძველმა მეპატრონემ გადასცა მას, რომლითაც ის სარგებლობდა. საქმის მასალებით არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ რაიმე ზომების მიღება ლობის მომწყობი სუბიექტის დასადგენად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტების მართლზო-

მიერად მიჩნევის შემთხვევაშიც, არ არსებობს ჟ. ტ-ისათვის დაკისრებული სახდელის ძალაში დატოვების საფუძველი, რადგან ერთი მხრივ უნებართვო ნაგებობა დემონტირებულია, ხოლო მეორე მხრივ „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონით დადგინდა ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით ამავე კანონით განსაზღვრული იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან და საურავისგან გათავისუფლება, რომებმაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრობდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა (1-ლი მუხ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სამშენებლო სამართალდარღვევაზე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახეზე, უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული შეღავათი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ღობე მოწყობილია 2015 წლამდე, ხოლო ჟ. ტ-ისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება გასაჩივრებულია და ამდენად, ჯერ არ არის აღსრულებული, ამასთანავე, ჟ. ტ-ი (პ.ნ. ...) დაბადებულია 18.11.1947წ., შესაბამისად იგი საპენსიო ასაკისაა. „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისა და საურავისაგან, თავისუფლდება ამ კანონის ამოქმედების დროისთვის ასაკით პენსიონერი (ქალი – 60 წლის ასაკიდან, მამაკაცი – 65 წლის ასაკიდან) („ბ“ ქ.პ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სადაც სამართალურთიერთობის მიმართ, ჟ. ტ-ისათვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში, კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება, მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, ჟ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, უნებართვო ნაგებობა: რეინის ბოძები და მავთულბადის ღობე დემონტირებულია, ამასთანავე, „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონი გამორიცხავს ჟ. ტ-ისათვის სახდელის სახით დაკისრებული ჯარიმის ძალაში დატოვების შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს ჟ. ტ-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნინაპირობები.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. ტ-ს სახელმწიფო ბაჟის სახით ყველა ინსტანციის სასამართლოში გადახდილი აქვს 550 ლარი. სსკ-ის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მოპასუხე-ებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მოსარჩელის მიერ გადახ-დილი სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწი-ლით, 22-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს:**

1. ქ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 16.02.2017წ. განჩინების გაუქმებით მიღებულ იქ-ნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 11.09.2015წ. №000265 დადგენილება;
5. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მე-რის მოადგილის 10.11.2015წ. №726 ბრძანება;
6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ქ. თბილისის მუ-ნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას დაევალოთ ქ. ტ-ის (პ.ნ...) სასარგებლოდ მის მიერ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სოციალურად დაუცველ პირზე დაკისრებული ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლება

**გადაცვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1164(კ-18)

27 თებერვალი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სამშენებლო სამართლდარღვევისთვის გათვა-  
ლისწინებული სანქციისგან განთავისუფლება

**აღნერილობითი ნაწილი:**

მ. ა-მა 07.07.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სა-  
სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების  
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის მუნიციპა-  
ლიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ და მო-  
ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველო-  
ბის საქალაქო სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილების,  
აგრეთვე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017წ. №1-  
1186 ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-  
თა კოლეგიის 15.12.2017წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმა-  
ყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. ა-ის მიერ საპროექტო  
დოკუმენტაციის გარეშე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული  
შენობის ფასადის რეკონსტრუქციის ფაქტი სადაცო გარემოებას  
არ წარმოადგენდა, აღნიშნული აღიარებული იქნა აგრეთვე თავად  
მ. ა-ის მიერ. უნებართვო შენებლობის წარმოების გამო ქ. თბილი-  
სის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამ-  
სახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილებით მ. ა-ი დაჯარიმდა  
4000 ლარით და დაევალა ქ. თბილისში, ...ას დასახლებაში ს.კ. ...-ზე  
არსებული ნაგებობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. ქ. თბი-  
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017წ. №1-1186 ბრძანე-  
ბით არ დაკმაყოფილდა მ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბი-  
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო  
სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილების ბათილად ცნო-  
ბის თაობაზე. სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის

2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებულ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ მოთხოვნებზე, აგრეთვე პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესზე და აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტები გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, არ დასტურდებოდა მათი ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობა. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ აქტების კანონიერების შემოწმებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მისი ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რის გამოც იჯახი არის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული და იღებს შემწეობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობა, ხოლო სამშენებლო სფეროში მოქმედი კანონმდებლობა მოსარჩელის მიერ მითითებული მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით რაიმე სახის გამონაკლისას არ ითვალისწინებს, შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისას მოსარჩელე მხარის სოციალური მდგომარეობა გათვალისწინებული ვერ იქნებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.12.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.2018წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.2018წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-მა, რომელმაც აღნიშნა, რომ ოჯახს გააჩნია მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რის გამოც იჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას. ვინაიდან არ გააჩნდა საცხოვრებელი, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობაში შესახლდა ოჯახთან ერთად და მათ მიერ დაკავებულ ფართზე არსებული ერთი ფანჯრის ღიობი შეამცირა, ხოლო მეორე ფანჯრის ღიობი გადაკეთა შესასვლელ კარად. ვინაიდან კასატორის მიერ დაკავებულ ფართს არ გააჩნდა ცალკე შესასვლელი კარი, აღნიშნულის გამო კასატორის მიერ ფანჯრის ღიობი გადაკეთდა შესასვლელ კარად, რადგან სხვაგვარად ვერ ახერხებდა სახლში შესვლას, ვინაიდან ყველა მაცხოვრებელმა ამოაშე-

ნა თავისი ფართი და მოაწყეს გარეთ გასასვლელი კარები. აღნიშნულით იყო განპირობებული რეკონსტრუქციის განხორციელება. კასატორი აღნიშნავს, რომ ამოჭრილი კარების გარდა სახლს არ აქვს სხვა შესასვლელი, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკების მიერ არ მომხდარა სახლის შიდა მდგომარეობის დათვალიერება. კასატორი ყურადღებას ამახვილებს სხვა მაცხოვრებლების მიერ უნებართვოდ სარდაფის ამოშენებაზე, გარე მიშენების განხორციელებაზე. მიუხედავად ამისა წინა კორპუსის მაცხოვრებლის საჩივრის საფუძველზე, ყურადღება გამახვილდა მხოლოდ კასატორის მიერ კარების უკანონოდ მოწყობაზე. ოჯახის მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ განაპირობა მის მიერ რეკონსტრუქციის წარმოება, რაც გათვალისწინებული არ იქნა ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას. მითითებული გარემოებების გაუთვალისწინებლობის გამო არსებობს სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

12.02.2020წ. მ. ა-ის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი განცხადება გასაჩივრებული აქტებით განსაზღვრული სანქციის მოხსნის მოთხოვნით, სადაც კვლავ მიუთითა ოჯახის წევრის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, აგრეთვე ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო საჯარიმო თანხის გადახდის შეუძლებლობაზე. აღნიშნულის დასტურად კასატორის მიერ წარმოდგენილი იქნა 12.02.2020წ. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან და მ. ა-ის ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, ფორმა №100.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.02.2020წ. განჩინებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 12.02.2020წ. განჩინებით მ. ა-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება მ. ა-ის მიერ შესაბამისი სამშე-

ნებლო სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე სახელმწიფოს საკუთ-რებაში არსებული შენობის ფასადის რეკონსტრუქცია, კერძოდ, ქ. თბილისში, ...ას დასახლებაში ს.კ. ... არსებულ შენობაზე ფანჯრის ღიობის შემცირება, მეორე ფანჯრის ღიობის გადიდება და მის ნაც-ვლად კარის მოწყობა. აღნიშნული სამშენებლო სამართალდარღვე-ვის გამო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველო-ბის საქალაქო სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილებით მ. ა-ი დაჯარიმდა 4000 ლარით და მას დაევალა ქ. თბილისში, ...ას დასახლებაში ს.კ. ... არსებული ობიექტის (შენობის) პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017წ. №1-1186 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა მ. ა-ის ადმი-ნისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქმის მასალებით დასტურდება მ. ა-ის ოჯახის რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში, სარეიტინგო ქულით – 21270 და შესაბამისი შემწეობის დანიშვნა.

საკასაციო პალატა მიუთითებს „ადმინისტრაციული სახდელი-საგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონზე, რომლი-თაც დადგინდა ერთჯერადი ხასიათის დროებითი და განსაკუთრე-ბული ღონისძიების სახით ამავე კანონით განსაზღვრული იმ ფი-ზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან და საურავისგან გათავისუფლება, რომლებმაც საქართველოს კა-ნონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამარ-თალდარღვევა 2019 წლის 15 იანვრამდე ჩაიდინეს და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დად-გენილება ამ კანონის ამოქმედებამდე არ აღსრულებულა (1-ლი მუხ.). საკასაციო პალატა თვლის, რომ სამშენებლო სამართალდარ-ღვევაზე, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ერთ-ერთ სახეზე, უნდა გავრცელდეს აღნიშნული კანონით გათვალის-წინებული შედავათი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამშენებლო სამართალ-დარღვევა ჩადენილია 2019 წლის 15 იანვრამდე, ხოლო მ. ა-ისათ-ვის ჯარიმის დაკისრების შესახებ დადგენილება გასაჩივრებულია და ჯერ არ არის აღსრულებული, ამასთანავე, მ. ა-ი არის სოციალუ-რად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სარეიტინგო ქულით – 21270. „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფ-ლების შესახებ“ 18.09.2019წ. კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, ად-მინისტრაციული სახდელისაგან – ჯარიმისა და საურავისაგან, თა-ვისუფლდება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგის-ტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის მაჩვენებელი 100 001 ქულაზე ნაკლებია („ა“ ქვ.პ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს მ. ა-ისთვის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში, კანონით გათვალისწინებული შეღავათის გავრცელების საჭიროება, მასზე დაკისრებული ჯარიმის გაუქმების საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ა-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით მიღებული უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, სზაჟ-ის 60<sup>1</sup> მუხლის 1-ლი და მე-7 ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.2016 წელის დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017 წელის ბრძანება მ. ა-ის 4000 (ოთხიათასი) ლარით დაჯარიმების ნაწილში.

ვინაიდან „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ 18.09.2016 კანონით შეღავათი ეხება მხოლოდ ჯარიმისაგან და საურავისაგან განთავისუფლებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.2016 წელის დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017 წელის 1-1186 ბრძანება მ. ა-ისთვის შენობის პირვანდელ მდგომარეობის მოყვანის დავალების ნაწილში კანონიერია და არ არსებობს ამ ნაწილში გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის საფუძვლები.

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის გაუქმების საფუძველს არ ქმნის კასატორის მითითება იმ გარემოებაზე, რომ იდენტურ გარემოებაში კორპუსის სხვა მაცხოვრებლებისათვის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არ მოუთხოვიათ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევაზე რაეგირება არ განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს უფლებამოსილებათა რიგს, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს პრაქტიკა ამ მიმართებით ვერ ახდენს გავლენას სადაც აქტის კანონიერებაზე, მოცემული დავის ფარგლებს სცილდება ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა სხვა დარღვევის მიმართ. ამასთანავე, თანასწორობის პრინციპის დაცვა პირმა უნდა მოითხოვოს კანონის დაცვაში და არა მის დარღვევაში, უკანასკნელში თანასწორობის დაცვის მოთხოვნა დაუშვებელია. ის გარემოება, რომ მაცხოვრებლების მიერ მოხდენილი რეკონსტრუქციის შედეგად კასატორს არ აქვს ფართში სხვა შესასვლელი, ქმნის არა უკანონო რეკონსტრუქციის, არამედ კანონმდებლობით დადგენილი წესით და პროცედურებით რეკონსტრუქციის ნებართვის საკით-

ხის დასმის საფუძველს.

გასაჩივრებული აქტების უკანონობას არ ადასტურებს ის გარემოება, რომ კასატორის მიერ შესაბამისი წებართვის გარეშე განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია და არა მშენებლობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი გახდა ქ. თბილისში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ნაგებობაზე სამშენებლო დოკუმენტაციის გარეშე რეკონსტრუქციის წარმოება, რაც პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.2 მუხლის თანახმად იწვევს 4 000 ლარით დაჯარიმებას. საფუძველს არის მოკლებული აგრეთვე კასატორის მოსაზრება სპეციალური კომისიის შექმნის და სადავო საკითხზე დასკვნის მომზადების საჭიროების შესახებ.

საკასაციო ინსტანციაში საქმის წარმოების დროს საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენ სასამართლოს, სსკ-ის 393-394-ე მუხლების შესაბამისად, მის პროცესუალურ კომპეტენციაში შედის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი მოიპოვოს და საქმეზე შეაგროვოს ახალი მტკიცებულებები, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკასაციო ინსტანციაში ახალი მტკიცებულებების მიღების შესაძლებლობას.

სასკ-ის მე-10 მუხლის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „მ<sup>1</sup>“ და „უ“ ქვეპუნქტების თანახმად მხარეები განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.2018 განჩინების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. გადაწყვეტილების გამოტანიდან ბათოლად იქნეს ცნობილი ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017წ. №1-1186 ბრძანება მ.ა-ის 4000 ლარით დაჯარიმების ნაწილში;

5. მ. ა-ისათვის ქ. თბილისში, ...ას დასახლებაში (...ას დასახლება) ს.კ. ...-ზე არსებული ობიექტის (შენობის) პირვანდელი მდგომარეობაში მოყვანის დავალების ნაწილში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 24.05.2016წ. №000946 დადგენილების და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 25.05.2017წ. №1-1186 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.06.2018წ. განჩინება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

